

ა. 800

# ჩვენი იუთბა

11

გერმანი  
1940

# ჩვენი თაობა

საქართველოს სამართლო  
კავშირის ცოველთვიური თრგვანა

12 ჭ 99

11



სახელმწიფო გამოცემლობა  
ტვილისი  
1940 წელი, ნოემბერი

## შინაარსი:

	გვ.
აქტომპრის დროშით . . . . .	5
დიდი პროლეტარული ბეჭალი. . . . .	13.

## მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
გაბრიელ ჯაბუშანური — საოქტომბრო . . . . .	17
გიორგი ქუჩიშვილი — ტყევ არწივი. . . . .	19
კოტე ხიმშავიშვილი — ჯონქა ხორნაული . . . . .	23
ადამ ალანელი — ხეოთის მამა . . . . .	31


## კრიტიკა

	გვ.
ერ. ასტრაცატუროვი — სტალინი საბჭოთა კავ- შირის ხალხთა შემოქმედებაში . . . . .	33
აპოლონ მახარაძე — ალექსანდრე ყაზბეგი . . . . .	48
პროფ. ხ. კაკაბაძე — იმერეთის დაპყრობა შე- ფის რუსეთის მიერ . . . . .	59

სარედაქციო კოლეგია: ასტრაცატუროვი ერემია, გენაზვილი დი-  
მიტრი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გრიშავალი იოსევი, კლდიაზვი-  
ლი სერგო, გიაჩელი ლეონ, უაველა დემა, ჩიქოვანი სიმონ.  
აქცესისმგებელი მდიდარი: ნიკოლოზ აზიაზვილი

წარმოებას გადაეცა 29/XI-40 წ. ხელმოწერილია დასაბუჭად 26/XII-40 წ. ჭაღალის ზომა  
72 X 108. უფრო. ზომა 7X12. ფორმათა რაოდ. 4. შეკვეთის № 2081. უ06354 ტირ. 2000.

სახელგამის ბეჭედვითი სიტყვის კომბინატი, უორესის ქ. № 5.



## ოქთომბრის დროშით

საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ხალხები უდიდესი სიხარულით ზეიმობენ დიადი სოციალისტური რევოლუციის ოცდასამი წლისთაგა. ამ არსებობს იმაზე უფრო დიდი სიყვარულისა და ძლიერი სიხარულის გრძნობა, რომელსაც იწვევს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მსოფლიოს ყველა პროგრესიულ აღამიანში, რადგან ამ რევოლუციამ თავისუფლება მოუტანა საუკუნეების მანძილზე ეროვნულად და სოციალურად ჩაგრულ ხალხებს, მოსპონ აქსალოატატორული კლასები და „დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ერას“<sup>1</sup>.

დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ გამარჯვებასთან შეიძლება დაკავშირებული კაცობრიობის ყველა მოწინავე აღამიანის მისწრაფებისა და ოცნების განხორციელება. ეს რევოლუცია უძლიერესი საბჭოთა კავშირის სახით დღევანდელ მსოფლიოში აღმართულა, როგორც თავისუფალი, ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრების უბრწყინვალესი შუქურა, რომელიც თავის ნათელ სხივებს ჰქონის მსოფლიოს ყველა ბნელსა და წყვდიადით მოცულ კუთხეს: ყველა ჩაგრულისა და დამონებულის გრძნობა და აზრი, თვალი და გული მსოფლიოში მოპყრობილია სარ კავშირისაკენ, ერთად-ერთ ნამდვილს, სოციალისტურ სამშობლოსაკენ, როგორც მომავალი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების უტყუარი იმედისაკენ.

განუზომელად დიდია კერძოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა სიხარული, რომელსაც ისინი განიცდიან დიდი რევოლუციის ოცდამესამე წლისთავზე, ოცდასამი წლის მანძილზე თავისუფალმა ხალხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის გენიალური შორს-მეცნიერელობითა და ხელმძღვანელობით მრავალ ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწიეს, ისინი დღეს უხვად იმკან ამ ბრწყინვალე გამარჯვებათა ნაყოფს:

სოციალისტური გადატრიალებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ჩეენდა მშობლიურმა პარტიამ, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარა ყველა ღონისძიება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და მომავალი ძლევამოსილი გამარჯვებისათვეს.

მან დაამსხვრია ბურუუაზიული სახელმწიფო პარატი და მის ნაცვლად შექმნა საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აპარატი, დაანგრია წოდებრივი წყობილების ნაშთები და ნაციონალური ჩაგვრის რეჟიმი, გააუქმა ექლესის პრივილეგიები, მოსპონ კონტრრევოლუციური პრესა და ყველა სახის კონტრევოლუციური ორგანიზაცია, მოახდინა მიწისა და მთელი მსხვილი მრეწვე-

<sup>1</sup> „საკავშირო ქ. 3. (ბ) ისტორია“. გვ. 272.

ლობის ნაციონალიზაცია, შექმნა ძლევამოსილი წითელი არმია და გამოვიდა. ომის მდგომარეობიდან, „რომელიც ყველაზე უფრო უშლიდა ხელს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს“<sup>1</sup>. ომის შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა სამოქალაქო ომის ფრონტებზე შინაურ კონტრ-რევოლუციასა და უცხოელ ინტერვენტებზე. ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინისა და სტალინის ს ხელმძღვანელობით გზადაგზა გამოამუდავნა და გააცამდევრა მიმალული მტრები პარტიის შიგნით, „მემარცხენე კომუნისტები“, ლინციკისტები, და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება გიგანტური ნაბიჯებით წაიყვანა წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

მსოფლოში ერთად-ერთ სოციალისტურ ქვეყანას უაღრესად როულ და სიძნეელებით აღსასე პირობებში მოუხდა მუშაობა, იგი გარეშე და შინაური მტრების აშკარა და ფარული წინააღმდეგობის გატეხისა და განაღურების გზით იყავავდა გზას უცეთესი მომავლისაკენ. ზავის დადებისა და შესვენების მიღების შემდეგ, კერძოდ, როცა იგი გამარჯვებული გამოვიდა სამოქალაქო ომიდან და გასწმინდა საკუთარი მიწა-წყალი თეთრი ბანდების ნარჩენებისაგან, საბჭოთა ხელისუფლებამ აღადგინა და წესრიგში მოიყვანა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და სამოქალაქო ომისაგან ვანაღურებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, პარტიისა და დიდი ბელადის ამხანავ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით დასძლია. მან ყველა ის სიძნელე, რომელსაც ჰქმნიდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა და ჩამორჩენილობა ტექნიკის მხრივ. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ნამდვილ სასწაულებს ახდენდა. იგი გასაოცრად მოკლე ისტორიულ პერიოდში აგრძარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე მრეწველობისა და მოწინავე ტექნიკის ქვეყნად, სოციალისტური წარმოებისა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის მაღალმოსავლიანობის ქვეყნად. ლენინ-სტალინის პარტიამ ვანაღურა ტროცკისტულ-ბუხარინული არამზადები, მოსპონ კულაკობა, როგორც კლასი და შექმნა პოლიტიკურად და ეკონომიურად მტკიცე კოლექტიური მეურნეობები, რომელნიც საბოლოოდ დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას. ეს იყო უაღრესად დიდი ისტორიული მოვლენა. „1930-1934 წლებში. — ნათქეამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ — ბოლშევიკების პარტიამ გადასცრა ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარული რევოლუციის უძნელესი ისტორიული ამოცანა — მილიონობით წვრილმესაკუთოვრულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა კოლმეურნეობების გზაზე, სოციალიზმის გზაზე“ (ცვ. 401).

სსრ კავშირი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 23 წლისთავისათვის წარმოადგენს ეკონომიურად და კულტურულად მოწინავე უძლიერეს და პოლიტიკურად უმტკიცეს ქვეყანას. „ჩვენს ქვეყანაში აშენებულია სოციალისტური ეკონომიკის ურყევი საძირკველი — პირველხარისხის მძიმე სოციალისტური ინდუსტრია და კოლექტიური მანქანიზმებული მიწამოქმედება, მოსპობილია უმუშევრობა, მოსპობილია დამიანის მიერ ადამიანის ექსლოატაცია, შექმნილია პირობები ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის განუწყვეტილი გაუმჯობესებისათვის“<sup>2</sup>. ჩვენ გვაქვს ყველაზე უფრო დემოკრატიული სტალინური კონსტიტუცია, რომლის ძალითაც ყოველ მოქალაქეს აქვს შრომის, დასვენებისა და განათლების უფლება.

<sup>1</sup> „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“. გვ. 260.

<sup>2</sup> „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“. გვ. 401.

რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, — საფუძველი ყველა ბრწყინვალე გამარჯვებისა.

საბჭოთა ხალხი სოციალისტური რევოლუციის 23 წლისთავს განსაკუთრებულ პირობებში ზეიმობს. გარდა აღნიშნული მიღწევებისა ჩვენი ქვეყნის მცხოვრები ზეიმობენ ბესარაბიასა და ჩრდილოეთ ბუკოვინის შემოხრობას. ახალი მოკავშირე რესპუბლიკების — კარელია-ფინეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნას. ამასთან, მაშინ, როცა მსოფლიო მეორე იმპერიალისტური ომის ცეცხლშია განვეული, სსრ კავშირი ურუევად ანბორიცელებს ოში ჩაურევლობას, ასე ამხანაგ სტალინის ბრძნელ საგარეო პოლიტიკას უნდა ეუმაღლოდეთ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 23 წლისთავზე ხაზეასმით უნდა აღინიშნოს აკრეთვე ის დიდი მიღწევები, რომელიც მოიძოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით. აყვავდა და გაიფურჩქნა სსრკ შემავალ ყველა რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრება, მისი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა. იმ პატარა ერებმაც, რომლებიც სულს ღაფავდნენ ცარიზმის უღელქვეშ და რომლებსაც რევოლუციამდე არ ჰქონიათ საკუთარი ნაციონალური კულტურა, ოქტომბრის რევოლუციის 23 წლისთავზე შექმნეს საკუთარი მოწინავე კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა. ისინი საკუთარი კულტურის მიღწევებით ყოველდღიურად ამდიდრებდნენ დიადი საბჭოთა კულტურის საუნაზეს. საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები ერთიანი ძალით ანგითარებდნენ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე პუმანიურ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას.

და ისე, როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 23 წლისთავზე ბრწყინვალე მიღწევებით გააჩნია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში. საქართველოს ლენინის არადენოსანი რესპუბლიკა თავისი საკუთარელი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ჩადგა შოწინავე რესპუბლიკათა მოწინავე რიგებში.

ჩვენი პარტიის სტალინური მზრუნველობითა და ამხანაგ ლავრენტი ბერიას ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ქართულმა ხელოვნებამ და ლიტერატურამ არნახულ წარმატებებს მიაღწია. ჩვენი მწერლობა დღეს ერთ-ერთ მოწინავე მწერლობად თთვლება მთელს კავშირში. ჩვენ გვაქვს საუკუთხოს მხატვრული ნაწარმოები დიდ ს ტ ა ლ ი ნ ჭ ე, ჩვენ გვაქვს რომანები, მოსხიობები, პიესები, პოემები და ლექსი საბჭოთა თანამედროვეობაზე და ისტორიულ წარსულზე. ჩვენი პოეტები ჰქონიან საბჭოთა პატრიოტიზმის მეზნებარე სიმღერებს, რომლებსაც სიყვარულით მღერის ხალხი. პარტიის მშობლიური მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით აღიზარდა და იზრდება მთელი თანაბები მწერლებისა, მხატვრებისა, კომპოზიტორებისა, მოქანდაკებისა, მსახიობებისა, მეცნიერებისა, რომლებიც სიყვარულითა და თავდადებით ემსახურებიან საბჭოთა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებას, რომელთა ძვალსა და რბილში გამჯდარია სოციალისტური სამშობლოს სიყვარული და სსრკ დაცვა გადაქცეული აქვთ თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობად.

საბჭოთა მწერლების შემოქმედება გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმით, ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი სტალინისადმი ერთგულების

კრძნობით, იგი სარგებლობს მკითხველი მასის სიყვარულითა და პატივის-ცემით.

ახალგაზრდა მწერლების, რომლებიც შემოქმედილი არიან „ჩვენი თაობის“ გარშემო, შემოქმედებაშიც არის ამღერება ბეჭნიერი თანამედროვეობისა. ისინი ძირითადად გამოხატავენ ჯანსაღ ტენდენციებს, მისწრაფებიან დაეუფლონ მხატვრულ ოსტატობას და განავითარონ საუკეთესო ტრადიციები ჩვენი მწერლობისა. ახალგაზრდა მწერლები თავიათ ლექსებსა და მოთხოვებში შინაგანად არგანიულად აქსოვენ ბეღნიერი თანამედროვეობით ლექტურ სიყვარულსა და სიხარულს.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის მხატვრულ შემოქმედებაში ყველაფერი თავის ჩიგშე იყოს, რომ მათ შემოქმედებაში არ იყოს შემჩნეული ისეთი სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებზეც არ ღირდეს განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება. საერთოდ, მიუხედავად მიღწევებისა, ჩვენს მწერლობას ჯერ კიდევ ცოტა აქვს ვაკეთებული, თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს მოთხოვნილებას, რომელსაც თანამედროვე ცხოვრება, სოციალისტური ეპოქა უყენებს მას. მაგრამ, განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ამ მოთხოვნილებებისაგან ჩამორჩენა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაში. ლიტერატურული ახალგაზრდობა შედარებით ნაკლებად გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც უყენებს თანამედროვეობის ამოცანები მხატვრულ სიტყვას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანში ამს. ი. თავაძემ მწერალთა საქალაქო კრებაზე, სამართლიანად გააკრიტიკა რა უურ. „ჩვენი თაობის“ რედაქციის მუშაობა, აღნიშნა, რომ მასში იშვიათად შეხვდებით ისეთ ლიტერატურულ ფაქტებს, რომელიც ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს ეხმაურებოდეს. ლექსების თემატიკა მეტწილად განყენებული და შინაარსობრივად ბუნდოვანია. ასეთი შეფასება „ჩვენი თაობის“ შინაარსისა, არსებითად ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების დახასიათებას წარმოადგნს და მას. ღრმად უნდა ჩაუკვირდეს. როგორც რედაქცია, ისე თვითეული ახალგაზრდა მწერალი.

ახალგაზრდა მწერლების მიერ დღემდე გამოქვეყნებული მხატვრული ფაქტების მიხედვით მათი შემოქმედების ცენტრში არა დგას ის ცხოველ-მყოფელი საკითხები, რომელსაც აყენებს მწერლობის წინაშე ჩვენი ეპოქა, რომ ისინი მეტნაწილად გატაცებული არიან განყენებული თემებითა, და შეირეულ ისტორიულ წარსულით, რომ მათი ლექსები და მოთხოვები არ არის დაზღვეული ბუნდოვანობისაგან, რაც ზოგჯერ ლიტერატურულ უგვ-მურობამდე მიდის.

რაში უნდა ვეძიოთ ამის უმთავრესი მიზეზი?

ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი და უურ. „ჩვენი თაობის“ რედაქცია არა სათანადო ყურადღებას ვაჭურებს ახალგაზრდათა იღეურ-პოლიტიკური და მხატვრული აღზრდის საკითხს, რომ, როგორც ერთის, ისე მეორის მხრივ ახალგაზრდათა შორის აღმზრდელობითი მუშაობა თვითონინებაზეა მინდობილი. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი თთქმის თავის მოვალეობად არ სოვლის სისტემატურად და საქმიანად დაინტერესდეს ახალგაზრდა მწერალთა მუშაობით. თავის სხდომებზე არასოდეს არ დაუსვამს და არ განუხილია ახალგაზრდა მწერლებთან ერთად ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხებოდნენ ახალგაზრდა მწერლების მუშაობას, გათი შემოქმედების ნაკლოვანებას და ამოცანებს. ამას გა-

რდა პრეზიდიუმს ერთხელაც არ მოუსმენია თავის სხდომაზე უურ. „ჩვენი თაობის“ რედაქტირის ინფორმაცია და არ მიუცია საქმიანი მითითებები. აქედან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თოთქოს პრეზიდიუმი ახალგაზრდათა შორის მუშაობას თავის პირდაპირ მოვალეობად არ სთვლის და მთელ ამ უდიდეს პასუხისმგებლობას მხოლოდ უურნალის რედაქტირის ანაბარად სტოკებს. პრეზიდიუმისაგან რომ მეტი კოხკრეტულ-პერსონიული ხელშძლვანელობა და დამატება არსებობდეს ახალგაზრდობაზე უფრო მეტი მიღწევები გვექნებოდა ახალგაზრდათა შემოქმედების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული ზრდის საქმეში და ნაკლები გვექნებოდა ნაკლი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა უფრო მეტი ყურადღება და მოქნილობა უნდა გამოიჩინოს ახალგაზრდა მწერლებიდან აქტივის აღზრდის საჭმეშიც. ჩვენი პრეზიდიუმის მუშაობაში ეს საქმე სავსებით მივიწყებულია. გარდა იმისა, რომ ძალიან იშვიათად ხდება მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმები, ასევე იშვიათია პრეზიდიუმის ლია სხდომები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდეს მწერალთა ძველი და ახალი აქტივი. უკანასკნელ პრეზიდებში კი პრეზიდიუმის ასეთი ლია სხდომები სულ აღმა ხდება.

მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმები და პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომები არის ყველაზე საუკეთესო ფორმა აქტივთან მუშაობისა, — ახალი აქტივის აღზრდისა, დაწინაურებისა და პრაკტიკულად ჩაბმისა მწერალთა კავშირის საერთო მუშაობაში. ეს არის საუკეთესო ფორმა აგრეთვე მწერალთა კოლექტიური მუშაობისა.

მაგრამ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მუშაობაში არსებული ნაკლებანებები ოდნავადაც არ ათავისუფლებს უურ. „ჩვენი თაობის“ რედაქტირის იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც ეკისრება მას ახალგაზრდა მწერალთა შორის მუშაობის საქმეში. ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებით მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვნებებიდან უურნალის რედაქტირი და ახალგაზრდა მწერლებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

მთელი საბჭოთა მწერლობის წინაშე გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქა გრანიოზულ და საპატიო ამოცანებს აყენებს. და ის ამოცანები, რომლებიც დგას საბჭოთა მწერლობის წინაშე არის ახალგაზრდა მწერალთა ამოცანებიც. საერთაშორისო კითარების მიმდინარე ეტაპზე, როცა ევროპის თოშის ყველა ქვეყანა ომშია ჩაბმული და საბჭოთა კავშირი კი, სტალინის გენიალური შორისმშევრეტელობის წყალობით, მტკიცებულ იცავს თავის სამშვიდობო პოლიტიკას და ქვეყნის შიგნით ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ მდგრამარეობის გაუმჯობესების საქმეში, მთელი ჩვენი ზრუნვა, ფიქრები და აზრები მიმართული უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისაკენ, სოციალისტური სამშობლოს დაცვისაკენ, მკონხველთა ფართო მასებში მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების აღზრდისაკენ.

ამ საქმეში ღიღი და განუზომელია მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა. მხატვრული წიგნი მასების აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ საბჭოთა მწერლებმა უნდა შეკვენან ისეთი წიგნები, რომანები, მოთხოვნები, ლექსები, პიესები, პოემები, რომელნიც აღზრდიან მკითხველში პატრიოტიზმის გრძნობას, შრომისადმი სიყვარულს და აღაგზნებს ყოველ ადამიანს იმისათვის, რომ უფრო მეტი და უფრო უკეთესი შეკვენას. საბჭოთა მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა განამტკიცოს ახალი ყოფასტოვრებითი ნორმები, კომუნისტური მორალი. საბჭოთა მწერლის ყოველი ნაწარმოები უნდა ზრდი-

დეს აქტიურ და შეგნებულ საბჭოთა მოქალაქეს, პატიოსანსა და თავმდაბალ ადამიანს, რომელიც იწვის თავისი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით, თავისი ბედნიერი ხალხის სიყვარულით, თავისუფალი მიწის სიყვარულით, რომლის ერთ გოჯსაც კი იგი არ დაუთმობს მტერს.

ჩვენმა მწერლობამ მიმზიდველად და დამაჯერებლად უნდა ასახოს სიმართლე ჩვენი ეპოქისა, მან უნდა ასახოს სოციალისტური თანამედროვეობა და გვიჩვენოს ამ თანამედროვეობის ცოცხალი აღამიანები მთელი თავიანთი პრაქტიკული საქმეებითა და სულიერი განცდებით. საბჭოთა პოეტებმა თავიართ ლექსებსა და სიმღერებში უნდა ჩააქონიონ ბედნიერ ხალხთა სიხარული და გადაგვიშალონ ამ ხალხთა სულიერი სამყარო.

ჩვენი ეპოქის ამ უდიდესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში ახალგაზრდა მწერლები არ უნდა იდგნენ უკანა რიგში. ისინი აღზრდილი არიან ოქტომბრის რევოლუციის ზრუნვით, მათ არ უნახავთ წყვდიალი წარსული, ისინი ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი შვილები არიან, მათში არ უნდა იყოს წარსულის მავნე გადანაშთები, რომლებიც დიდხანს მძიმე ტვირთად აწვა ზოგიერთ ძეველ მწერალს. ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისათვის შექმნილია ყველა პირობა ფართო შემოქმედებითი მუშაობისათვის და ეს ყველა პირობა მც მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, მისცემ ქვეყანას იდეურად და მხატვრულად გამართლებული ნაწარმოებები ჩვენს თანამედროვეობაზე.

ამისათვის ისინი უნდა შეიარაღდნენ თქომბრის დიალი სოციალისტური რევოლუციის იდეებით — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეებით. ახალგაზრდა მწერლები საფუძვლიანდ უნდა დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმს, ლენინ-სტალინის პარტიის გმირულ ისტორიას. ამ უძვირფასესი თეორიული განძით შეიარაღება გადაუშლის მათ სწორ და ნათელ შემოქმედებითი გზას, გაუადვილებს ეპოქის მიერ წამოყენებულ ამოცანათა გადაწყვეტას და საქმით დააყენებს მათ საბჭოთა მწერლობის მოწანავეთა რიგებში.

საბჭოთა მწერლობა უნდა გაუსწორდეს სოციალისტური ეპოქის მოთხოვნილებას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ კავშირსა და მეგობრობას! გაუმარჯოს სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის X XIII წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენს მაშასა და მასწავლებელს — დიდ სტალინს!



ଓରୋଙ୍ଗର ପଦ୍ମମଣି

## ՇՈՐԾԻ ԱԿՐՈԼԵՎԱՐԱԿԱՆ ԿԵԼԱՐՈ

աև ուրի ֆլուս Շինատ, 1820 ֆլուս 28 հոյեմերկ, յալոյք ծառմեն՛՛ (ցըրմա-ն) դասիմածա գուղո პրոլետարյուլո ծյուլագու—գորութու ցն ց լ ս ո. շրջութու շնչարլուս մամա գուղո մեժաձրոյց ոսու. մու սյուրցուլու Շյալցենքա Շյուլու տա-ցուս մեմբարութեա ալցիարլա, մաշրամ Շյուլու սրուլուա սա՛նալմէցու ցնուտ Շազու-լա, ման մեշլու տացուս Շյալցենքուլո սուրութեա ծյուրյան շնուսա դա յանուր-լուս թուրու յշի պլուսարացուս Շինաալմէցու ծրմուլուսա դա սայշտա մուրուս პրոլե-տարութիւն զանտացուս սուտուլուն սայմես, յոմունինմուս ջուս և սայմես Շյուլուն.

Կարլ մարքս դա գորութու ցնցելու ոսցեց յաշութուրուս շուգուցու հյուո-լուպուրու մոանուանցեցու, հոմլու մաւ գորութեա գանասանցալուց մյութու կլասու հյուուլուպուրու մոանուանցու ցամութուուց դա Շյուլուն պրոլետարո. արուս հյուուլուպուրու մետուլմեա ցուցուածա. գորութու ցնցելուսմա մարքստան ցր-տագ սուցուալուն ուժուածուան այցու մյունուրեցա. մյունուրուլագ ման դասսա-ծյաս յանուրանուն մանուա գանցանցեցու դամերուս այցուուց ծրմուն դա սուցուալուն մուս ցամարչաց պրոլետարուատու ըույնուա ցնուտ. գորութու ցնցելուսմա տա-ցուս Շյեսանոնինա Շրութիւն— „մյութատա կլասու մուցումարյուն օնցլունի՛՛ პրոլե-լումա ցայցետա լումա մարքսիստուլու անալուն մյութատա կլասուս, մուցումարյունան, յանուրանու պրոլետարուաս, դա լունենու սություն ունեցաւ, ցայցելու ցնցելու մարքստու անալուն լահացրուլո կլա-սու, սբուրու ու սամարկանու յյունումուրու մուցումարյուն, հոմելուն մյու-ցեց պրոլետարուատու, Շյուիրեց ծրմուն ու ծրմուն մաս Շին դա անցուլուն օնցմու-լուս տացուս սամարչաց ցամարչաց մուցումարյուն, հոմելուն պրոլետարուատու տուուռն օնցնուս տացուս տացուս դա մյութատա կլասու պալուուրու մոանուանց այցու-լուն մուցուման մյութեց ու Շյուլուց մատ արս այցու ցամուսացալու սուցուալուն ցահեց.

1844 ֆլուճան, հուրա ցերմանան ցնալումացալու ցնցելու պարունի ցայց-նո յանուր, ցնցելուս ցնցելուս և մարքսուս սխոցրու դա մուլցանցու ցանցուր-լուգ կայցա շնորհնեց յրտուանցու. ունու հյունեց նամցուու յուլու յուլու մու-մութեց գուղո պրոլետարյուլո մյունուրեց, հոմլու մեծուու պրոլետարուատու տուուռն օնցնուս տացուս տացուս դա մյութատա կլասու պալուուրու մոանուանց այցու-լուն մուցուման մյութեց ու Շյուլուն մատ արս այցու ցամուսացալու սուցուալուն ցահեց.

იმ დღიდან, როცა მარქსი და ენგელსი ერთმანეთს გაეცენენ, მათი ცხოვ-  
რება და მოღვაწეობა ფანურელად დაუკავშირდა ერთმეორებს, მათ კოლექ-  
ტიურად შეიძუშვეს პროლეტარიატის ბრძოლის თეორია და ტაქტიკა უკლისო  
სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის. მარქსისა და ენგელსის შე-  
ქმნილმა მეცნიერებამ — მარქსიზმა წინ წასწია მთელი საზოგადოებრივი აზ-  
როვნება, იყი გადაიქცა ყველა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების  
პროგრესის საფუძვლად.

„მარქსი და ენგელი, პროლეტარიატის დიდი მასწავლებლები, პირველნი  
იყვნენ, რომლებმაც, წინააღმდეგ სოციალისტუტობისტებისა, განმარტეს, რომ  
სოციალიზმი მეოცნებეთა (უტოპისტთა) გამონაგონი კი არ არის, არამედ თა-  
ნამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების აუკილებელი შე-  
დეგია. მათ გვიჩვენეს, რომ კაპიტალისტური წყობილება დაეცემა ისევე, რო-  
უორც დაეცა ბატონყმური წყობილება, რომ კაპიტალიზმი თვითვე ჰქმნის  
თავის მესაფლავეს პროლეტარიატის სახით. მათ გვიჩვენეს, რომ მხოლოდ პრო-  
ლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება  
ბურჟუაზიაზე ისნის კაციტალიზმისაგან, ექსპლოატაციისაგან.“

მარქსი და ენგელსი ასწავლიდნენ პროლეტარიატს შეეგნო თავისი ძალე-  
ბი, შეეგნო თავისი კლასობრივი ინტერესები და გაერთიანებულიყო ბურჟუა-  
ზის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისთვის. მარქსი და ენგელსმა აღმოჩი-  
ნეს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონები და მეცნიერულად  
დაამტკიცეს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას და ამ საზო-  
გადოებაში კლასობრივ ბრძოლას გარდევალად უნდა მოჰყეს კაპიტალიზმის  
დაცემა, პროლეტარიატის გამარჯვება, პროლეტარიატის დაცემა ა-  
რც რა.

მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, ჩომ კაპიტალის ძალუფლებისაგან  
თავის დაღწევა და კაპიტალისტური საკუთრების გადაჭრევა საზოგადოებრივ  
საკუთრებად შეუძლებელია მშეიდობიანი გზით, რომ ამის მიღწევა მუშაოთ  
კლასს შეუძლია მხოლოდ რევოლუციური ძალატანების გამოყენებით ბურ-  
ჟუაზის წინააღმდეგ, პროლეტარული ბატონობის — პროლეტარიატის დამყარე-  
ბის გზით, რომელმაც უნდა დათრგუნოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა  
და შექმნას ახალი, უკლასო კომუნისტური საზოგადოება.

მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ სამრეწველო პროლეტარიატი  
წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე რევოლუციურ და ამი-  
ტომ—ყველაზე მოწინავე კლასს, რომ მხოლოდ ისეთ კლასს, როგორიც არის  
პროლეტარიატი, შეუძლიან შემოიკრიბოს გარშემო კაპიტალიზმით უკმაყო-  
ფილო ყველა ძალები და წაიყვანოს ისინი იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ.  
მაგრამ ძველი სამყარო რომ დაამარცხოს და შექმნას ახალი უკლასო საზო-  
გადოება, პროლეტარიატს უნდა ჰყავდეს თავისი საკუთარი მუშური პარტია,  
რომელსაც მარქსი და ენგელსი კომუნისტურ პარტიას უწოდებდნენ“ („საქ:  
კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“ გვ. 12 — 13).

აი ამ ახალმა მოძღვრებამ, მარქსისა და ენგელსის მოძღვრებამ, ნამდვი-  
ლი გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, მან.  
შეაჯამა და განაზოგადა ის, რაც კი საუკეთესო იყო შექმნილი კაციტალიობის  
განვითარების მიერ. მარქსისა და ენგელსის მოძღვრებამ შეაჯამა და განაზო-  
გადა. მუშაოთ კლასის რევოლუციური ბრძოლების გამოყიდილებანი და ოც-

ნება სოციალიზმზე ნამდვილ მეცნიერებად აქცია, გვიჩვენა ნამდვილი გზა სოციალიზმის განხორციელებისა და მიგვითითა იმ ძალებზე, რომლებსაც შესწევდათ უნარი მისი განხორციელებისა.

მარქსის და ენგელსს თავიანთი შეხედულებების განვითარება და გავრცელება უხდებოდათ უდიდესი წინააღმდეგობის დაძლევის გზით. ისნი ერთიანი ძალით აწარმოებდნენ დაუნდობელ ბრძოლას მუშათა კლასის ცველა ჯურის მტრების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ყალბი სოციალისტების წინააღმდეგ, ოპორტუნისტების წინააღმდეგ. მაგრამ იმის შემდეგ, როცა მარქსი გარდაიცვალა და გამოცოცხლება და გაქტიურება დაიწყეს მარქსიზმის მტრებმა, რევიზიონისტებმა და ოპორტუნისტებმა, იმ იმედით, რომ ახლა მაინც შესძლებდნენ შეერყით მეცნიერული სოციალიზმის იდეები, მარქსიზმის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების მთელი სიმძმის გადატანა წილად ხდდა მხოლოდ ერთადერთ ენგელს. ენგელი შესანიშნავად იცავდა მარქსიზმის მტრების ყოველგვარ შემოტევებისაგან და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, რევოლუციურ ორგანიზაციებს უცვლა ქვეყნებში. ენგელი იყო ნამდვილი ცენტრი, საიდანაც შეეძლო ყველა ქვეყნის რევოლუციურ მუშებსა და რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელებს რჩევა მიეღოთ.

მაგრამ, როცა ენგელი გარდაიცვალა, მტრების სიხარულს იმის შესახებ, რომ მარქსიზმის ნამდვილი დამცველი აღარ ჰყავდა, საზღვარი არ ჰქინდა. მარქსიზმის მტრებმა გაცხოველეს იერიშები, რევიზიონისტებმა უფრო აშკარად დაიწყეს გამოსკლები. მეორე ინტერნაციონალის ზოგიერთი ბელადი ენგელის სიკვდილის შემდეგ შეცადა მარქსიზმის „შევსებას“, ზოგი გარეგნულად აღიარებდა მარქსიზმის სისწორეს, მაგრამ საქმით ამახინჯებდა მას და მოხერხებულად აგრძელებდა მარქსისა და ენგელის მტრების საქმეს. მაგრამ ვერც აშკარა მტრებმა და ვერც მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა და იდეოლოგებმა ვერ შესძლეს ჩაექლათ მარქსიზმის ცხოველმყოფელი სიცოცხლე, იგი ცოცხლობდა, მდიდრდებოდა და მანვილდებოდა პროლეტარიატის მოძრაობის განვითარებასთან ერთად.

უნგელის სიკვდილის შემდეგ მარქსიზმის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის პირობებში მოუხდა მსოფლიო პროლეტარიატის უდიდეს ბელადსა და გენისას ვ. ლენინს. ლენინმა და ლენინის შემდეგ სტალინმა განვითარეს და წინ წასწიეს მარქსიზმის თეორია ახალ ისტორიულ პირობებში. ლენინმა და სტალინმა გაანადგურეს მუშათა კლასის, მტრების ყველა სახეობა — ნართინიკები, ოპორტუნისტები, მენშევიკები, ჭინოვიევ-კამენეველები, ტროცისტებარინელები.

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, — ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოქლე კუსჩში“, — რომ ენგელის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინ, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადექრო მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსიზმულ თეორიას და რომლებმაც გამოდიდორეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

და სწორედ იმიტომ, რომ ლენინმა და ლენინელებმა წინ წასწიეს მარქსიზმული თეორია, ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში,

იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედა-  
მიწის ერთ მევქენედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს".  
(გვ. 435).

ლენინმა და სტალინმა შეკვეთეს მარქსისტულ-ლენინური საერთაშორისო  
ორგანიზაცია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის სახით, რომელიც ავრ-  
ცელებს მსოფლიოში მეცნიერული სოციალიზმის ღდეებს — მარქს-ენგელს-  
ლენინ-სტალინის იდეებს. მარქსიზმ-ლენინიზმი ცოცხლობს, ვითარდება და  
გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში ბრძნი ბელადის — დიდი სტალინის  
ხელმძღვანელობით.

ენგელსის სახელი ყოველთვის ცოცხალი იქნება იქ, სადაც ცოცხლობს და  
იმარჯვებს სოციალიზმის საქმე.

# მხატვრული ლიტერატურა

განაცხადი ჯაგუშანური

## ს ა რ კ გ რ მ გ ბ რ მ

მეგობრებო, მუდამ წლობით  
ამ დიად დღეს როცა ვხვდებით,  
მსურს სიმღერის წამოწყება,  
გულს რომ ცწრავა გაუმართლო.  
მაშ ვიმღეროთ უკვდავ გრძნობით,  
ხმების ხმებთან მოთანხმებით,  
ჩვენს ზეიმთან დამოწმებას,  
ჩვენს სიხარულს გაუმარჯოს!

მეგობრებო, ვადლეგრძელოთ  
იმ დახოცილ გმირთა ხსოვნა,  
ოქტომბრისთვის რომ იღწვოდნენ.  
და მისოვისვე დაიხარჯნენ,  
ფრონტებზე რომ გავდნენ მძლე ლომს,  
ბრძოლაში არ გააყოვნეს  
და შიში რომ არ იკოდნენ,—  
იმას ხსოვნას გაუმარჯოს!

წლები მათ ლვაწლს ვერ ჩაკლავენ  
და მე მესმის, როგორც გრძნეულს:  
გმირნი ჩვენზე თათბირობენ  
და არღვევენ უამთა ჩარჩოს.  
გაუმარჯოს მათ საფლავებს,—  
ტრამალებში მიმობნეულს,  
მათ ამაგს და მათ გმირობას,  
მეგობრებო, გაუმარჯოს!

ამ საზღაპრო გმირთა შორის  
ერთი ელავს, ვით ნათელი,  
ის ლამეთა ტეხდა წყებას,  
ხალხს ბრძოლის გზა განუმარტა.



მან განფანტა ყრფა-შმორი  
და ჩვენც ვამბობთ ღიად ლენინს,  
მის სიბრძნეს და უკვდავებას—  
საუკუნოდ გაუმარჯოს!

გაუმარჯოს, მევობრებო,  
ჩვენი ქვეყნის მტკიცე გმირებს,  
ზეცის ამაყ შევარდენებს,  
მტერს მათი ხმა მახვილს არჭობს.  
მათ სახელებს უანგაროდ  
დღეს ქვეყანა იზეპირებს.  
გვანან ომში შევარდნილნი.  
ვეფხებს... იმათ გაუმარჯოს!

გაუმარჯოს მათ მარჯვენას,  
თავხედ მტერს რომ სრავს და იყლებს,  
მზეს რომ აძლევს ჩაგრულ ერებს,  
ვინც აქამდე ბინდში ჩაჩჩენ.  
ვაშა იმათ გამოჩენას.  
ახალგაზრდა ჩესტებლიკებს,  
ჩვენ ახალ ძმებს ანამლერებს,  
მევობრებო, გაუმარჯოს!

ამ თვალუწვდენ მთებს და ტყე-ველს,  
ვინც უზღვავებს სხივს და ხალისს,  
ვინც ლენინთან იღა მარად,—  
დღეს შუქს გვფენს და წყვდიაღს აზობს,  
გაუმარჯოს დაუძლეველს—  
აწმყოს მზეს და იმედს ხვალის,  
მშრომელების მკვიდრს და მამას  
დიად სტალინს გაუმარჯოს!

## შიორიშვილი

# 8433 არნივი

I

სალქლტის ნაპირას  
დგას ციხე ქველი,  
მის ბორცვთა ძრის  
მდინარე ნელი  
მიღის,  
მილელავს  
და მიმუტბუტებს,  
თითქოს ქვეყნის დარღს  
გულში იხუტებს.  
სძინავს ვრცელ ქალაქს,  
სძინავს ციხესაც,  
ლურჯ კამარაზე  
კაშკაშებს მოვარე;  
ბორკილთა უღარუნს,  
მოძმეთა კვნესას  
სივრცე ლამისა  
ყრუდ ასამარებს.

II

ან, ნეტავი მეც  
მთვარე ვიყო,  
ჭუქთა მფრჩეველი,  
რომ შევაპარო  
საპატიმროს  
ვიწრო სარქმელში,  
რომ გადავკოცნო  
მძინარე თუ  
ლამის მთეველი  
და ნათელ სვეტად  
აღვემართო  
ტანჯულებს ბნელში.

ან ვიყო სიო,  
რომ უჩინარად  
შევისრიალო,  
შევუშუბუქო  
მათ სულის თქმა,  
შევსრუტო მტვერი;  
ან ტოროლად მქნა,  
რომ რიგრაეზე  
დავაწერიალო  
თავისუფლების  
სატრატიალო  
ხმათა ჩანჩქერი.

III

მოღუშულ კედლებს  
საღამობს მცველი,  
უამთა უანგი სკამს  
ციხის რეინის კარს;  
ვიწრო სარქმელთან  
დგას კეცხოველი  
და მოუთმენლად  
მოელის ცისკარს.  
უჲ. ვინ მიუხვდეს,  
აუბნელ ფიქრებს:  
იქნებ გარს ტუილელ  
მებრძოლებს იკრებს,  
ან თუ ჭუთაისს  
ეწვია იქნებ  
და წულუკიძის  
კვალს ველაზ იგნებს.  
ან იქნებ ფარულ  
მოწყობილ სტამბას

ამოქმედებდეს  
 ბაქოში იგი:  
 პბეჭდავდეს ცხელცხელ  
     გაფრცეის ამბავს  
 და „ლავაშებაღ“<sup>1</sup>  
 ფრთავდეს ირგვლივ.  
 აი: ოცნების  
     ბურაძნი წასულს  
 წინ წარმოუდგა  
     მშობლების სახე  
 და ჩიტის მსგავსად  
     წუთით ფრთებასხმულს  
 გადაავიწყდა  
     ტყვეობის მახე.  
 აი: ეხვევა  
     აჩრდილი დედის,  
 ესაყვარლება,  
     იხუტებს გულში,  
 ჩაპნელებია  
     თვალები სევდით,  
 ჭიათინი იმის  
     მის ნაზ ჩურჩულში.

#### ხეა გჟოალიური:

„ეპ, შეილო,  
 ნუ თუ  
     ამისთვის გზრდიდი,  
 ნუ თუ  
     არ მეყო  
     ტანჯვა ესდენი?  
 რად არ მაცალე  
     სიკვდილი მშვიდი,  
 რად მომიწამლე  
     სიბერის დღენი?“

#### ხეა პატივარის:

„დედავ!  
     ტყვიაზე უმწვავესია  
 ჩემთვის დაღვრილი  
     ცრემლები შენი;  
 მიწას მაყრიდე,  
     უმჯობესია,  
 ვიდრე მხედავდე  
     სახელშერცხვენილს,

დედავ!  
     გახსოვდეს,  
     რომ ხალხს უმსჯვერპლოდ  
 არ ელირსება  
     თავისუფლება  
 და მისთვის ცეცხლშიც  
     რომ დავიურთვლო,  
 ოდნავი თხვრაც  
     არ აღმომსდება.  
 შენც:  
     ძმაო სანდრო,  
     გაწუხებს ვიცი  
 ეს გარდუვალი  
     ჩემი წილხვედრი,  
 მაგრამ გამაგრდი  
     ნუ მაჭმევ სირცხვილს,  
 ყოველ გასაჭირს  
     შეხვდი სიმედვრით!  
 მე კი...

თუ ლადო კეცხოველი ვარ?  
 არ შევწყვეტ ბრძოლას,  
     სწამდეს ჩვენს კობას:  
 დღეს ბნელ დილეგშიც  
     ისე ვმღეროვარ,  
 როგორც ვმღეროდით  
     გორში ბაგშობას!  
 ბიჭო, დაფიქრდი:  
     რითა ხართ განა  
 თქვენ ჩვენზე უფრო  
     უკეთეს დღეში?  
 საპყრობილეა

    მთელი ქვეყანა,  
 ხალხი ხუნდებში  
     ხარივით ზვნეშის.  
 პო, მართლა:  
     ძმაო!  
     მოკითხვა ჩემი  
 მშობლიურ სოფელს;  
     საყვარელ ტყვიავს;  
 სილამაზე აქვს  
     თუმცა ედემის,  
 მაგრამ ხალხს გვემის  
     დაღი ატყვია.  
 უკვე ტორტმანებს  
     ზღვა ხალხთა ზვირთი.

<sup>1</sup> კონსპირაციის მიზნით „ლავაშებს“ უწოდებდნენ პროკლამაციებს.

იწყება კლასთა  
შეხლა და ომი:  
მონებს აღარ სურო  
ზიღონ სხვის ტფროთი,  
უნდათ, რომ ყველა  
ცხოვრობდეს შეომით.  
რა შეაჩერებს,  
რა დააწყნარებს  
ამ აბორგებულ  
ზღვას მოგუგუნეს?

#### ხა გუშაგისა:

—შენ, ეი!  
ვინ ხარ  
მანდ!  
რა გაბუზლუნებს!?

#### პატიარი:

„ჩისთვის მუქუფი,  
ძმობილო, წყრომით!?”

#### გუშაგი:

„მაშორდი სარკმელს!”

#### პატიარი:

„აბა, რას გიმლი?

#### გუშაგი:

„ამ შეიძლება,  
ხმა ჩაიკმიდე!”

#### პატიარი:

„ვე!  
ვითომ მამუნჯებს ჭიდეც!”  
გუშაგი:

„ნუ იყურები!  
გესვრი, იცოდე!”

#### პატიარი:

„რას მემუქრები,  
რად მიბლვერ მელურად?  
შენც ხომ შეილი ხარ  
მშრომელი ხალხის?  
მაშ, რად არ ისმენ  
შენც მეგობრულად

რევოლუციის  
მეღვარ დაძახილს,  
რომ ხალხს კი არა,  
არამედ მის მტკრს  
შეაგებებდე უნდა  
მაგ მახვილს?!  
ხომ შესაძლოა:  
აქ, ამ ციხეში,  
ხვალ-ზეგ შენც მოხუდე,  
ან-და ძმა შენა?“  
გუშაგი:  
„მოწყდი შანდელან,  
შე ავაზაკო,  
თორებ აიგსო  
ფიალა თმენს!“

#### პატიარი:

მორჩილო მონავ,  
როლის იქნება,  
რომ განიმსჭვალო  
ჰეშმარიტ რწმენით?!”  
სთქვა პატიმარამა  
ლრმა გულისტყენით,  
მოშორდი უანჯრის  
— ჯვარედინ რკინას  
და თან აღსაესე  
მომაველის რწმენით.  
ქართულ კილოზე  
დაიღიალინა:

„ციხევ!  
შე-ოხერ-ტიალო!  
მონათა ჯაფით ნაშენო!  
გესურს ჩვენსკენ მოგატრიალოთ  
დროება, დღემდე საშენო!  
ახ, ნეტავ მალე გნახავდე:  
ციხევ, კედლები გცვივოდეს  
თავისუფლების ალამი  
ყმათა სისხლიერი ღვილედეს  
და გამარჯვების დრად ჰიმნს  
მეც ხალხთან ერთად ვჰყიოდე!..“  
მიწყდა ხმა...  
მტკვარი ანკარა  
კოჯარის ნიაჭს თუ ელიადა:  
ლულუნა კეთილ მტრედივით.  
ლივლიერი მოიმლეროდა:  
„ვინ დაგამწყვდა საქანში,  
არწივო, მაღალ მთისაო,

ფრთხილი გაშალე, გაფრინდი  
და იქ დაეშვი ძირსაო,  
სად დედა შენი გეგულვის  
და ცხარე ცრემლით სტირსაო.  
შენ კი, ტიალო მეტეხო,  
ციხეო დიდი ზნისაო,  
ამდენი ბოროტებისთვის,  
ჩაგექცეს მკერდი ქვისაო,  
ან მე ავღიდდე ისე რომ  
დაგაყირავო ძირსაო!“

სუსე დუღუნით  
დიოდა მტკვრი;  
თითქოს ართობდა  
ლალო კეცხოველს;  
ხოლო ზუქი კი  
მილეულ მთვარის  
თეთრ სულარაში  
ახვევდა ყველას...

#### IV.

უკანასკნელად,  
გარდისფერ დილით,  
როს კეცხოველი  
მიადგა სარგმელს;  
როს მზეს უმზერდა  
ისეთ ლიმილით,  
თითქოს ანდობსო  
რაღაც დიდ სათქმელს,—  
მცველ დერგილუვის<sup>1</sup>  
გაუფრთხილებლად  
საგუშავოდან  
იჭექდ თოფმა...  
„მოჰკლეს!..“  
„დაეცა მწეცების მსხვერპლად!“.. და დაიგანგაშა ციხე-სამყოფმა...“

გლოვის თალზია  
ტფილისის ზეცა,  
მეტეხიც გლოვობს  
სიჩუმით მკვდრულით;  
აქ ტყვე არწივმა  
ფრთხილი დაკუცა:  
მოკვდა საკანში  
გულგანგმირული...

#### ეპილოგი

რევოლუციის  
ორსეულ რაინდს,  
ვინც მოხხადა  
საქვეყნო ვალი,—  
უცრივ დაპკრა  
სიკვდილის ბინდმა  
პირველ რიერაეზე  
დახუჭა თვალი...  
სიცოცხლე მისი  
ვინც არ დაინტო,  
ვინც შეთქმულობით  
ჩაუქრო ალი,  
ხალხის ჯალათთა  
ხროვასთან ერთად  
იგიც გაჰგმირეს,  
როგორც მტარვალი!  
ის კი...  
დიდების შარაუნდედით  
აღსდგა!..  
ვინ ჩასთვლის  
ხალხის გმირს მკვდრებში?  
ის სიმბოლოა  
თავისუფლების  
სიცოცხლობს უჭინობ  
ჩვენს სიმღერებში!..

<sup>1</sup> უნდარმერის მიერ შესყიდული ცინის გუშაგი, რომელმაც 1903 წ. 17 აგვისტოს დილის 9 ს. 30 წ., ფანჯარაში ნასროლი ტყვიით თავის კამერაში მოჰკლა ლალო კეცხოველი.

ԱՐԴՅՈ ԵՌԱՋՈՎԱՑՈՂՈ

## ՀՐԵՆԻ ԵՐԿԵՆԵԼՈ<sup>1</sup>

VI.

ՇՈՒՇԵՑՈՒՄ ԲԱՌՈՒՑԵԼՈ.

Հշոնքից շրմենածութեա, հռմ լիսատառութ ճակացանեածութեա կոնցրութիչ. Սպառաւրո ցաշութից եւ կը լուսակացաւ; Մեղլու սատու ԾՌՈԱԼԵՅԹԸ ծաբահա և արյուն վունքուն թին, մազրամ մուշտմենլոնեա տուրեմասաւ ցալայլութ, և հայ սուրբ գութեան պատճեան պատուածութեա, սուրբ սունեն և մուշտուուլու ցամուսւուրութ պատճեան վունքուն եւ անսպասաւ.

Տառեմի հացու մերու աշացու ոյս ոց լուցունից ինձու մուշտուուլու կուտեալութ թիգն և պատճեան ցալայլու ցալայլու ցամուսւուրուուրութ հումած ցաթմուեալութ եւ ամենացաւ.

Հշոնքիմ մուն ցասացութեա, զուտութ տացուտութ, հաօլաւահայ, հռմ սասացուլու ամլենեան պատճեան վունքուն ատաւու թալցեա. մազրամ ցալունի կու լումած սինամած—սեցացարած ցեր մուշտուուլու դուես, პուրուել պայմանից ինձու մուշտուուրութ սամիշագունի տուրեալուամթե ուրուալութեա սարյուստան.

Եռուուս, հռու մզոնու մեասէշշար ցայցեա պատճեան վունքուն անսպասաւ, հաօլեա սարյուստի և ուսպա մուկեսեա, նուրան սունեն եմամալալու նորալու նորու մուն հացու սույս առար նորու դույմուն դույմուն.

— աչա, մմառ, — տեյցա հացու և լուցունից համոշած, — որմուու պատճեան ինձու ուսպատեա, սանամ նու մանճ ջանուհուա.

— հա ցլեներած անցարունու, հացու, ցրու թենունելու ցայցալու ուժուացին, թուլուալուութեա մի գութած էյոնճա, հռու մուսիմա լունճա կայուու մուցու — հայս ելութիուց բաեթուրան հռմ համուացու, մանին եռմ չշի հիմ քայս կայուու առա չպացուա, ուրուու եռումի, ան քուրեսան պարա մանին մուլուալա, հռու հիմու քայս տուե տան մայք ոյսու.

Հացու սուրածան դատուիինութ և մերու ցայցունա, պատութ ցյուան մուեւաչ.

— հաթութ ցոյցուն, հռմ մերու ցլեներած ցանցարունու, — տեյցա ման.

— սույս ինքուլուցենքու եռմ և մուշտու, — եռունացուլու ուսպա սարյուստ մունեալութեա.

— ուրու հա ցուերա, մմառ, մամահմուու ցլենի ոյս և պատապ, — հացու թումուց ցա և մայուսաւան մուցու, — պանին սամունեալու ուր թայցուլունենք — հայ նորութեա մերու մուն սումուն սունդա ցայմարցլութ, ուռույն յուլույն ուսպա պատճեան վու էյոնճա, մուլու և մուսաւու ցենունի նորուն, պայլու քայլու.

\* Հացու սուրածան „հայու տառած“ № 10.

ჩაგუშ მაგრად დაახეთქა წიგნი მაგიდაზე, რათა თავისი სიტყვებისათვის  
შეტი ფასი მოეცა.

— მეც ქალაქში ამისათვის გეახელით, — განაგრძო მან, — იმდენი წიგნი  
უნდა წავიკითხო, რამდენიც კი აქ ჩაეტევა, — ჩაგუშ უცან ვაღაზნექილ შუბლ-  
ზე დაირტყა ხელი, — ყანაში საცეკვავად არ დადიან.

— კარგი ერთი, ყონჩო, არც ჩენა გართ სულმთლად უსაქმურები:

— არა, შენ უსაქმური არა ხარ, მაგრამ მაინც სხვებივით გელიშება, რო-  
ცა ხედავ, რომ დღელამ წიგნებს ჩაგრიჩინებ.

ჩაგუ მაგიდის იმ მხარეს მიუჰლოვდა, სადაც წიგნების მთელი გროვა  
ეწყო. ფერადყდიანი და კანჭემოცლილი, დაფურცლილი, აუკინძავი, ქრიმა-  
ნეთზე შეურილი სქელტანიანი წიგნები ყელამდე წვდებოდნენ.

ჩვენ უკვე ინტელიგენტები გაცევდით, როგორც შენ ამბობ, — განაგრ-  
ძო მან, — მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ სხვა თაობა გართ — სულ წიგნი მიჰი-  
რავს ხელში და მაშინ ვატყობ, — არ კმარა, მეტი ცოდნაა საჭირო, თორებზე ზედა-  
პირზე დავიწყებ ტივტივს. ამას წინათ ჩემი პროფესორი აღშეოთებული იყო —  
როგორ თუ საფრანგეთის რევოლუციაზე თემასა სწერ და ლაფონტენის არაკე-  
ბი არ წაგიკითხახს. მერე მოპყვა, რომ ეს მშენერი, დასურათებული საბავშ-  
ვო წიგნია და ცველა არაკი უკვე მანამ სკოდნია პატარობისას, სანამ წერაკით-  
ხეას ასწავლიდნენ. მეც ვიპოვნე ეს სურათებიანი წიგნი და ოჯავრ გადაეყით-  
ხე. პატარობისას შე თხებს ვმწყემსაცდი, როცა მას წიგნებს უკითხავდნენ.. ახლა  
უნდა ავინაზღაურო დაკარგული დრო, რაც აქამდე დამაკლდა — შევაგსო..

— მართალია, ვინ გიშების მეტე?

— ბევრიც რომ დამიშალოთ, რას გააწყობთ. მაგრამ, რატომ გიკვირთ?  
დიალაც გლეხურად, წარითაშულ გვერდებით გზომავ დღეებს.

ჩაგუ წიგნებისაკენ დაიხარი და ჯონქამ გაიფიქრა, რომ ამ მოძრაობაში მარ-  
თლაც იყო რაღაც გლეხური, — თითქო სიმინდის ტაროს ფუჩეჩი გადაუწია და  
მარცვალი გაუსინჯაო, ისე საქმიანად და დაკვირვებით, ფრთხილად დაუწყო  
ფურცელა კიდეშემოცვეთილ ტომებს.

თეატრი უკვე ჩანქლებული დაუხვდა ჯონქას, კონცერტი დაწყებულიყო.

მან სწრაფად აირჩინა კიბეები. ლია კარებში, ყოველ სართულზე, წაშით  
გამოჩნდებოდა დაცარიელებული ვიწრო ტანი და უფრო ხმიერად მოისმოდა  
შესიკა.

ჯონქა მეოთხე, უმაღლეს ქანდარაზე ავიდა, წინა რიგში მოძებნა თავი-  
სუფალი ადგილი და სირბილისაგან. სუნთქვა შეკრული დაეყრდნო აიგნის მოა-  
ჯირს. ახლა პირველყოვლისა მანანა უნდა მოექცნა. გვერდის იარუსები და-  
სუნდლული იყო ხალხით. ჯონქამ ორთავ მხარეს გულდასმით დაათვალიე-  
რა თოხივე. სართული, მაგრამ მანანა ვერსაც შენიშნა: აქა-იქ, სადაც ქალების  
ტანსაცმელი ნათელ ლაქად გამოიჩინდა ვიწრო იარუსის მოაჯირთან, გაუბე-  
დავად ფართუტებდა მართა. ჯონქამ ჭვევით, პარტერისაკენ დაიწყო. ცეკვა: მა-  
ნანა არც იქ იყო. სავარძლების ზუგზე მიყრდნობილი მელოტი თავი შეირჩე-  
და ზოგჯერ და პრიალა საქოჩირე ციმციმს დაიწყებდა დიდი ჭალის სინათლეზე.

ჯონქამ სინანულით გაიფიქრა, რომ სჯობდა ადრე მოსულიყო, კონცერ-  
ტის დაწყებამდე ფოეში ენახა მანანა.

ქორნაულმა ახლა ორჯესტრისკენ გაიხედა. სწორედ ამდროს წვრილი  
დაშებივით ალიმართნენ ვიოლინოს ქამანები, შეიჩხა დირიჟორის თმა და მე-  
ლოდია თითქო ზევიდან, დაიჩაზის კამარიდან დაწყვა, ლავგარდანებს სრია-  
ლით ჩამოჰყა ფრთაგაშლილი მერცხალივით, პარტში შეტრიალდა ჭალის სი-

ნათლით აელევარებული და სცენის სიღრმეში გაჰქრა. დარბაზში დასტოფა. მხოლოდ ნამგალა ფრთხებით დახატული კანკელი. და შემდეგ შის კვალზე ვერტბლის ბგერებმა დარწყებს სირბილი:

ცოტახანს უსმენდა ჯონქა და ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა. სულ, ორ განყოფილებად იყო კონცერტი. მაშ მანანას ანტრაქტის დროს თუ შეხვდება, აღბათ ვერც მოახერხებს მასთან მარტო დარჩენას. ხორნაული წამოდგა და კარისკენ გაემართა, რითაც უკმაყოფილო ჩურჩული გამოწვია მუღამ მეოთხე ქანდარაზე მსხლომ მოხუც ქალებში. იგრ კიბეზე დაეშვა მანანას საძებრიად. ჯერ პარტერის გვერდით ტალანტებს გაცყვა, მაგრამ ყველგან დაეცეტილი დაუხვდა; სადაც კი სცადა გალება—მოსამსახურე ქალები გადუდგნენ წინ და უჩიჩეს ანტრაქტტმდე მოეთმინა და უქამდებულებით ევლო. ბოლოს, პირველ სართულზე ერთი ლია ლოეა იპოვა და იმედგაწილებული უკანასკნელ რიგში ჩამოვადა.

იგი უყურადღებოდ, ან თითქმის არც უსმენდა მუსიკას. მთელი ლოფა ძვირფასი, მაგრამ თავისამტკივებელი სურნელით იყო აბჭოლებული, — ცხვ-ლოდა და საკმაოდ შეხუთული ჰაერი იდგა. ჯონქა საოპერო თეატრში ყოფნის დროს მიჩვეული იყო მოხატული ჭერის ცეკერას, რაღვან თითქმის ყოველთვის უმაღლეს ქანდარაზე იჯდა ხოლმე. ახლა უხერხულად გრძნობდა თავს, ზედა-სართული ჭერის უფარავდა და მისი ჩრდილი თოთქო თავისუფლად სუნთქვას უშენდოდა. უნდოდა ისევ დაბრუნებოდა შეჩეულ აღილს, მაგრამ გაიციქა, რომ სჯობდა პირველი განყოფილების დასასრულისათვავე გაჩერებულიყო დარბაზის მთავარ შესასვლელთან და იქდან ეთვალთვალებია მანანასათვის.

ბოლოს, დიდიხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა დამთავრდა რომელი-დაც უგრძესი სიმფონია, რის მოსამენადაც ჯონქას იქნებ არც სხვა დროს, უფრო დამშვიდებულს ჰყოფნიდა გულისყური.

ტაშისცემით წამოიშალა ზალხი და ჯონქამ კარს მიაშურა.

დარბაზიდან, ყველაზე აღრე, თმაგაპრიალებული ჭაბუკები და ნაწნავიანი, მოწაფე გოგონები გამოცივდნენ, — წყლის დასალევად, პაპიროსის მოსა-წევად, უმეტესად კი ერთმანეთის საძებნელად და სათვალთვალოდ. სწორედ ესენი არიან მეასეჯერ რომ ასტეხენ ხოლმე ტაშისკვრას და ფეხისბარტყუნს, წვრილი, გამყინავი ხმით მოითხოვენ განმეორებას, თუმც თავიდან არც ისე დიდი გულდასმით მოუსმენიათ. ზოგი მსახიობი აჩემებული ჰყავთ, ნამეტურ გოგონებს; თაყვანისმცემელთა ჯგუფი ცალკე სხდება, თაიგულს ისკრის სცე-ნისაკენ მეტოქის გულის გასხვეთქად და რაც ძალადალონე აქვს, ხმაურობს, თუ კი საღმე შენიშვნა მცირეოდენი ჰაუზა. სპექტაკლის შემდეგ სახლიდე აცილე-ბენ სათაყვანებელს, ყველგან დაობენ მის ღირსებებზე და მოპირდაპირებს ლო-ყებსაც კი უკაწრავენ.

ბეღურების, გუნდივით უივეივით გამოფრთხიალდა ეს წვრილფეხობა და ცოტახნის შემდეგ მათ უკან მოჰყვათ უფრო დადნეჯებული, უკვე დაწყვილე-ბული ახალგაზრდობა. შემდეგ გამოჩნდნენ ქალები, ისეთი თმებით, როგორისაც ჯერ ანტროპოლოგია არ იცნობს, და მხრებზე ისეთი, მელებით, როგორიც ჯერ მონადირებს არ უნახავთ, მერე მთელი დარბაზი გამოეფინა. შიგნით ცოტა-ნილა დარჩენ, უმეტესად მოხუცები.

მანანა. კვლავ არსად სჩანდა, ჯერ გაცყვა ტალანს, ნახევარწრის ბოლომდე შივიდა და უკან გამობრუნდა. მანდილოსნები ჩერდებოდნენ და დაწვრილებით დიღხანს სინჯაფდნენ ერთმანეთის ჩაცმულობას და სამკაულს. ლამაზ ქალს, უფრო მეტად ისევ ქალები შესცეკეროდნენ. ვიწრო ტალანში ჭდევა იყო, მაგ-

რამ მაინც ასწორებდნენ უცხოდ შეკურილი ფეხსაცმლის შემჩნევას, აედეგნებოდნენ ვინმეს და შესციცქინებდნენ ფეხებში.

ჯონქა ცუდ გუნებაზე დააყენა მანანას ამაო ძებნამ და ამრეზილი იცქირებოდა ორგვლივ. სიმუონიურ კონცერტებზე უმრავლესობა მაინც მუსიკისთვის დადის, მაგრამ ოპერებზე კი, თუ დაუკევირდები, ითვიქებდ, რომ ახალი მორთულობის საჩვენებლად და სხვგვის დასათვალი ერებლად მოსულობ ბევრი. ასე ოდესლაც ეკლესიაში დატიოდნენ ქალები თავის გამოსაჩენად და ჭორის გასაგებად, არც ისინი იყვნენ დიდად ღვთისმოსავნი და უთუოდ არც ესენი მოუყვანია აქ მუსიკის სიყვარულს.

ჯონქამ ზევით ტალანტებიც მოიარა, გარეთა შემოსასვლელში, სალაროსთანაც გაიხედა, ორიოდე ჭაბუკი, მათ შორის რეზო, იქაც სეირნობდა — აცა, ვინმებ დაგვინახოს, რომ ჩვენც აპერაში ვართო, — უკან შემობრუნდა უკვე გულგატეხილი და უეცრად, სარკესათან, პირისპირ შეეფეთა მანანას.

— აჲ, რამდენი გეძებდ, — წამოიძახა ბიჭმა დაუფარავი სიხარულით

— მეძებდე? რატომ? საქმე გქონდა რამე?

ჯონქამ უნებურად ზურგს უას წაიღო მკლავები, თუმცა ხელის ჩამორთმევას არც აპირებდა. იგი მიხვდა, რომ ქალი სულაც არ ფიქრობდა მასთან შეხვედრას, ან დავიწყებული ჰქონდა გუშინდელი საუბარი და ახლა ერ გაუგო. მეორე წუთში კი ბიჭმა ინანა თავშეუტავებელი წამოძახილი — მანანას გვერდით თამაზი და ციკინი იღვნენ.

ჯონქას ისლა დარჩენოდა — სალამი მიეცა მათთვის და გაჩუმებულიყო.

ციცინო, რასაკვირველია, მუსიკაზე მსჯელობდა. ჯონქა ცოტახანს უხერხულად დღგა და ერ გადაეწყვიტა — დარჩენილიყო მანანას გვერდით, თუ წასულიყო თავისთვის, იქნებ ზედმეტი იყო აქ.

მანანას ისევ ბოლისტერი კაბა ეცვა. ფორში მოსეიონენი, განსაკუთრებით ქალები, ხშირად იხედებოდნენ მისკენ. თამაზი ოდნავ მოწყვენილი სახით უსმენდა ციცინოს, ნაძალადევად აღიმებოდა თანხმობის ნიშანდ.

ზარის ხმა გაისმა და ხალხმა დარბაზს შიაშურა. ჯონქა თან გაჰყვა მაყურებელთა ნაკადს სწერებთან ერთად.

— შენ სადა ზიხარ, ჯონქა? — ჰკითხა მანანამ.

— ზევით, უმაღლეს ქანდარაზე.

— იქა სჯობს, — სთქვა თამაზმა, — ვისაც მართლა მუსიკის მოსმენას სურს, მეოთხე სართულზე უნდა ავიდეს, ხმა ყველაზე უკეთესად იქ აღწევს.

— გითომ? — დაქვედა მანანა.

— გარწმუნებთ. არქიტექტორებმა აკუსტიკაც იციან. მეოთხე სართულის შეა იარუსი ყველასა სჯობს.

ჯონქა ქმაყოფილი დარჩა მეოთხე სართულის ასეთი შექებით, თუმცა ის კი გაიფიქრა, რომ ზოგი თვალს ერ მიუწვდენდა სცენას იმ სიშორიდან.

— წამოდი ჩევნთან, ჯონქა. — უთხრა მანანამ, როცა პირველ საჩთულზე, ერთერთი ლოჟის კართან მიეიღნენ, — თავისუფალი ადგილი გვაქს.

— არა, მაღლობთ, — და ჯონქა უეცრად აჩქარდა, სწრაფად დასცილდა. მათ და წავიდა. მან დამცურებულად იგრძნო თავი, ახლა მოქმენა, რომ წერან თამაზმა განვეძ. დაუწყო უმაღლეს ქანდარას ქება, რათა უხერხულობა არ ეგრძნობებია ხორნაულისათვის.

ზევიდან სულ სხვაგვარი სჩანრა დარბაზი. თითქო ღრმა ხეობაში იცქირებოდი კლდის წვერზე გაწოლილი. ნათურების მტევნად შეკრული დიღლი სულ დაბლა, ხელის მისაწვდომზე ეციდა, როგორც ვარსკვლავთა ხომლი.

ზაფხულის ღამით. ქვევით თუ ჩაიხედავდი და დიღხანს გაუშტრებდოთ თვალს — დაიწყებოდა თაებრუხევეება. დიდი დარბაზი მუსიკის ტაქტით გემივით შეირხეოდა, წავიღოდა ოდნავ შესამჩნევა ცურვით. ყოფელივე უფრო გრანდიოზული და შორეული იყო ამ. სიმაღლიდან, სცენა ჰქორგავდა პირობითობის ელფერს. რომელიმე ოქერის დეკორაციებზე ხეების ნამდვილი სიმწვანე, სუროთი მოთვენილი ძველი კედლები მოსიანდნენ შეღებილი ფანერისა და მუჟაოს ნაცვლად. მასხიობებს გმირი სახის ნაკვერებად გადაქცევდათ. სინათლის ცვალებადობა ჰქმინდა ბავშვის სიზმრის მსგავს სანახაობას, საოცარი ილუზიებს, რომლებსაც მოკლებული არიან პარტერში ან ლოკაში მსხდომი მაყურებლები. ახლაც, ორკესტრი სცენაზე სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. თითქმის ჰქონდედ მიკრულ ქანდრიდან ვერ დაინახავდი მემუსიკეთა გაწითლებულ, დაბერილ ლოყებს, აღტკინების იფლით. დანამულ მელოტებს. აქ უცხო იყო წინა ლოჟების მაყურებელთა განცდა, როდესაც მოულოდნელად შენიშვნა ვინგე ლიპიან მემუსიკეს, თუ როგორ არხევს ქვედა ყბას შოპენის სევდიანი მელოდიის ტაქტით. მხოლოდ თეთრლარიანი ქამანების სრიალი მოგაგონდება ფიქრებში წასულს, რომ მუსიკა სცენიდან მოდიოდა.

ჯონქა მკერდით მიეყრდნო მოაჯირს. ასე შორს აროდეს უგრძენია თავი-მანანასაგან. ეს პირველი, ყველაზე უფრო ძლიერი ტკივილი იყო, რომელიც სიყვარულმა განაცდევინა. ახლა თითქო ინანა კიდეც, რომ ამ ორიოდე დღის წინ თავისითავს გაუმხილა აქამდე დამალული, ბუნდოვანი გრძნობა. მაგრამ უკვე გვიზნ იყო. დაღვრებილი იცქირებოდა ქვევით, ფიქრები თვალები საგნებს ჰქონგვდნენ და დარბაზს სიღრმე ემსტებოდა, პარტერში მსხდომი ფერად ლაქებად იქცეოდნენ.

— აა, ჯონქაც აქ არის.

ხორნაულს ეგონა მოუწვენა ქალის ხმით ჩურჩულით ნათქვამი. მაგრამ მიიხედა და გაოცებით დარწმუნდა, რომ მანანა და თამაზი ფრთხილად, ფეხის. წვერებით ჩამოდიოდნენ ხის კიბეზე, რათა არ ეხმაურათ.

— შეიძლება აქ დავსხდეთ? — ხმაღაბლა იქითხა მანანამ.

— ჩასაკვირეელია, დაბრძანდით, — ჯონქამ გვერდით გაიწია და სცენას მიაკურდა, მაგრამ იქ ვერაფერს ხედავდა, საკუთარი გულისცემა და მანანას კაბის შრიალი ისმოდა მხოლოდ, მას ვერ გაეგო რისთვის ამოვიდა მანანაზევით და თან იათაძეც ამოიყვანა. რამდენიმე წუთმა ასე გაიარა დაძაბულ დუმილში.

— შუბერტ-ლისტი, — წაიჩურჩულა თამაზმა.

ჯონქამ ყური მიუგდო.

მან არ იცოდა დღევანდელი კონცერტის პროგრამა, მანანას სანახავად მოვიდა აქ.

ჯერ თითქო წარსულს იგონებდა ვილაც. ადრე შემოდგომის თბილი ქარი, შრიალით ჰქონდება ჩამოცვენილ ფოთლებს, კუნძულები მოხუც მებალებს კალთაზე უფენდა. ნამჯააში, ქარვის წვრილ სალამურებში უსტენდა ჟარი. ჩადიოდა. მზე მოთიბულ მინდვრებს იქით. წარსული სიხარულის მოგონება.

მაგრამ თანდახან ახლობელი, გასაგები, საკუთარი: ჭახდა ეს მუსიკა ჯონქასათვის.

ისევ პატარა ენძელა. მოაგონდა, მარტის მზით გაღვიძებული ფიჭვები-ისევ გაუთბა სული.

გაზაფხულიც იყო იმ სიღრმეში და შემოდგომაც, იქნება იმიტომ, რომ  
ისინი მართლაც ჰვანან ერთმანეთს, ენძელაც ხომ ორჯერ ამოდის — აღრე  
გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით.

დიდხანს ისმენდა გაყუჩებული დარბაზი. როცა მუსიკა შესწყდა, ერთ  
წუთს დუმილი გამეფდა, როგორც ქარის ამოსუნთქვის დროს. შემდეგ ერთბა-  
შად იგრიალა ტაშმა.

მანანაც ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშმა, ლაწვები გაუვარდისფერდა  
ალფრითოვანებისაგან.

— საუცხოვოა, საუცხოვოა, — ჩურჩულებდა მხურვალედ.

პიანისტი თავდახრილი იდგა, მაგრამ ტაშმისცემა არ სწყდებოდა. იგი  
ცნობილი სახელმოხვევილი მუსიკოსი იყო. ჯონქას აქამდე არ ენახა მანანა  
ასე გატაცებული, ქალი ძლიერ გადიხარა მოაჯირზე და ჯონქამ უნდბურად  
ხელი შეაშველა.

მაგრამ ერთი რამ არ გამოპარვია ჯონქას, — მანანაზე მუსიკას სულ  
სხვაგვარი შთაბეჭდილება მოეხდინა. ხორანაულს რაღაც კეთილშობილური  
სითბო და სიმშეიდე დაუტოვა ამ სერენადამ, იგი თითქო საკუთარი, საიდუმ-  
ლო გრძნობა იყო და სხვას ვერ ეტყოდა ამისათვის. მადლობას. მანანა კი,  
შველასთან ერთად, სცენისაკენ იყურებოდა.

ჯონქა დააკვირდა პიანისტს. ტანდაბალი წითური აზალგაზრდა. აქედან  
ვერ შენიშნავდი, მაგრამ ჩვეულებრივ, მისი იერის მქონეთ, სახე და ხელებიც  
კი მსხვილი ჭორფლით აქვთ ხოლმე დაფარული. ჯონქამ ისევ მანანას შეხე-  
და. ქალი ამაყად ილიმებოდა, თითქო მას გაუმართეს ოვაციები და თან დახ-  
რილ წამჭამელი თვალები ნატყრით შესცემოდნენ სცენას.

ხორანაულს სამუღამოდ შერჩა ხსოვნაში ეს სურათი. მოაჯირზე. გადახრილ  
ქალს მუსიკის დიდების ანარეკლი ალბეჭდოდა სახეზე, იგი განიცდიდა სხვის  
სიამაყეს, უთუოდ ერთი წუთით თავის თავი წარმოიდგინა იმ წითური, ჭორ-  
ფლიანი ჭაბუქის აღვილოს.

დარბაზი დაშოშმინდა და ორკესტრმა ისევ დაუკრა ფორტეპიანოსთან  
ერთად.

— მოცარტის სიმფონია, — სოჭვა თამაზმა, — sol-minor.

ჯონქა გამოუტყდა თავისთვეს, რომ არამც თუ ვერ გამოიცნო რას უკ-  
რავდნენ, ნაწარმოების სახელიც პირველად ესმოდა. თამაზი ჩუმად გამოელა-  
ზარავა მანანას.

— არა მგონია, — მანანა ჯონქას მოუბრუნდა, — შობენის. პოლონეზი  
უკვე შეასრულეს თუ გახსოვს? ჩვენ დავიგვიანეთ.

ჯონქა შეშფოთდა.

— არა... ჯერ არა...

ხორანაულს ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა შობენზე და მის  
პოლონეზზე. თუ კიდევ შეეკითხებოდნენ რასმე — უთუოდ გამომუღავნდებოდა,  
რომ ალპზე შემოსწრებულ მგზავრებით არაფერო გაეგებოდა არც მიცვა-  
ლებულისა და არც ჭირისუფლისა.

მან ისევ ორკესტრს მიუგდო ყური, იმ იმედით, რომ ეს რაღაც sol-minor  
მაინც დაეხსომებია შემდეგისათვის. ზოგჯერ თითქო მთის ბროლის ნაზ-  
ტერევები მოჰქონდა წყაროს. მოჩხრიალებდა ლოდებზე წყალი და ბროლის  
კენჭებს წერიალი გაპჭინდათ, ზაესიან ფსკერზე ეჯახებოდნენ ერთმანეთს,  
იმსცერეოდნენ. მუსიკამ თანდათან მოსტაცა გულისყრი ჯონქას და ახლა  
კვლავ დაფიქრდა, თუ რატომ ამოვიდა მანანა მეოთხე ჭანდარაზე.. ნუ თუ

იმისთვის, რათა კონცერტი უკეთესად მოესმინა. ისევ იმედები? არა მანანას სულ თამაზისაკენ ჰქონდა სახე, მას ელაპარაკებოდა.

ჯონქა უკერად აენთო და ფეხზე წამოდგა. უნდოდა წასულიყო აქედან, უხეშად გაევლო გვერდით მსხვომთა ცხვირისაწინ, ხმაურით ასულიყო ხის კიბეზე, დაეტოვებია დარჩაზი და შემდეგ აღარ ენახა მანანა.

მაგრამ ეს განწყობილება ძლიერ მცირე ხანს გაგრძელდა.

— დაჯექი, — უთხრა მანანამ, — აქედან ხელებს მაინც ცერ შეამჩნევ.

ქალს ეგონა, რომ ჯონქას პიანისტის ხელები, დაკურის ტექნიკა აინტერესებდა.

ხორნაულმა ჩაიცინა და დაეშვა სკამზე.

არა, წასვლა არ შეეძლო.

კონცერტის დამთავრების შემდეგ, კიბებზე ჩასვლისას მანანამ მჟღავში მოკიდა ხელი ჯონქას და გარდერობისაკენ წაიყვანა. თამაზი ხალხში სადაც გაჰქირნა და ხორნაული მზად ძყო მიელოცა თავისთავისათვის. მაგრამ იათაძე, ისევ მალე გამოჩნდა მანანას პალტოთი ხელში.

კარებში გამოსვლისას ხალხის ნაკადშა ჯონქა კედელთან მიიმწყვდია და ჩამოარჩინა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ორგორუც იქნა გამოვიდა კარში და წა-მოეწია სხვებს. მაგრამ ახლა უკანას დაინტერესდა — მოუცდიდა თუ არა.

კარგა მანძილზე გაპყვა უკან ჯონქა მხიარული საუბრით მიმაგალწყვილს. დიდხანს ელოდა, რომ შენიშნავდნენ და დაუძახებდნენ, მაგრამ მანანას ერთ ხელაც არ მოუხედია, გამოსალმებაც კი არ მოაგონებია.

ხორნაულმა თანდათან უკლე ნაბიჯებს და უკან გამობრუნდა. ასე უცნაურად და მოულოდნელად დამთავრდა ეს პაემანი.

თეატრის წინ გოგონების ჯგუფი იდგა თაგულებით, უთუოდ პიანისტის უცდილენეს.

შეცივნულმა ჯონქამ ხელები ჯიბეში ჩაიწყო და გამზირს გაზედა. მოწაფეობისას ერთ მასზე უმჭროს ბიჭთან აჭიდებდნენ ხოლმე ჯონქას. ბიჭი ყოველთვის სჯობნიდა, რაღაც ხნოვანებითაც მეტი იყო, ტნითაც და ონეც-მეტი ჰქონდა. მაგრამ ლუკანთ ყმაწვილი ჯიუტობდა, მაინც გულდაგულ ეჭიდებოდა და მუდამ ცხვირგადაყვლეფილი და მუხლდალურჯებული დადიოდა. ტოლებს მოსწონდათ მათი თავგამეტებული ჭიდილი და დღე ისე არ გავიდოდა, რომ ერთმანეთისათვის არ დაეტაკებიათ. უფროსი ჯერ ადვილად იჯაბნებდა, მაგრამ შემდეგ პატარა ხორნაულის უტეხმა ჯიუტობამ და გააფორებამ შეაშინა და ერთხელაც უარი სთქვა მასთან დაჭიდებაზე.

ჯონქა ამ ამბავს თავის ყველაზე ღიღდ გამარჯვებად სთვლიდა. იქნება ახლაც უშველოს სიჯიუტემ და გააფორებამ.

დაფიქრებული და მოღუშული დაბრუნდა ხორნაული შინ. სტუდენტებს ჯერ არ ეძინათ. ზოგი უკვე დაწოლილიყო, მაგრამ მაინც მონაწილეობდა. მხიარულ საუბარში. კიჭას მაგიდაზე, გაეშალა მთელი გროვა ფანქრით ნაწერი აჩვეულებისა, ქაღალდებისა და წესრიგში მოჰყავდა. ყველა ისინი შუაზე იყვნენ გადაკეცილი ჯიბეში ტარებისაგან, ჯონქა მიხვდა, რომ მიათმა ოთახმა. გადასწყვიტა საგაზაფხულო გამოცდებისათვის მზადებას შესდგომოდა, კიჭამაც კონსექტების შეგროვება დაიწყო უთუოდ.

ჯონქა სარკესთან მივიდა ყელსახვევის მოსახსნელად, მოაგონდა რამდენ ხანს ტრიალებდა აქ ამ რამდენიმე საათის წინ და კიდევ უფრო გაუფუჭდა გუნება.

— რაო, ჯონქა, რად მოგიწყენია,—გამოეხმაურა საწოლიდან ჩაგურ  
ჯონქამ არ უპასუხა, პიჯაკი გაიძრო, თაროდან წიგნი გადმოიღო და  
ლოგოზე ჩამოჯდა. იცოდა, რომ ჯერ ვერ დაიძინებდა, გადაფურცლა წიგ-  
ნი, მაგრამ კითხვა არ დაუწყია. ისე დააჩერდა სტრიქონებს.

— ეგრე, ბიჭებო, — სოქვა კიჭამ, — ორიოდე თვეც და მერე გამოცდები,  
უნივერსიტეტის დამთავრებაზე დავცილდებით ერთმანეთს.

ყველამ თავი წამოჰყო ბალიშიდან. ჯონქამაც უნებურად შეათვალიერა  
ოთახი, ეს უბრალო, თეთრად შეფეთქილი კედლები და თეთრ ზონარზე და-  
კიდული ელნათური, გრძელ მაგიდაზედ დახვავებული წიგნებით, სუფთა  
საწოლები, კედელზე მიკრული ფოტოსურათები და ხელისგულისოდენა სარ-  
კეები სამუდამოდ დარჩებოდა მათ ხსოვნაში.

(შემდეგი იქნება)

## ხ უ თ ი ს მ ა მ ა

არხევს წამწამებს ცა-ფირუზი ქარვისთვალება,  
წინ ყუჩად გდია შენაცრული მთების განივი,  
გაშლილ ჭიუხზე ჯანლი თეთრიდ მიბარება  
ბახტრიონიდან დამარცხებულ სელიმ-ხანივით.

ქრება ცისკარი, კლდეს დაეცა ნაფრენი ყორნის,  
წვანან ჰედლები აჭორჩილი, დუმილით სავსე...  
მოთვლის ღინჯად ბერიკაცა ნაბიჯებს მოლლილ  
და თან გზადაგზა ახალწვეულს არიგებს ასე:

— შენაც მიდიხარ, ჩემი გვარის მეხუთე ფესვი  
და სიამაყე ღადარივით ჩაერთო ამ გულს,  
ხუთი იქნებით, ჩემი შვილო, მით უკეთესი,  
ხუთივე ერთად ასახელებთ ზეზვას ფრანგულს.

ჩვენი ჯილიგი შეფრირა ერეკლეს დროშას,  
არ მოგვიხუჭავს განსაცდელში არწივის თვალი,—  
გმირი სჭირდება, ვიცი შვილო, — ამ მზიან დროსაც,  
გმირი სჭირდება მკლავმაგარი ხალხსა და სტალინს.

და მეც მეხუთეს ღირ საქმისთვის ვგზავნი ამჯერად,  
რომ ბრძოლის ცეცხლი საკუთარი ბეჭებით ზიდო,  
არ მოგეცაროს შემართული მტერზე მარჯვენა,  
დაპკა ფხინად, ათაც იყოს, არ დაერიდო.

თუ გრიგალივით ამაიჭრა ამბავი მთაში—  
შეეწირნენო ხუთი ძმანი სტალინს საქმეს,  
ვალგადაჭდილი, გულზიაღად მოვკვლები მაშინ,  
აქ დავიბადე — ამ კლდე-ღრუში დამმარხონ აქვა.

აღარ მაშინებს მოხუცებულს სიკვდილი, რადგან  
თუშეთი ვნახე ავსებული შეომის ბარაქით,  
როცა ნამთევი ფეხი ბარის მიწას დაადგა,  
სტალინს მისწერე ჩემს მაგიერ, შვილრ, ბარათი.

მისწერე ყველა საკუთარი გულის თანახმად,  
ჩემი სურვილიც შიგ ჩაურთე შენი კვნესამე,  
ნეტავ მეღორსოს მოხუცებულს იმის დანახვა,  
რომ მოვულოცო იქტომბერი ლცდამესამე.

აზრი არ მომდევს და ნაოჭომი არ დამიძროხო,  
გტრებთან ბრძოლაში ეს ხანჯარი კარგა გასჭრიდა, —  
მისწერე-მეთქი — ამ მთებიდან მეც გამიძახოს,  
ბებერი თუშის დახმარება თუკი დასჭრდა.

ავისხამ მაშინ ძველ ბრძოლებში ნაცად იარაღს,  
ვაკეაცურ ქუხილს მთიდან არც მე დავაგვიანებ,  
რომ ოქტომბერი ამისთანა ასი კი არა,  
ასიათასი დაუუმკვიდროთ აღამიანებს.

იმად გაგზიარდე — არ ინდომო დოვლათი სხვისა;  
აჩც შენ დაუთმო ამ მაღლიან მიწის სიუხვა  
არ დაულია ჩვენს ქვეყანას კაშკაში მზისა,  
არ დაულია შურიხის სტვენა მაღალ ჭიუხებს.

მშობლიურ ნანად გაიყოლე აბჯრის ხმაური,  
მკლავშემართული ერთი თაზე მიხვიდე როცა, —  
მაშინ მიწიდან წამოდგება გაფრინდაულიც,  
წამოდგება და ნაჯაფარი შნის დაგილოცავს.

ახლა კი წადი, მშობლის გულმა დაგაგვიანა,  
დრითა გასული, მაატანა თენებამ ღამის, —  
ზურგში არ დაგურან, გაუფრთხილდი, იყვ ფხიანად,  
არ შეარცხვინო დაოლელილი ჭალარა მამის... —

მხარზე აკოცა და წავიდა კალთის შრიალით,  
საღაც თხხია, იქვე იყოს მეხუთე ბარებ...  
დასუნსულებდა ჯანღდაცემულ მთაზე ნიავი,  
ღამის ღუშილში ირწეოდა ნამგალა მთვარე.

ლეგა ხევები დაბერებულ უჩჩელებს გავრდნენ,  
მშიერი მგელი გაჲყმუოდა ღამეს ეხიდან, —  
და ჭარვისფერი ნატეხებით მოკენჭილ ცამდე  
გახუნებული მანდილვით ბინდი ეკოდა.

# ქ რ ი ტ ი პ ქ

ერ. ასოციაციატუროვი

## სტალინი საბჭოთა კავშირის ხალხთა კოვერტ გემოქმედებაში

„სტალინი — ეს არის ლენინი დღეს“.  
ა. ბ ა რ ბ ი უ ს ი.

კულტურული კაცობრიობისა და პროგრესიული აზროვნების ყველაზე დიდი წარმომადგენლები მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი გვასწავლით, რომ ყოველივე წარმავალია, უკვდავია მხოლოდ ხალხი. და ის, ვინც შესძლებს ჩასწოდეს ხალხური შემოქმედების ოქროს საუნჯეს, თავისი ცხოვრება ორგანიულად დაუკავშიროს ხალხის აწმო და მომავალ ბედის, მისი მისწრაფებებისა და პროგრესიული იდეებისათვის ბრძოლას საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, იგი, ხალხთან ერთად, უკვდავპყოფს საკუთარ სახელს. ასეთი ადამიანები იქცევან ნამდვილ ხალხურ გმირებად, რომელთაც ხალხი მოული თავისი სიცოცხლის მანძილზე დიდებითა და სპეტაკი სიყვარულით მოიხსენიებს.

ხალხი, მისი დემოკრატიული მასა მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე დაუცხრომლად იბრძოდა ადამიანური ცხოვრებისათვის, ელემენტარული ადამიანური უფლებისათვის. მიუხედავად სასტიკი და ულმობელი წინააღმდეგობისა, მრავალი დამარცხებისა და შეურაცყოფისა, ხალხი არასოდეს არ დაჩოქილა ბედის წინაშე, იგი თავის სევდიან მოთქმაში არასოდეს არ მისულა. სასოწარკვეთილებამდე და ყოველთვის ინარჩუნებდა მომავლის იმედს. ხალხი ზღვაა და დაუშრეტელი წყარო შემოქმედებითი ძალისა და ნიჭის, ფანტაზიისა და ოპტიმიზმისა. და, აი, ამ უძირი ზღვიდან ჰკრეფდა ყოველი ხალხური პოეტი სულიერი კულტურის თვალმარგალიტებს, წარმტაც ფერებსა და პანგებს. იმისათვის, რომ შეექმნა მიზიდველი სახეები, რომლებიც შორეულ შოამომაცლობას ვადასკემდნენ ხალხის ადამიანურ გულისთქმას და ვააღვივებდნენ მათში სამშობლოსა და უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის სპეტაკ იდეებს. ხალხი წარსულში ჰკრძნობდა კიდეც თავის სისუსტეს. იგი ხედავდა, რომ სინამდვილე ღარიბი იყო ისეთი ცოცხალი ადამიანებით, გმირებით, რომლებიც თავისში გაართიანებდნენ ხალხის ძალას და გახდებოდნენ პროგრესიული მოძრაობის უძლეველი წინამდლობრი. ხალხი ასეთი გმირების მონუმენტალურ სახეებს ჰქმნიდა უმთავრესად საკუთარი ფანტაზიის მდიდარ წყაროდან. აღრინდელ ხალხურ ეპიტერ შემოქმედებაში ებჯდებით ფანტაზიით შექმნილ სკეტ ნათელ ადამიანურ სახეებს, რომლებშიაც მოცემულია ხალხის ტიპიური მხარეები, საუკეთესო.

თვისებები. ამ სახეებში, როგორც ფოკუსში, თავს იყრილნენ დემოკრატიული მასის მისწრაფებები და ფართო გასაქანს პოულობდა მისი ჯანსაღი ოცნება. შეგრამ რაც უნდა ფართოდ გვეჩვენოს ხალხური შემოქმედების ფანტაზიის სფერო, ის მაინც აშკარად მოხსანს, რომ მიმზიდველ ტიპთა სახეებში ხალხი ჰქმნიდა თავისი მაგალითის წაბაძვით. რომ ყოველივე საუკეთესოს საზომი იყო მასის ინტერესები, რადგან ეს მასა იყო ნიჭირი შემოქმედი ყოველივე ცხოველმყოფლური ღირებულებისა. ფოლკლორი ყოველთვის უდიდესი სიყვარულით მოსახს ხალხურ გმირებს, რომლებიც იბრძვიან არა პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ ხალხისათვის.

მაგრამ თუ ამავე დროს სევდითა და ნაღვლით იყო შემოსილი ფოლკლორის ჰანგი, არ სამოდა იქიდან აწეული იმედიანი ხმა, ეს იმიტომ, რომ თვით ხალხი, რომელიც ცხოვრებას ჰქმნიდა, არ იყო ბატონ-პატრონი იმისა, რასაც ჰქმნიდა!

სოციალურად და პოლიტიკურად დაბექავებული, შევიწროვებული და დევნილი ხალხი ჰქმნიდა სევდიან სიმღერებს. ცარიზმის მიერ დაპურობილი ერების მომღერლები, აშულები, მთქმელები უმღეროდნენ თავიანთ ხალხის სევდას და ტკივილებს:

„იბადებოდნენ სიმღერები ბნელ აულებში  
მონიბისაგან ტანჯულ ქვეყნის გამომსახველი  
და ასეულ წლებს მოპყვებოდნენ მწუხარ ჰანგებში,  
როგორც ვაგა, ბედკრულ ხალხის მძიმე ნაღველი“.

პუშკინი ხალხურ პოეზიას უწოდებდა სევდიან მოთქმას, ნეკრასოვმა კვენესა უწოდა მას. არა მარტო ხალხური შემოქმედება, დიდი პოეტების ლირიკაც სევდით იყო შეპყრობილი. თვით პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, შევჩენკო, ნ. ბართაშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და მრავალი სხვა სევდიანად და გულისტყვილით მოსთვავამდნენ თავიანთი ხალხის ბედზე. ამ მწერლების შემოქმედებაში თქვენ ვერ ნახავთ გულიდან ამონეთქილ ნამდვილ სიხარულს. აკაცი წერეთელი ერთ თავის ლექსში ამბობს:

„ჩემო თავო, ბედი არ გიშერია!  
ჩემო ჩანგო, ეშით არ გიუღერია!  
ჩემო ვულო, ტკბილად არ გიძგერია...“

დიდი ქართველი პოეტის ამ სიტყვებში ნათლად მოსჩანს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდელი ხალხური შემოქმედებისა და კეშარიტი მწერლობის მთელი შინაგანი განწყობილება. ხალხს წართმეული ჰქონდა სიხარულის უფლება. მისი შემოქმედების მხატვრული სახეები, შედარებები, საღაბავები შავი და დაბინდული ფერისა იყო, აკლდა მზიური შუქი და ელვარება. იშვიათად შეხვდებით ყველა ხალხის ფოლკლორში სიხარულისა და ბედიურების უშუალო გამომხატველ სიმბოლიურ სახეებს. თეთი მზეს, რომელიც თითქოს ყველას თანაბრად უნდა აწვდიდეს სითბოს და შუქს, დაკარგული აქვს უშუალო მნიშვნელობა და ხალხის წარმოდგენაში მას ვხვდებით, როგორც ოცნების საგანს. ხალხის ბედთან ერთად მზეც გორის იქით გადასულა, არა ანათებს. ამ ათბობს მშრომელ ხალხს. დემოკრატიული მასა ევერება მზეს — ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორისო, ხალხი სიცივესა და ყინვას შეუპყრია, შენი სითბო მაინც გვაგრძნობინეო. მზეც არ მზეობს ხალხისათვის. ან კი რა შეუძლიან მზეს? მას ხომ მხოლოდ აღამიანის სხეული შეუძლიან გაათბოს და არა სული.

აი, რატომ არას, რომ თვით მჩეც არ აჩის უდიდესი სიხარულის გამოხატულება წარსულ პოეტურ ფოლკლორში.

მთელი საუკეთესო აზრი აღრინდელი ხალხური მხატვრული შემოქმედებისა იყო, რომ შეენარჩუნებინა თაობებში ჩტებნა და ნებისყოფა აღამიანური ცხოვრებისა და სიხარულისათვის ბრძოლაში. და როცა ეს საკითხი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე სტანჯავდა აღამიანის გონებასა და სულს, ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დადგებოთად გადასჭრა, ხალხის ინტელექტუალური ნიჭი მღელვარე ზღვის ტალღებივით ამონრავდა, განდა ყოველი საუკეთესოს სათავე. ხალხის წარმოდგენათა სამყარო ფანტაზიიდან რეალურ სინამდევილეს დაუბრუნდა. ახლა, როცა ხალხი თვითონ ჰქმნის, რაც მას ადრე ფანტაზიად და ტებილი, სულის დამაყუჩებელი ოცნების საგნად ეჩვენებოდა, მის პოეტურ მუზას წარმოუდგენლად ფართო ჰორიზონტი შეექმნა. სევდა მასში შესკვალა უსაზღვრო სიხარულმა, აფრთხოებამ, ხეალინდელი დღის შეგნებამ. სახეები და შედარებები ნათელი და უშუალო გრძნობით აივსო. მზე და მისი მსგავსი სახეები თავისი მნიშვნელობით შევიდნენ ფოლკლორში და გახდნენ დღისას, ძლიერისა, საუკეთესოსა და სიხარულის გამომსატველი.

ამასთან დღიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციაშ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ხალხის პოეტურ წარმოსახვაშიც. იგი გახადა ბოლომდე რეალისტური. ხალხი, იბრძოდა რა უკეთესი მომავლისათვის, სურვილისა და ფანტაზიის მიხედვით ჰქმნიდა და უმღებელი ისეთ ჭკვიან და მეტად კეთილშობილ რაინდებს, გმირებს, რომლებიც ებრძოდნენ და ამარცხებოდნენ ბორიტებას, ჰქმნიდა ზღაპრებს, ლეგენდებს ისეთ ჭალაჭებსა და ქვეყნებზე, საღაც ადამიანები თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, ხატავდა მასიდან გამოსულ უბრალო აღამიანების სახეებს, რომლებიც გმირებად ხდებოდნენ და აღწევდენ იმას, რაც შხოლოდ აღამიანის უცნებას შეეძლო წარმოედგინა. ამგვარად, უოლკლორის აღრინდელი სახეები და გმირები, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად ფანტაზიის ნაყოფი იყო, რადგან ხალხი მის მსგავს აღამიანებს სინამდვილეში ერე ხედავდა. ახლა განახლებულ ცხოვრებას თავისი ცოცხალი ზღაპრული გმირები ჰყავს, თვითონ ცხოვრობს ხალხი ისეთ თავისუფალ ქვეყნაში, რომელიც მას ადრე მხოლოდ ზღაპრულ ქვეყნად ეხატებოდა, და იგი თავისი ლირიკული ლექსებისა და ეპიური ტილოების გასაღად ამ რეალურ გმირებსა და რეალურ სინამდვილეს იღებს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეტური შემოქმედების მთავარი გმირები არიან ყველაზე დიდი აღამიანები, რომლებსაც მრავალი თეული წლის მანძიზე მიჰყავდათ და მიჰყავთ მშრომელი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, რომლებიც თავისში აერთიანებენ ყოველივე საუკეთესოს, რაც კი დაუგროვებია დღემდე პროგრესიულ კაცობრიობას, რომელთა აზრები და ფიქრები დაკავშირებულია ყველა მშრომელისა და მოწინავე აღამიანის სულთან და გულთან. ესენი არიან გმირი-ბელადები.

მარქს-ენგელსის საქმის უდიდესმა გამგრძელებლებმა და განმავითარებებმა ლენინმა და სტალინმა შეასწავლეს ხალხს რევოლუციური სიმართლე, გაუხსნეს კაცობრიობას გზა ბელიერებისაკენ და შეუქმნეს საბჭოთა კავშირის ხალხებს სამური და სიხარულო ცხოვრება. სოციალისტური რევოლუციის ბელადებმა ასწავლეს ხალხს სოციალიზმის მშენებლობისა და მტერზე გამარჯვების ხელოვნება, შთავონეს მთელ რიგ თაობებს კეთილშობილური. საკაცობრიო იდეები და გრძნობები. მათი სახელები დღეს ჩვენი

წინსელის დროშა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გამარჯვების ჟველა ფრონტზე.

და სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედებაში არ არსებობს უფრო მახლობელი და მშობლიური სახელები, ვიდრე სახელები დოდი ბელადებისა — ლენინისა და სტალინისა. სრულიად ბუნებრივია; რომ ხალხს არსად და არასოდეს არ უშენერია იმდენი და ისეთი უშუალო განცდით თავის საყვარელ გმირებზე, როგორც მღრღვევის დღეს საბჭოთა ხალხი თავის ბრძენ ბელადებზე — ლენინსა და სტალინზე.

ხალხური სიმღრღვები, თქმულებები, ლეგენდები და ლექსები ლენინსა და სტალინზე შექმნილია უდიდესი იდეური და მხატვრული შთაგონებით, ლიტერატური სითბოთი, ეპიურ სიღრმეთა და განცდათა სიმღრღვებით. ისინი ყურადღებას იპყრობენ აზრის სიმღრღვებითა და გულწრფელობით.

საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხების წარმოდგენაში, შათ მხატვრულ შემოქმედებაში, ფოლკლორში ლენინი და სტალინი განუყრელად არიან ერთ-მანეთთან დაკავშირებულნი. სტალინი — ეს არის ლენინი დღეს, და დიდ სტალინს უმღერიან, როგორც ლენინს უახლოეს თანამებრძოლსა და მისი საჭმელის გენიალურ გამგრძობას..

ვლახდიმერ ლენინი კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის იდეური ურთიერთობის შესახებ ამბობდა, რომ ეს მეგობრული ურთიერთობა აღემატება ყველა იმას, რაც-კი კაცობრიობამ იცის ადამიანური მეგობრობის ზღაპრული გადმოცემებით. მართლაც, ისტორიამ მანამდე არ იცის ასეთი მეგობრობის მავალითი და ის რომ უფრო ადრე ყოფილიყო, ზღაპრებისა და ლეგენდების თემად გადაიქცეოდა. მხოლოდ ცოტახნის შემდეგ განმეორდა ასეთი მეგობრობა ორი დაზი ადამიანისა. ლენინისა და სტალინის მეგობრობა ისეთი მტკიცე და მონალიტური იყო თავიდანვე, რომ იგი ოდნავადაც ვერ შეასუსტეს ცარიზმის სასტიკმა რეპრესიებმა, დაპატიმრებებმა, ხანგრძლივმა გადასახლებებმა და სხვ. ამ ურლევე მეგობრობის საფუძველი იყო ხალხისა და თავისუფლების ინტერესების უმწიდევლო სამსახური. ხალხს წარმატება იყი ამ მეგობრობით შთაგონებული და აღვზნებული გულწრფელობად მშობას:

„მარქსი, ენგელი განუყრელნი იყვნენ, არიან,  
ერთმანეთისგან ვერ გამოჰყოფს მათ ლვაწლს ვერავინ,  
ლენინ-სტალინიც მოვლინენ კაცობრიობას  
ერთნაირ შუქით, ერთნაირი მზის ელვარებით...“

(ყაზახურ ხალხურ ლექსიდან).

ან კიდევ:

„არწივებისგან არწივები იბადებიან  
და შევარდნები შევარდნულად დანავარდობენ,  
ოკენენი — ეს უშრეტი ღვიძლი ძმებია,  
ლენინიც სტალინს. როგორც მომქმედებული გულსაც ანდობდა, —  
ჰევანან ერთმანეთს, ვით არწივნი ფრთათა დაწურვით,  
ვით შევარდნები, ფრთამალიბით ცას რომ სერავენ,  
სტალინს მივყევით, როგორც ლენინს, მარად ერთგულნი,  
სტალინი არის ჩვენ ფიქრთა და გრძნობათ მწვერვალი,  
იცის ბელადმა ეს გულისთვისა და ეს სურვილი,  
ჩვენზე ზრუნვაა მისი ფიქრი, მისი წყურვილი...“

(რუსული ხალხური თქმულება).

ხალხი მწუხარედ გლოვობს ლენინის სიკედილს. ლენინის სიკედილს ხალხი შუქურ-ვარსკვლავის ჩასვლას ადარებს. თავის მძიმე განცდას, მწუხარებას მქა-

ფილ სახეებში გვაძლევს. ფოლქლორში არაჩვეულებრივი უშუალობით გრჩობთ იმ სულიერ რეაქციას, რომელიც გამოიწვია ხალხში ლენინის სიკვდილმა:

„მოულოდნელად დაგვიდგა  
სამგლოვიარო ხანაო,  
დაბნელდა მთელი ქვეყანა,  
შევი ჩაიცეა ცამაო.  
... მაღალსა მთასა ხეებმა  
ტოტები დაიხარაო.  
ფრინველთ შეწყვიტეს გალობა,  
იმათაც იგრძნეს განაო,  
ვაგლახ, მომკედარა ლენინი,  
თავისუფლების გამაო“.

(ქართული ხალხური ლექსი)<sup>1)</sup>

მიუხედავად ამისა, ხალხი გამოუყალ მწუხარებას არ ეძლევა. მას იმედს აძლევს და აფრთხოვანებს ის, რომ სტალინის სახით ლენინის საქმეზ საუკეთესო პატრიონი და გამგრძელებელი ჰპოვა. ლენინი მოკვდა, შაგრამ მან „პატრიონი კარგი დაგვიტყოვა“:

„მზის ჩასვლას უგაეს სიკვდილი  
იმ ჩვენს ბელარსა ლენინსა,  
მე ქვეყნად ცეცხლის მომტანსა,  
გამნათებელსა ბნელისა.  
წავიდა, ალარ ბრუნდება;  
მაგრამ კითხულობს შვილებსა.  
პატრიონი კარგი დატოვა,  
არაფერს გაგვიჭირებსა“.

(ქართული ფოლკლორი).

ან:

„Умер Ленин... Но тверже сталин,  
Крепче горных кремнистых пород  
Учёный его—добрестный Сталин  
Нас к победам и счастью ведет“.

(ბურიათ-მონღოლეთური ხალხური ლექსი).

საბჭოთა კავშირის ხალხები, დაიდი და პატარა ერები თანაბარი სიყვარულით უმცრობიან და ადიდებენ ლენინსა და სტალინს. ამ ორ დიდ სახელს უკავშირებენ ისენი თავისინთ განთავისუფლებასა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას. ლენინი და სტალინი უდიდესი შთაგონებაა და დაუშრეტელი თემა ხალხური შემოქმედებისა. ხალხს გულწრფელად უყვარს ორი დიდი აღამიანი — ბელარ და მასწავლებელი და ერთნაირი საღებავებით და თანაბარი ძალით გვიხატავს მათ, ერთნაირ შედარებებსა და შეატვრულ სახეებს ხმარობს იმისათვის, რომ უფრო მკვეთრად წარმოგვიდგინოს მათი თანატოლი საღიადე:

- 1) „Ленин смелей и ярче солнца!  
Для Ленина ночи нет!“  
(ყირგიზული ფოლკლორი).
- 2) „Но, Сталин ты выше  
Высоких небес,  
И выше тебя  
Только мысли твои..

<sup>1)</sup> ქართული ხალხური ლექსები მოგვყავს დ. ბენაშვილის რედაქტორობით გამოცემულ წიგნიდან „ლენინი და სტალინი. ქართულ პოეტურ ფოლკლორში“.

Созвездий и месяца:  
Солнце светлей,  
Но, Сталин, твой разум  
И солнца светлей".

(«Дяде Степано — Матис Фомичевский»).

- 1) „Шеნთак მოდიან დედამიწის ყოველ კუთხიდან,  
მოისწავლიან, ვისაც შრომის ოფლი სტოდა,  
დიდი ლენინ, ჩვენო ძმაო, ჩვენო ბელადო;  
შენს წინ ქედს იხრის მოწინავე კაცობრიობა”...  
(ტაჯიკური ფოლკლორი)
- 2) „მძინარები ზღვას ესწრავიან,  
რკინა მიიღოვის მაგნიტისაკენ,  
მწვანე ბალახი შეპხარის მზესა,  
ფრინველი სამხრეთს ეშურებიან,  
მაგრამ ხალხი კი ბელინიურების  
და სიმართლისკენ მიიწავიან,  
გული მიუწევთ მეგობრობისკენ,  
აზრით და ფიქრით შენ შეგხარიან...“  
(ლეკური ხალხური ლექსი სტალინზე).

საბჭოთა კავშირის ხალხები სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ერთნაირი გრძნობითა და განცდებით ლაპარაკობენ. ისინი ცდილობენ, ჩევოლუციური ეპოქის უდიდეს გმირთა შესანიშნავ სახეებში გახსნან მშელი ჩვენი დროის შინაარსი, მისი შინაგანი თავისებურება. ხალხურ პოეზიაში ლენინისა და სტალინის სახელებთან განუყრელად არის წარმოდგენილი რევოლუციის გამარჯვება და სოციალისტური სამშობლოს ყველა მიღწევა. როცა ხალხი უმღერის გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მიღწევებსა და სიძლიერებს, ხალხს თვალწინ უდგას სახე ბრძენი ბელადის — დიდი სტალინისა, ჩომელიც არის შემომქმედი და სულის ჩამდგმელი ყველა ამ გამარჯვებისა. ხალხი დაკვირვებით ხატავს სოციალიზმის ქვეყნის ყველა დამახასიათებელ დეტალს, რათა მკეთრი ფონი. შექმნას ბელადის მონუმენტალური ფიგურის გამოსახატვად. საბჭოთა ფოლკლორს ხალხის უშუალო განცდათა სფეროში გადაჰყევხართ და გრძნობთ, რაოდენ ღრმაა ხალხის წარმოდგენა თანამედროვე ცხოვრებაზე, რამდენად დიდია მისი სიყვარული და ერთგულება სტალინისადმი. ხალხი მხატვრული გამოსახვის საშუალებებს უძირო ზღვას, დაუშრეტელი წყარო. იგი მდიდარია და ძლიერი ემოციური განცდებისა და სიხარულის გადმოუქმაში, მაგრამ იმდენად დიდია და უსაზღვრო თანამედროვე ადამიანის სიხარული, რომ ხალხს არ მოეპოვება მისი გამოსახვის სიტყვიერი საშუალება. არის მხოლოდ ერთი სახელი — სტალინი და მხოლოდ მისი ხსენება გაფრძნობინებთ ყველაფერს:

„როცა გავცერი შშობელ ქვეყანას;  
თვალი მეგხება ბელინიერებით,  
მე სიდიადე მაღლვებს მისი  
და განუსაზღვრელ სიამით ვთვრები;  
არ მყოფნის სიტყვა, რომ გამოვხატო  
მისი ბარაქა, მისი შშვენება —  
წარმოგსთქვამ ხოლმე შემს სახელს, — ს ტა ლ ი ნ,  
და ყველაფერი გამოითქმება...“

ამ შესანიშნავ უზბეკურ ლექსში სტალინზე საბჭოთა კავშირში შემაგალ ყველა ერისა და ყველა ხალხის აზრი და ფიქრია ჩაქირვილი. ეს აფრთოვანება და სიხარული საერთოა მიტომ, რომ ყველა ხალხი სტალინში ხედავს სათავეს თავისუფლებისა და საკუთარი ქვეყნის აყვავებისას. სტალინი არის ის ადამია-

ნი, რომელმაც ხალხებს ბედნიერება მოუტანა. იმავე უზბეკურ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„შენ გაზაფხულის ფერი და  
ის მზე ხაჩ მანათობელი,  
ხალხის გულში რომ იღვრება  
თბილი და დამატებობელი;“

შენ მოაცილე სამშობლო  
ასეულ წლობით ძილსაო;  
შენ მოაფინე ნათელი  
კონსტიტუციის მზესაო,  
რომ ლალ-ზურმუხტში ბრწყინვდეს  
მწა ფერგანის მხრისაო...“

ასეთსავე გრძნობასა და განცდებს აქსოვს აზერბაიჯანელი ხალხი თავის  
ლექსებში:

„Вся страна превратилась в сад,  
Расцветает в ней стар и млад.  
Кто растил этот дивный сад?  
Садовник—большевик

СТАЛИН“

ამავე სიხარულის განცდით აოის ამღერებული უკრაინული ხალხური  
ლექსია:

„არასოდეს არ გვქონია  
ასე ლალი ცხოვრება,  
შედნიერ სიყმაწვილე  
არგის ემასოვრება;  
არასოდეს არ ხარობდა  
ასე უხვად თაველი,  
სულ სხვაგვარათ გაანათა  
მზემ ქვეყნა, მთა-ველი,  
ალბათ კრემლში მზეც შისულა,  
ვით სტალინს მნახველი“. .

დალესტრის ხალხური მოლექსე— მგოსანი სულეიმან სტალინი სტალინს  
უწოდებს ბედნიერების შემქნელს. ბელორუსი, სომეთი, აზერბაიჯანელი, ქართ-  
ველი, უკრაინელი, რუსი და სხვა, სტალინს უმაღლიან საამური ცხოვრებისათ-  
ვის. გასში ჭედავენ მშობლიურ მზრუნველსა და ბელარი:

„სტალინი, ქვეყნის ბელადი,  
ქარ-შავარდენი მთისაო,  
ეგრე დაპჰრუნაგს მშრომელ ხალხს,  
როგორც რომ მამა შვილსაო.“  
(ქართული ფოლკლორი).

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ხალხები უდიდესი კმაყოფილებით  
შეხარიან განახლებულ ცხოვრებას, უსაზღვროა მათი პატრიოტული აღტყინე-  
ბა, თავდადება, სიყვარული დედა-სამშობლოსადმი. ხალხური ლექსები მუშათ  
კლასისა და მშრომელი მასების კველა გამარჯვებას რევოლუციური მოძრაობის  
გარიერაუიდანვე უკავშირებენ ლენინისა და სტალინის სახელებს. ამიტომ ხალ-  
ხური ლექსები, სიმღერები და თქმულებები სტალინზე იძლევიან არა მარტო  
სტალინის სახის წარმოდგენას, არამედ ისინი იძლევიან აგრეთვე ჩვენი ხალხის

განვლილი გმირული გზის მხატვრულ ასახვას და გაღმოგვცემენ საბჭოთა პატარიობიზმის ძალას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეტურ ფოლკლორში სტალინი თავიდანვე ლენინთან ერთად გამოდის გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელად და დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირულ ბრძოლებთან და გამარჯვებებთან. ერთოთ ქართულ ხალხურ ლექში შესა-იშნავად არის გაგებული ლენინისა და სტალინის როლი მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის ძლევამოსილ გამარჯვებაში მტერზე:

„ლენინს როგორ დამიარცებენ,  
დახვედრა იცის მტრისა,  
გვერდით დაუდგა სტალინი,  
როგორც არწივი მთისა.“

სულეიმან სტალსკი, მიმართავს რა სტალინს, ამბობს:

„შენ სახელის გაგონების წუთიდნ,  
ყველა მშრომელს ვით სინთლე უნთიხარ,  
იქ მიგყევართ, სად ვაება არ არის,  
სადაც, სტალინ, მზეა გამონაღარი...“

მეორე უსუცეს შომღერალი კარ მურზა ამბობს:

„შენ მოხველი, სტალინ, ბათირთან ერთად  
ჩვენს საცოდავ და ლარიბ აულებში,  
გაგვისხნი შებორკილი ფრთები და  
დაგვეხმარე უამიდო დარებში...“

ქართველი ხალხი, რომელიც მუდაშ ერთგული იყო თავისი დიდი მასწავლებლისა და ბელადის, თავის წერილში სტალინისადმი, გაღმოგვცემს სტალინის როლს ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეში. სტალინმა გა-აღვივა საქართველოს მშრომელებში პირველი რევოლუციური ცეტლი, მან დარჩიმა და წაიყვანა ისინი ცარიზმისა და კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში:

„ჩვენ ბრძოლების პირველ დღიდან შენ მოგვეცი შთავონება.  
საზარელი მეფის დროსაც არ იცოდი დალონება,  
ჰირშიმყოფელთ გვარკინებდა შენი ხმების გაგონება,  
სინარჩულში ჩვენთან არი შენი გული და გონება“.

რესი, უკრაინელი, კაზახელი, ბელორუსი, სომები, აზერბაიჯანელი, ქართველი, ოსი და სხვა კულტურული საბჭოთა მიწაწყალზე მოსახლე ხალხი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულ ლექშებს უთხზავენ სტალინს და მაღლობას. უთვლიან, რომ:

„სამ რევოლუციის ჯანცში და ბრძოლაში,  
ლენინთან ერთადვე მიგყვდით ყველანი,  
ვიმრჯვეთ და ახალ ცხოვრების სტალინში  
შეიქმენ ხალხისთვის მრწამს და ბელადი...“  
(ზელორუსული ხალხური ლექში).

დიდი და მრავალფეროვანია ხალხის ფანტაზია ბელადის სახის ხატვაში. ხალხი ყოველი კუთხით გვიჩვენებს სტალინის პიროვნების სიდიადეს. მიმართავს ყველა ნაცად და ახალ ხერხებს, ახალ შედარებებსა და შხატვრულ სახეებს, გენიალურ ეპიტეტებს, შაგრამ მაინც უდიდეს, მოკრძალებას იჩენს თემი-

საღმი. ხალხი ყველაზე მეტად გრძნობს პასუხისმგებლობის სირთულეს. მას დიდი ბელადის მონუმენტალური მხატვრული სახის შექმნისათვის საკმარისად არ მიაჩინია ის მდიდარი სალებავები, რომლებიც მას გააჩინია, ხალხური პოეტი სტალინის სიღიადეს, ძალასა და მნიშვნელობას აღარებს შეს, ცის უდიდეს მნათობებს, მის სიღიდეს—მაღალი მთის მწვერვალებს და სხვა, მაგრამ ეს მა-ინც არ მიაჩინია საკმარისად სტალინის სახის დასახატავად, იმ მნიშვნელობის გადმოსაცემლად, რომელიც აქვს სტალინს თანამედროვე კაცობრიობისათვის და იმ უდიდესი სიყვარულის გამოსახატავად, რომლითაც ხალხი გამსჭვალუ-ლია მისაღმი. ჭოველ ხალხურ ლექსში, რვინდ გაბედულ და ბრწყინვალე შედარებებზეც უნდა იყოს აებული, მოსხანს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა და მოკრძალება:

„Разве может в песне рассказать певец,  
Как нам дорог ты, великий отец?“.

ან:

„როგორ გადიდო, როგორ ჰქოვა,  
შენი სადარი ლექსები.  
რომ შოთა იყოს ცოცხალი  
უთუნდ დავესესხები“.

ასევეა შედარების ღროსაც:

„მე, კაიმურზას ყაზბეგთან ჰსურდა  
რომ შემეტარა შენი სიმაღლე,  
მაგრამ მას წევრი მაინც მოუჩანს,  
როს განთიაზე თეთრად ინათლებს“.

ან:

„მაღალი მთა აღმართულა  
ფართოდ გაშლილ ველად,  
ამ მთაზე კი ცა ამთაია,  
მიუწვდომელ მლვად,  
მდგრამ, სტალინ, შენ დაპყარე  
ცის სიშორე, სიღრმე,  
შენს ზევით კი იმართება,  
მხოლოდ შენი სიბრძნე...“

ან კიდევ:

„არ მინდა უოლგას გამსგაცო  
მდარეა, გაბლანტებული;  
არც ამ ჩვენებურ არაგვსა,  
გრუია აქაფებული;  
არც მყინვარს ჰვევარ თეთრწვერას,  
ცევია უკარებელი;  
არც კლდე ხარ, კაცისურგები,  
სალია, უტარებელი...“

ეს მრავალმხრივ აქას საგულისხმო. ხალხის ამ მოკრძალებაში, თავისი დიდი ბელადის მიმართ, მოცემულია უდიდესი ადამიანური ღირსება, პასუხის-მგებლობის უმაღლესი შეგნება ისეთ საპატიო თემებზე მუშაობის დროს, რო-გორიცაა ჩვენი დიდი ბელადების სახეების შექნა. მეორეს მხრივ, ეს გვრჩე-ნებს იმას, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ სტალინის ხელმძღვანელობით

სოციალისტური გარდაქმნა მოახდინა რა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, სახე შეუცვალა და გაამდიდრა არა მარტო ქვეყანა, არამედ თვითეული საბჭოთა ადამიანის შინაარსიც. სოციალიზმის გამარჯვებამ და საუკუნეების მანძილზე ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაბეჭავებული ხალხისთვის ბედნიერი და სამურო ცხოვრების შექმნამ გამოიწვია სიხარულისა და სიყვარულის არაჩვეულებრივად მაღალი განცდა, რომლის გამოსახატავად აღრინდელი სახეები აღმართა კმარა. სულიერი განცდების განვითარებამ წინ წაუსწრო მისი სიტყვიერი გამოსახვის საშუალებათა განვითარებას. თანამედროვე ადამიანის რთული განცდების გამოსახატავად უფრო მაღალი მხატვრული სიტყვიერი ფორმა საჭირო. ამ საჭიროების შეგრძნობა ყველაზე აღრე საბჭოთა ფოლკლორში გაჩნდა. და თუ გორგის სიტყვით, საბჭოთა ფოლკლორი არის საფუძველი სოციალიზმის გმირული ხელოვნებისა, მას შეუძლიან გადამზევეტი როლი შეასრულოს ისეთი მხატვრული სახეების შექმნაში, რომელიც ზედმიწევნით გაღმოვცემს თანამედროვე ადამიანის სულს, განცდას და დაეხმაროს საბჭოთა ლიტერატურის სწრაფ აღმავლობას.

„ექსპერიმენტალური“ ცდები უკვე გვაქვს ფოლკლორში ჩვენი ეპოქის უდიდეს თემებთან დაკავშირებით.

დიდი ბელადის — სტალინის სახე, მისი პიროვნება პოეტურ ფოლკლორში მოცემულია ყველა თემასთან დაკავშირებით. სამშობლოზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, თავდაცვაზე, სოციალისტურ მშენებლობაზე, სამოქალაქო ომზე, მუშათა კლასის გმირულ წარსულზე და ჩვენი ხალხის დღევანდელ ყოფასთან დაკავშირებულ სხვა თემებზე დაწერილი ლექსები შთაგონებულია დიდი სტალინის გენით. ამ თემებთან დაკავშირებით სტალინი ხალხურ ლექსებში ყველგან წინაპლანზე გამოიდის. იქ ჩვენ მისი სახის ზოგად კონტურებს ვხედავთ, მის სიახლოვეს განვიცდით, მისი სიყვარულითა და მისდამი ერთგულებით ვსაზრდოობთ და ესუნთქავთ. ამას ხალხი ღრმად მოფიქრებულად აკეთებს, ახდგან ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ყველა ცვლილება სტალინის სახელთანაა დაკავშირებული.

სტალინის სახეში ხედავს ხალხი დიდი ლენინის საქმის გარდელებას და ლენინ-სტალინის პარტიის ძლიერებას. როცა იგი უმლერს სტალინს, ამით იგი აღიდებს ლენინის სახელს, ბოლშევიკურ პარტიას, და გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანას, იგი აღიდებს ყველაზე საუკეთესო საკუთრიო გრძნობებს, იგი აღიდებს ბედნიერ აწმოს და ბრწყინვალე მომავალს..

საბჭოთა კავშირის ხალხები:

„От края до края, по горным вершинам,  
Где вольный орел совершаet полет,  
О Сталине мудром, родном и любимом,  
Прекрасную песню слагает народ“...

(რუსული ხალხური ლექსი).

თვალუწვდენელი საბჭოთა მიწა-წყლის ყველა კუთხიდან უმდერის ხალხოსტალინს, რომელსაც ლენინმა, მიღიოდა რა ჩვენგან, თავისი საქმე ჩაბარა.

„ჩემო მშურო შეგარდენ  
განმორების დადგა უმი,  
შენს იმედზე დამრჩა მხოლოდ  
ხალხზე დიდი საზრუნავი...“

(უკრაინული ფოლკლორი).

ხალხს უყვარს სტალინი, რომელიც მტკიცედ და ურყევად ატარებს ლენინისადმი მიცემულ ფიცს, განუხრელად ახორციელებს ლენინის ანდერძს, და მთვარს მშრომელი ხალხი კომუნიზმის დრად მწვერვალებისაკენ.

„გულის სიღრმეში ჩანერგილი გაქცს  
ლენინის მიერ ნაანდერძალი,  
ბედნერებას ანიჭებ ყველის  
და აბრწყინვალებ ქვეყნას, სტალინ!..  
(სულეიმან სტალისკი).

ხალხს ყოველთვის გულწრფელად უყვარდა თავისი გმირები, მაგრამ თანამედროვე ხალხის პოეტურ ცონბიერებაში უფრო ღრმად და მაჩქსისტულად არის გაგებული დიდი ადამიანების როლი ისტორიაში. საბჭოთა ფოლკლორის საყვარელი გმირია ის, ვანც მთელ თავის სიკოცხლეში დაკავშირებულია ხალხთან, ფლობს ხალხის ფიქრებს და თანმიმდევრად ახორციელებს საუკეთესო საკაცობრიო იდეალებს. ლენინი და სტალინი სწორედ ასეთი გმირი-ბელადები არიან.

საბჭოთა ფოლკლორის თავისებურება კიდევ იმში მდგომარეობს, რომ მისთვის არ არსებობს დისტანცია ხალხსა და ბელადს შორის, თქვენ გრძნობთ მათ შორის მშობლიურ და ორგანიულ კავშირს.

დიდი სტალინის საქმეში საბჭოთა ხალხი ხედავს იმ წმინდათა-წმინდა იდეალების განხორციელებას, რომელიც ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული საუკეთესო შვილებს საუკუნეების მანძილზე. სტალინი — უმაღლესი გამომხატველია იმისა, რასაც ხალხი ფიქრობს და ეტრიფის. ამიტომ საბჭოთა ხალხებმა ყველა თავისი საუკეთესო გრძნობის გამოხატვა სამართლიანად დაუკავშირებს სტალინის დიდ სახელს. სტალინის შთაგონება და მთავარი გმირი ყველა იმ ლირიკული და ეპიური ფოლკლორული ნაწარმოებისა, სადაც ხალხის მასის გმირობა და სიხარულია განცდილი და აღბეჭდილი. ჩვენ ზევით დავინახეთ. რომ ხალხი თავის ლექსებში ისყვარულითა და მაღლობით იხსენიებს ლენინისა. და სტალინის სახელებს მასების რევოლუციური გამოღვიძებისა, და ორგანიზაციურად დარაზმისთვის ცარიზმისა და კაპიტალის ბატონობის დასამხობად. ამ სახელებს ასევე დიდებით იხსენიებს ხალხი სამოქალაქო მოის თემაზე შეთხეულ ლექსებშიც. აქ ხალხი უმღერის მასების გეროიკას და უპირველესად იმ ადამიანებს, რომლებმაც წაიყვანეს ისინი სწორი გზით, აანთეს მათში სცეტაკი-ძღვები და ასწავლეს მტერზე გამარჯვების ხელოვნება.

რუსულ ხალხურ სიმღერებში, სამოქალაქო ომის თემაზე, ხალხი მადლობას უხდის ლენინს საბჭოთა ხელისუფლების შექმნისთვის:

„მდლობას გწირავთ, დიდო ლენინო,  
კადევ ათასაგერ ვართ მადლობელნი,  
რომ საბჭოეთი ქვეყნათ წარმოშეი —  
ბედერულთ სიკოცხლის დამატებობელი...“

ლენინი და სტალინი რაზმავენ მშრომელებს თეთრი გენერლების წინააღმდეგ. ხალხი შესანიშნავად გადმოგვცემს ლენინისა და სტალინის როლს, მათი სახელების თავზარდამცემ მნიშვნელობას მტრების ბანაში. რუსულ სიმღერებში ხალხი დასკრინის თეთრგვარდიელთა უსუსურ გენერლებს, ცინიკურად ისსნებს მათ და ემუქრება:

„დიდი წვემა წამოვიდა  
გზებია გათელილი,  
კოლჩაგელნო. გაიპარეთ,  
მოახლოვდა ლენინი“.

სტალინი ხელმძღვანელობს ფრინტებს, ამჭიდროვებს და წინ. უძლვის წინ.  
თელ ჯარს, ანადგურებს გაცოფებულ მტრებს:

„შტაბში სტალინი მოვიდა,  
არმია წაიყვანა,  
მებრძოლები ამოტდგნენ  
მტკიცა, ფოლადისთანა.  
დიდი ვოლგა მოიმლერის  
და მოგვითხრობს ნებივრათ,  
მტერი როგორ გავაქციეთ  
გაცოფებულ გელებივით...“  
(რუსული ხალხური სიმღერა).

მეტად გავრცელებულ უკრაინულ სიმღერაში „Нас повел товарищ  
«Сталин», а сюзьгэулюе брьоши სითბოთი და სიყვაჭულით არის გამოსახული  
სტალინი. ლენინმა და სტალინმა შმრომელ ხალხს, მძვინვარე სამოქალაქო მმს  
წლებში მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, გენიალური წინამდლოლობით მო-  
უპოვეს საბოლოო გამარჯვება. სტალინმა წაიყვანა ხალხი წინ დიადი საქმის  
კენ — სოციალზმის განხორციელებისკენ:

„— აღსდექით! — წარმოსთხვა ლენინმა, —  
აღსდექით ძილიდან ქალაქნო.  
— აღსდექით! — მოგვიძმო სტალინმა, —  
წამებით დალლილნო, მაშერალნო.  
და გავიღნენ შახტებიდან  
დორჩეული ბიჭები,  
წამოვითნენ ქარხნებიდან.  
ზეინკლები, მჟედლები.  
არწივების მოწოდებით  
ხალხი დადგა ფეხზედა,  
ეს სტალინმა წავიყვანა  
დიად საქმეებზედა.“

სომხეური ხალხური ეპიური ნაწარმოები „ლენინი-ბელადი“ აღწერს მშრო-  
მელთა მძიმე წარსულს, ბრძოლას თავისუფლებისთვის და ორნიშნავს:

„Сам Ленин — вождь сел на коня, поскакал...  
... Сам Сталин — вождь  
Сел на коня, поскакал, —  
За ними пошла беднота. Арач!“.

ითქმის ოცი წელია, რაც სამოქალაქო ომიდან გამოსული თავისუფალი საბ-  
ჭოთა ხალხი მშვიდობიან აღმშენებლობასა და შემოქმედებით მუშაობას  
ეწევა, შეგნებულად ჰქმის თავის ისტორიას, უკლასო საზოგადოებრივ ცხოვ-  
რებას, მხატვრულ სახეებს თავის ახალ ცხოვრებაზე, მწყობრ სიმღერებად აყა-  
ლიბებს თავისუფალ და ბეღდიერ ცხოვრების პირობებში წარმოშობილ ახალ  
განცდებს, განწყობილებებს. მაგრამ საბჭოთა ხალხი ისტორიულ მნიშვნელობას  
მოვლენებთან აღარ მიღის ინსტიქტურად. გმირული საბჭოთა ფოლკლორის  
ლრმა ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მისი შემქმნელი ხალხი კულტურუ-  
ლად და გონებრივად უდიდესად ამაღლებულია, მეცნიერულად მომწიფებუ-  
ლი. მოვლენებს იხილავს იგი მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, მეცნიე-  
რულად შეიცნობს მასების ძალას და ბელადების როლს ახალი ცხოვრებისთვის.  
ბრძოლაში. საბჭოთა ფოლკლორში ხალხის ჯაზსალი ინსტიქტი შეერთებულია,  
მეცნიერულ მსოფლიხედველობასთან. ამიტომ საბჭოთა ფოლკლორი, ემბაურე-

და და პოეტურად ასახავს რა ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას, გამოჰყოფს და განსაკუთრებულ ხაზს უსეამს მის ძარითად მხარეს, მთავრი სულს.

ხალხი თავის სიმღერაში შეპხარის ბეღნიერ და სამურ ცხოვრებას და აქაც მაღლობის გრძნობით იხსენიებს იმ აღამიანს, რომელსაც „მშრომელთა ბეღნის აკვანი მზრუნველად დაურჩევია, საბუძრად მილიონების გულები აურჩევია“ (ქართულ ხალხურ ლექსიდან). ხალხმა იცის, რომ სტალინში გაერთიანებულია ხალხის სიბრძნე და ნებისყოფა, რომ სტალინის გენის მიჰყავს ნათელი გზით გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნა:

„ჯიხეს იალალი ალალებს,  
აჩწივს — მაღლი მთებია,  
ას ელვა, მიწას — ყოილი  
და ჩენ — სტალინის გენია“.

უჩვეულო სიხარულს განიცდის გლეხობა, რომელთაც კოლექტიურ მეურნეობის გზით შეძლებული ცხოვრება მოიპოვეს. ამ სიხარულში მზის სივები კით არის ჩაქოვილი მსდლობა და ერთგულება დარღვევის სტალინისადმი:

„ჩენი ბალჩა-ბალები  
გაზაფხულზე ჰყვავიან,  
ჩენი კოლმეურნენი  
ბეღნიერათ არიან..  
ბალ-ვენახები ხარობენ,  
მღერის ყოველი სოფელი,  
ჩენზე მზრუნველო სტალინო,  
შენი ვართ ჩენ მადლობელი“.  
(უკრაინულ ხალხურ სიმღერიდან).

საკოლმეურნეო მშენებლობით გამოწვეული საყოველთაო სიხარული ყველა ხალხის ფოლკლორში გულწრფელობით აისახა. ერთ-ერთ ყაბარდოელ ხალხურ ლექსში ნათქვამია, რომ ჩენი სოფელი ბეღნიერი გახდა, ჩენი დღეები ლამაზია და მარად მზიანი, რადგან ჩენ გვინათებს ოქროს მზე — სტალინი. ხალხს უყვარს სტალინი, რადგან ის იმედია ყველა ქვეყნის ჩაგრულთა, რისხაა და შეურიგებელი მტერი ექსპლოატაციურებისა. ხალხურ ლექსებში სტალინის სიყვარული სოციალურად არის გააზრებული, იგი დაკავშირებულია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად განმათხისუფლებელ იდეებთან, დაჩაგრულთა მიერ ადამიანური უფლების მოპოვებასთან, შრომის თავისუფლებასთან, ბეღნიერ ცხოვრებასთან. ქართული ხალხური ლექსი შესანიშნავად გამოხატავს ამ აზრს, როცა მიმართავს სტალინს და ეუბნება: ჩენ ხალხს უყვარხარ, შენი სურათი უკიდია სახლში ყველას. შენ ძვირფასი ხარ. ყველასთვის, ვინც შრომით ცხოვრობს.

დიდი პოეტური პათოსითა გადმოცემული კოლმეურნეობის გაძლიერებით ხალხში გამოწვეული აფრთოვანება ქართულ, საყოველთაოდ ცნობილ და გავრცელებულ სასიმღერო ლექსში:

„ცაზე მოვარე ამოსულა  
ნიშანია დარისა,  
კოლექტივი გაძლიერდა,  
ვენაცვალე სტალინსა“.

ასეთივე ბეღნიერების განცდით, ლირიკული უბრალოებით, მზიარული ტონითა და შინაგანი დინამიურობით არის შექმნილი ფართოდ გავრცელებული რუსული „საკოლმეურნეო სიმღერა“:

„გამოთვლილ ლუქმით ვიკვებებოდით,  
როს ცალკეულად ვცხოვრობდით ძველად,  
როცა შეიქნა კოლექტივები,  
რამდენიც გვინდა პური გვაქვს ყველას...“

... ჭოველ თვე და ყოველ წელს  
ყოფნა უმჯობესდება,  
იმიტომ რომ დღდ სტალინს  
ჩვენზე ზრუნვა უხდება“.

საბჭოთა ფოლკლორი ზედმიწვენით სწორად ასახავს ჩვენი ხალხის ცხოვრების ისტორიას. იქ ჩვენ ვხვდებით ნამდვილ სიმართლეს იმს შესახებ, თუ ჩვეულებრივი გლეხი საკუთარი პრაქტიკული ცხოვრებისადმი დაკვირვებით როგორ მივიღა ჩვენი ეპოქის ჰეშმარიტების ღრმა გაგებამდე, თუ როგორ სწორად და თანადათანობით შეიგრძნო მან საკუთარი ბედნიერი ცხოვრების საწყისები. ერთ-ერთ შესანიშნავ რუსულ ზღაპარში საუცხოვოდ არის გადმოცემული ის, თუ როგორ მივიღნენ კარელიერი კოლმეურნები იმ შეგნებამდე, რომ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საუკეთესო მათოვის არის სტალინი. კოლმეურნე ქალი ხედავს, რომ მასი ცხოვრება ზღაპრულად გაუმჯობესდა, იგი კარგი და სამური გახდა. მას წინაპრებს ოცნება არ შეეძლოთ ისეთ ცხოვრებაზე, როგორიც მას აქვს. ამის მიზეზი კი სტალინია. იგი ხედავს რომ კოლმეურნების ყოველი წვრილმანი მიღწევა სტალინის სახელთან არის დაკავშირებული.

აქედან ცხადია თუ ჩატომ უყვართ კოლმეურნებს ყველაზე ძლიერად სტალინი.

\*\*\*

ხალხის ზღვესავით ვრცელი, ღრმა და უზარმაზარი გული სავსეა ბედნიერების გრძნობითა და სიხარულით, სოციალისტურ სამშობლოს სიყვარულით, დიდი სტალინის ერთგულებით, მებრძოლი საბჭოთა პატრიოტიზმით. ფოლკლორის მოყვანილი ნიმუშები გვიჩერებენ, რომ მთელი საბჭოთა ხალხების გული ამღერებულია ერთი შეგნებითა და ერთნაირი გრძნობით, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები თანაბრად და ერთნაირი გულწრფელობით უმღერიან დიდ ბელადს — სტალინს. ისინი ხატავნ მას, როგორც ნამდვილ ხალხურ გმირბრძენსა და უზრალო-საღა, უაღრესად ადამიანურ ადამიანს.

განსაკუთრებული ძალით ამეტყველდა პოეტური ფოლკლორი დიდ სტალინზე, — კერძოდ სტალინური კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ამ უდიდესმა ისტორიულშა ფაქტშა შემოქმედებითი ენერგიის ახალი ძალა და იმპულსი მისცა ხალხს. მსოფლიოში ერთადერთმა ჰეშმარიტად დემოკრატიულმა სტალინურმა კონსტიტუციამ თავის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღმეჭდა თავისუფალი ხალხის მიერ მოპოვებული უღილესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის საქმეში და უჩვენა მსოფლიოს კომუნიზმისკენ წინსვლის ნათელი გზა. კონსტიტუციამ ახალი კარი გატესნა ბედნიერების სიმღერებს, უდიდესი სტალინური შთაგონებითა და საკუთარი ძალისა და მომავლის რწმენით ამეტყველა ხალხი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედება არის ერთ პიმნზე აგებული შრთი მთლიანი პოეტური შედევრი, რომელიც გამსჭვალულია ბოლშევკიური შეგნებითა და ინტერნაციონალური სულით. ის არის გულის სიღრმიდან წამოსული ერთი მთლიანი სიმღერა სოციალისტურ რევოლუციის დიდ ბელადებ-

ზე — ლენინსა და სტალინზე, სოციალიზმის ძლევამოსილ გამარჯვებაზე, ხალ-ხთა სტალინურ მეგობრობაზე, ჩვენი ხალხის დიად მომავალზე.

სტალინზე შექმნილი ჭეშმარიტად რევოლუციური ხალხური პოეზია გვაგ-რძნობინებს სოციალისტური საზოგადოების სიმართლეს, კომუნიზმისთვის გრძოლის ესთეტიკურ სიამოვნებას, იგი გვაიარალებს. ლენინ-სტალინს პარ-ტიის ერთგულებით, ხალხის ყველა ჯურის მტრებთან შეურიგებლობის გრძნო-ბით, გამბედაობით, პირდაპირობით და იმის შეგნებით, რომ

„სალი კლდესავით მტკიცეთ ვართ,  
ჩვენში არავინ მოტყდება,  
რადგან სტალინმა გვასწავლა  
შრომა, ბრძოლა და ცხოვრება...“  
(უკრაინული ხალხური ლექსი).

რომ:

„ჩვენთან არის სტალინი — ჩვენთან არის სიმართლე,  
ჩვენთან არის სტალინი — გამარჯვება ჩვენია,  
ჩვენთან არის სტალინი — ძლევის დროშა გვინათებს,  
მზიურ მხარეს, ბედნიერს, დღეს, რომ მოულხნია“.  
(ჯამბული).

როცა სტალინი წინ უძლვის ხალხს, მას აღარაფრისა აღარ ეშინიან, მზეც  
რომ დაბნელდეს, სტალინი გასწევს მზეობას:

„მზე რომ დაბნელდეს, ბელადო!  
ვული არ შეგვიშინდება,  
მოვლენილი ხარ მხსნელადო,  
სტალინ, მზედ გაგვიძრწყინდება“.  
(ქართული ხალხური ლექსი).

საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიაში სტალინი არის თავისუფლების, ინ-ტერნაციონალური მეგობრობის, ახალგაზრდული ენერგიით აღზნების, ბედნი-ერების, სიხარულის, სიმტკიცისა და ჩავრული კაცობრიობის იმედის სიმბოლო.

„გამოთვლილ ლუკმით ვიცვებებოდით,  
როს ცალკეულად ვცხოვრიბდით ქველად,  
როცა შეიქმნა კოლექტივები,  
რამდენიც გვინდა პური გვაძვს ყველას..:

... ჭოველ თვე და ყოველ წელს  
ყოფნა უმჯობესდება,  
იმიტომ რომ დიდ სტალინს  
ჩვენზე ზრუნვა უხდება“.

საბჭოთა ფოლკლორი ზედმიწევნით სწორად ასახავს ჩვენი ხალხის ცხოვ-  
რების სტორიას. იქ ჩვენ ვხვდებით ნამდვილ სიმართლეს იმის შესახებ, თუ  
ჩვეულებრივი გლეხი საკუთარი პრაქტიკული ცხოვრებისადმი ღაევირვებით  
როგორ მივიღა ჩვენი ეპოქის ჭეშმარიტების ღრმა გაგებამდე, თუ როგორ  
სწორად და თანდათანბით შეიგრძნო მან საკუთარი ბეჭნიერი ცხოვრე-  
ბის საწყისები. ერთ-ერთ შესანიშნავ რუსულ ზღაპარში საუცხოვოდ არის  
გაღმოცემული ის, თუ როგორ მივიღნენ კარელიელი კოლმეურნები იმ შეგ-  
ნებამდე, რომ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საუკეთესო მათოვის არის  
სტალინი. კოლმეურნე ქალი ხედავს, რომ მისი ცხოვრება ზღაპრულად გაუმ-  
ჯობესდა, იგი კარგი და საამური გახდა. მის წინაპრებს ოქნება არ შეეძლოთ  
ისეთ ცხოვრებაზე, როგორიც მას აქვს. ამის მიზეზი კი სტალინია. იგი ხედავს  
რომ კოლმეურნეობის ყოველი წვრილმანი შილწევა სტალინის სახელთან არის  
დაკავშირებული.

აქედან ცხადია თუ ჩატომ უყვართ კოლმეურნეებს ყველაზე ძლიერად  
სტალინი.

\* \* \*

ხალხის ზღვასავით ვრცელი, ღრმა და უზარმაზარი გული საესეა ბეჭნიე-  
რების გრძნობითა და სიხარულით, სოციალისტურ სამშობლოს სიყვარულით,  
დიდი სტალინის ერთვულებით, მებრძოლი საბჭოთა პატრიოტიზმით. ფოლკ-  
ლორის მოყვანილი ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ მთელი საბჭოთა ხალხების  
გული ამღერებულია ერთი შეგნებითა და ერთნაირი გრძნობით, რომ საბჭოთა  
კავშირის ზალხები თანაბრად და ერთნაირი გულწრფელობით უმღერიან დიდ  
ბელადს — სტალინს. ისინი ხატავენ მას, როგორც ნამდვილ ხალხურ გმირ-  
ბრძენსა და უბრალო-სადა, უაღრესად ადამიანურ აღამიანს.

განსაკუთრებული ძალით ამეტყველდა პოეტური ფოლკლორი დიდ  
სტალიზე, — კერძოდ სტალინური კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ამ უდი-  
დესმა სტორიულშია ფაქტი შემოქმედებითი ენერგიის ახალი ძალა და იმპულ-  
სი მისცა ხალხს. მსოფლიოში ერთადერთმა ჭეშმარიტად დემოკრატიულმა  
სტალინურმა კონსტიტუციამ თავის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღეჭდა თა-  
ვისუფალი ხალხის მიერ მოპოვებული უდიდესი მიღწევები სოციალისტური  
შეგნებლობის საქმეში და უჩვენა მსოფლიოს კომუნიზმისკენ წინსვლის ნათე-  
ლი გზა. კონსტიტუციამ ახალი კარი გაუხსნა ბეჭნიერების სიმღერებს, უდი-  
დესი სტალინური შთავინებითა და საკუთარი. ძალისა და მომავლის ჩრდენით  
აამეტყველა ხალხი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედება არის ერთ პიმნზე აგებული  
ერთი მთლიანი პოეტური შედევრი, რომელიც გამსჭვალულია ბოლშევიკური  
შეგნებითა და ინტერნაციონალური სულით. ის არის გულის სილრმიდან წამო-  
სული ერთი მთლიანი სიმღერა სოციალისტურ რევოლუციის დიდ ბელადებ-

ზე — ლენინსა და სტალინზე, სოციალიზმის ძლევამოსილ გამარჯვებაზე, ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, ჩვენი ხალხის დიად მომავალზე.

სტალინზე შექმნილი ჭეშმარიტად რევოლუციური ხალხური პოეზია გვაგრძნობინებს სოციალისტური საზოგადოების სიმართლეს, კომუნიზმისთვის შრძნოლის ესთეტიკურ სიამოვნებას, იგი გვაიარალებს ლენინ-სტალინის პარტიის ყრიფულებით, ხალხის ყველა ჯურის მტრებთან შეურიცებლობის გრძნობით, გამბედაობით, პირდაპირობით და იმის შეგნებით, რომ

„სალი კლდესვით მტკიცეთ ვართ,  
ჩვენში არავინ მოტყდება,  
რადგან სტალინმა გვასწავლა  
შრომა, ბრძოლა და ცხოვრება...“  
(უკრაინული ხალხური ლექსი).

რომ:

„ჩვენთან არის სტალინი — ჩვენთან არის სიმართლე,  
ჩვენთან არის სტალინი — გამარჯვება ჩვენია,  
ჩვენთან არის სტალინი — ძლევის დროშა გვინათებს,  
მზიურ მხარეს, ბედნიერს, დღეს რომ მოულხენია“.  
(ჯამბული).

როცა სტალინი წინ უძლების ხალხს, მას ალარაფრისა ალარ ეშინიან, მზეც რომ დაბნელდეს, სტალინი გამწევს მზეობას:

„მზე. რომ დაბნელდეს, ბელადო!  
გული არ შეგვიშინდება,  
მოვლენილი ხარ მხსნელადო,  
სტალინ, მზედ გავვიბრწყინდება“.  
(ქართული ხალხური ლექსი).

საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიაში სტალინი არის თავისუფლების, ინტერნაციონალური მეგობრობის, ახალგაზრდული ენერგიით აღვზნების, ბედნიშვრების, სიხარულის, სიმტკიცისა და ჩაგრული კაცობრიობის იმედის სიმბოლო.

აპოლონ გახარაძე

## კლექსანდრე ყაზბეგი

ოჯახი, გავთვობა და ურთისა

1

ყაზბეგი გვარის წინაპრები ჩოფიკაშვილები ყოფილან. თვითონ ალექსანდრე ყაზბეგის პაპა, გაბრიელი, პატრიციად ჩოფიკაშვილად იწოდებოდა და ალექსანდრეს მამა-ბიძებიც ჩოფიკაშვილებს შორის ცხოვრობდნენ.

გაბრიელ ყაზბეგი სტეფანწმინდის მოურავი იყო შეცხრამეტვ საუკუნის დამდეგს საქართველოში რუსეთის შემოსვლისა და რუსული მართვა-გამგების დამკვიდრების საქმეში გარკვეული დამსახურების შედეგად გაბრიელმა გენერალმაიორობა მიიღო და მასვე ებოძა აზნაურობა. ყაზბეგიანთ ოჯახის ერთერთი ახლოს მცნობის გადმოუყმით, გაბრიელის თხოვნით ყველა ყაზბეგებს სამხედრო ხარისხები დაურიგეს.

გაბრიელ ყაზბეგი ხევის გამგებლად დაინიშნა და იგი დიდის გავლენით სარგებლობდა, როგორც რუსეთის მმართველობის წინაშე. ისე ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. იგი მეტად შეძლებულადაც ცხოვრობდა. სხვა შემოსვალთა შორის გაბრიელს ეკუთვნოდა ის ბაჟები, რომელსაც დარიალის ხეობაზე გადამსვლელებს ახდევინებდნენ. ამის შესახებ ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახის ერთერთი ახლო ნათესავი სოფიო თარხნიშვილი მწერს: „იმ დროს ყოველი გამომელელი საქართველოსკენ ბაჟსა ხდილობდა, აგრეთვე საქართველოდან წამსვლელიც. დარიალში იმ ბაჟს ახდევინებდნენ და ამ ფულებს აბარებდნენ გაბრიელ ყაზბეგს. დარიალის იქით, ოსის მიჯნაზე, ამ ბაჟს ოსის ბატონიშვილები ჰქონებოდნენ: ქსენოვები, გუნდუხოვები, დუდაროვები“.<sup>1</sup>

გაბრიელ ყაზბეგი სულ ხუთი შვილი ჰყოლია—მიხეილი, ნიკოლოზი, სოფიო, ეკატერინე და ნინო. ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგის მამა, მიზე ილი, გაბრიელ ყაზბეგის უფროსი ვაჟიშვილი ყოფილა.

გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ მამის თანამდებობა, როგორც უფროსმა შვილმა, მიხეილ ყაზბეგმა დაიკავა, მიხეილმა შეძლეგში გენერლობაც მიიღო.

<sup>1</sup> უფრნალი „მნათობი“, 1927 წ., № 8—9.

მიხეილ ყაზბეგი მეტად მკაცრი მმართველი იყო. არსებული გადმიცემების მიხედვით, მიხეილი სასტიკად ავიშროვებდა თავისუფლების მოყვარე მთიელ ხალხს. ეს მკაცრი მმართველი მით უფრო აუტანელი უნდა ყოფილიყო მა ხალხისათვის. რომელიც თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო სტორიულად ჩვეული არ იყო ბატონშობის მძიმე ულელს.

მიხეილ ყაზბეგი ს პირადი ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა იგივე სოფიო თარხნიშვილი. ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ იგი გადმოვცემს მიხეილის ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც უშუალოდ აღმასანდრესთან კავშირში არ არს, მაგრამ მეტად საყურადღებო მომენტებზე კი მიგვითითებს.

მიხეილ ყაზბეგი პირველ ცოლად ჰყოლია ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ქალი, რომელიც ახლო ნათესავურ კავშირში იყო ცნობილ მწერლებთან ნიკოლოზ ბარათაშვილთან და გრიგოლ თრიბიანთან. სოფიო თარხნიშვილის გადმოცემით, ნიკოლოზ ბარათაშვილს და გრ. ორბელიანს მიხეილ ყაზბეგის ოჯახში მისვლა-მოსვლაც ჰქონიათ.

აი რას სწერს სოფიო თარხნიშვილი:

„მიხეილ ყაზბეგი ძალიან ლამაზი, თავალტანადი ყმაწვილი კაცი იყო. პირველად შეირთო საგნაზვილის ქალი, რომელიც ძალიან ჰყვანი, კეთილი, ლამაზი ქალი იყო და იმ დროისათვის ნაწილობრივ მისი დეიდამეობი ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაფხულობით მასთან სცხოვრობდა და ბევრი თავისი ლექსებიც ყაზბეგში დასწერა. აგრეთვე მისი ნათესავი იყო გრიგოლ ორბელიანიც, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ყაზბეგში და ბევრი ლექსებიც დასწერა იქ.“

მოყვანილი ამონაშერი მეტად საყურადღებო მომენტზე მიუთითებს. ნიკარათაშვილი და გრ. ორბელიანი მიხეილ ყაზბეგის ოჯახის ხშირი სტუმრები ყოფილან. მათი მიმოსვლა ყაზბეგიანთ ღვაწლაში უნდა შეწყვეტილიყო იმის შემდეგ, როდესაც მიხეილის პირველი ცოლი გარდაიცალა.

მიხეილ ყაზბეგი მეორე ცოლის, ე. ი. ალექსანდრე ყაზბეგის დედის შესახებ, სოფიო თარხნიშვილი წერს: „როცა საგნაზნანთ ქალი გარდაიცვალა უშეილოდ, მიძანევნა მიხეილმა შეირთო თარხნიშვილის ქალი, თუმანიანთ ქვრივი. რომელსაც ჰყავდა სამი ქალი პირველი ქრმისაგან“.

ალექსანდრე ყაზბეგი ს დედა ელისა ბედი, რომელიც შინაურობაში ელევანტური თარხნიშვილის ქალი იყო. ელისაბედი თავისი დროისათვის კულტურულ და მხატვრულ ლიტერატურის მოყვარული ყოფილა. მას იმ ეპოქის კვალობაზე საქმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც უნდა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში თვით XIX საუკუნის ოთხმოცან წლებში მიუთითებდნენ იმის შესახებ, რომ ელისაბედს გააჩნდა უძველესი ძვირფასი ხელნაწერებიც-კი.

1880 წლის დამდეგს განეთ „დოროების“ ერთერთი კორესპონდენტი სტეფანწმინდილან იწერებოდა:

„განსვენებულის გენერალ-მაიორის მიხეილ ყაზბეგის ქვერის კნეინა ელისაბედს აქვს ერთი შესნიშვნა სახარება ხელთნაწერი, რომელიც არის პეტეგმანტზე დაწერილი ჩ. ლ. ი. დ. (1714) წელს. სახარება არის ეერცხლით მოჭედილ და ოცდარვა შეტიხურმუხტი და იაგუნდი არის პირველ გვერდზე, მხოლოდ აკლია სამი თვალი იაგუნდისა. მეორე გვერდზე არის დასტული ჯვერცმის სახე, გარშემო ლვთის მშობლის და მარიამ-მაგდალინების. ყუთი ვერცხლისა აქვს, მშვენიერ ყვავილების ჩუქურობით დახატული. სახელების სიგანე არის ერთ ვერშონახევარი და სიგრძე ორი ვერშოკი. ნაწერი არის სამ დიუმ სიგანეზე, განიყოფება ორ სკეტად, სიგრძე თოხი დიუმი

არის და იპყრობს თვრამეტ სტრიქნის. მთელი ეს მიკროსკოპიული სახარება თავიდან ბოლომდი ერთნაირი ნაწერია და გარშემო ვარაყის არშია აქვს. ამას გარდა ოთხივ მხარე არის მშენების კრასკით დახატული.<sup>1</sup>

კორესპონდენტის ეს ცნობა ერთ წიგნს შეეხება. ვფიქრობთ ასეთივე ხელ-ნაწერები და ძვირფასი წიგნები, მოთუმეტეს 60—70-ანა წლებში ელისაბედს სხვაც ბევრი უნდა ჰქონდა. ელისაბედი კულტურული, ქართული მწერლობის მოტივიალე და ოჯახის მოსიცვარულე დედა ყოფილა. მაგრამ ამ თვისებებთან ერთად, მასაც ახასიათებდა ის ქედმალლობა და პატივმოყვარეობა, რომელიც დამახასიათებელი იყო მიხეილ ყაზბეგის ოჯახისათვის.

შშობლების ამ თვისებათა შესახებ თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი თავის ავტობიოგრაფიულ ცნობებში მოვცითხრობს:

„მამაჩემს და დედაჩემს განსაკუთრებითი თავისებური ხასიათი ჰქონდათ. უყვარდათ დიდაცობა და მდიდრულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ყოველგან თავისებური პირადობა ერთყობოდათ. მაგალითად: სამი პირარი გვყავდა, ორი მეჯინიბე, ორი კუჩერი, ექვსი ლაქია და ორი კიდევ პატარა ბიჭი ხელზედ მოსამსახურე და ხუთამდის „მცველება“, სხვა სახელი ვერ მომიგონია ამ ხალხისათვის, რადგანაც მათი საქმე მხოლოდ შეიარაღებული გაყოლა იყო მამაჩემისა, როდესაც მიღიოდა საღმე! შვიდი მოახლე და ერთი ბაზიერი, თვის ურიცხვის ქარ-მეძებრებით! ჩვენი წასვლა საღმე ერთი ორომტრიალი იყო, რადგანაც ამოდენა სახლობის დასაძრავად მთელი თვეები მზადება გვინდებოდა.“<sup>2</sup>

ასე წერდა ალ. ყაზბეგი თავისი მშობლების შესახებ. ასე მდიდრულად და ხელგაშლილ ცხოვრობდა მიხეილ ყაზბეგის ოჯახი. ყაზბეგის სახლკარი თავისი მრავალრიცხოვანი შინამოსამსახურებით, ხევის პირობებში, ერთგვარ. სასახლეს წარმოადგენდა.

ა ლ. ყ ა ზ ბ ე გ ი თავის მშობლების ერთადერთი შვილი იყო. ალექსანდრეს დაბადებას არაჩეულებრივი მოუთმენლობით ელოდა მიხეილ ყაზბეგის ყოვლის შემძლე თვახი.

ცნობილი მწერალი ქალი ნინო თავის მოვონებაში ალ. ყაზბეგის შესახებ, მოვცითხრობს იმ უსაზღვრო სიხარულზე, რომელიც იმდენს განიცადეს ალექსანდრეს მშობლებმა.

„მე ყმაწვილი ვიყავ, — წერს ნინო ორბელიანი, — როცა ეგ დაიბადა და დედაჩემი მოვიდა დიდი მხიარული. მაგანი დედის მეგობარი იყო და უყვარდა, მის ჭირსაც და ლხინსაც გაიზიარებდა ხოლმე. როცა ეგ დაიბადა კეკესი, ასე ეძახდნენ სანდროს დედას, დედმ გვაქმბო, მიხეილ ყაზბეგი სწორედ ოცი წლის გაუკაც დაემსგავს სიხარულით, ასეთი აღტაცებული არის. ეს სურველი რომ უსარულა ლიერთმაო. მეტი არაფერი სანატრელი ცხოვრებაში იმათ არა ჰქონდათ-ჩაო და ესეც ღმერთმა მოუვლინაო.“<sup>3</sup>

უაუიშვილის შეძენით გახარებულ მიხეილ ყაზბეგს ლექსიც-კი დაუწერია:

„კავანა დაურწიეთ,  
სულიკოს ეძინება:  
გვმართებს, რომ ღმერთს ვავედროთ,  
მცირ ალორინება;  
კეკე ძუძუ აწოვე,  
მცერდს შუქი გეფინება,  
რადგან ღმერთმა ინება  
ამ ბიჭის მოვლინება!“<sup>4</sup>

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1880 წ., № 14.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, ქართველთა შორის წ.-კ. გამა-ერცელებელი საზოგადოების ფონდი. № 3981.

<sup>3</sup> „კვალი“, 1893 წ., № 52.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ ო რ ე ყ ა ზ ბ ე გ ი ს ღაბადების თარიღის შესახებ უმთავრესად თუ სხვადასხვა ხასათის ცნობა არსებობს. მეტრიკის წიგნის მიხედვით ალ. ყაზბეგი ღაბადებულა 1848 წლის 8 იანვარს, ხოლო ერთერთ დოკუმენტზე დაყრდნობით, დავით კარიჭაშვილმა სცადა, ჩომ ეს თარიღი რამდენიმე თვით უკან გადაეწია (1847 წლის 14 ნოემბერი).

დავით კარიჭაშვილი იგი ალექსანდრეს ღაბადების თარიღის არქვევდა, ეყრდნობოდა ალ. ყაზბეგის დედის ერთერთ კერძო ხასათის წერილს. ელისაბედის ეს წერილი დაწერილია 1869 წლის 14 ნოემბერს. წერილში, რომელსაც იგი ალექსანდრეს რუსეთში უგზავნდა, დედა შვილს ულოცას ღაბადების დღეს და სიხარულით აღნიშნავს, რომ ახლა მას ჰყავს ოჯახამი წლის ვაჟიშვილი. დედის ეს ცნობა რომ მთლიანად მიგველო, მაშინ ალ. ყაზბეგი უნდა ღაბადებულიყო 1846 წლის 14 ნოემბერს, მაგრამ დედის ამ ცნობიდან დ. კარიჭაშვილს ყველაზე საჩრდებულ მიაჩნდა ალექსანდრეს ღაბადების დღე — 14 ნოემბერი. და შემდეგ მკვლევარი ავითარებს თვის ძიებას.

დ. კარიჭაშვილი წერს „რადგანაც შეუძლებელია, რომ ერთადერთის ვაჟიშვილის პატრონს დედას კარგად არ ხსომებოდეს თავისი ვაჟის ღაბადების დღე, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ნამდვილად ღაბადებულია 14 ნოემბერს 1847 წ. მეტრიკის წიგნში ყაზბეგის ღაბადება ჩაუწერიათ 8 იანვარს 1848 წ., უეჭველია, იმიტომ რომ იმ წლის იანვრის 28-ს მოუნათლიათ. ჩადგანაც სასულიერო მთავრობას ნაბრძანები აქვს მღვდლებისათვის, რომ ბავშვები ბევრს ხანს არ ღასტოვონ მოუნათლავნი, ამიტომ მღვდლები ხშირად ბავშვების ღაბადების დღედ სწერენ მონათვლის დღის მახლობელს რიცხვს. როგორც ვთქვით, ჩევნ ფრიად სარწმუნოდ მიგვაჩნია დედის მოწმობა ყაზბეგის ღაბადების დღის შესახებ, ხოლო მის ღაბადების წლის შესახებ კი შეცდომას ვხედავთ დედის ანგარიშში. 14 ნოემბერს 1869 წ. დედას ყაზბეგი ოცასამის წლისა ვკონა. ამ ანგარიშით ყაზბეგი უნდა ღაბადებული იყვეს 1846 წ. ასეთი შეცდომა დედისა არ არის გასაკვირველი. 14 ნოემბერს 1869 წ. ყაზბეგი იცდით მეტად დედისა არ არის გასაკვირველი. 14 ნოემბერს 1869 წ. ყაზბეგის შეცდომით ღაუწერია. ოცასამი წლის შვილი მყავსო<sup>1</sup>.

დ. კარიჭაშვილის ეს მტკიცება უსაფუძველო. არ არის, პირიქით შეკვლევარი მეტად ღრმად სწვდება საკითხს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მტკიცება ღაბანონებული თარიღის შესაცვლელად საკმარისი ვერ არის. ამისათვის მეტი საბუთიანობაა საჭირო.

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგის ღაბადების თარიღს ჯერჯერობით ყველაზე საჩრდებულ მისი მეტრიკის წიგნი გვაჩვენებს. ამ ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით ალექსანდრე ყაზ ბე გ ი დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ ი ა 1848 წლის 8 იან ც არის.

პატრა ალექსანდრეს ორი ძიძა და რამდენიმე გამზრდელი მიუჩინეს. იგი არაჩვეულებრივ ფუფუნებაში იზრდება. გარდა მშობლებისა, ყაზბეგის მთელი ოჯახი თავისი მრავალრიცხვები შინამოსამასახურებით თავს ევლებოდა ოჯახის ერთადერთ ვაჟიშვილს.

ალ. ყაზბეგი შემდეგში თვითონვე კიცხავდა თავის იჯახის მთელრიგ მხარეებს. ცნობილია, რომ მას განსაკუთრებით არ მოსწონდა აღზრდის ის პირო-

<sup>1</sup> ღავით კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია“.

ბები, რომელიც მიხეილ ყაზბეგის ლუახში იყო გაბატონებული და რომელ-შიაც იზრდებოდა თვითონ ალექსანდრე.

ალ. ყაზბეგის ცნობილი ბიოგრაფი დავით კარიჭაშვილი ამის შესახებ წერდა: „პირველი მისი (ალექსანდრე ყაზბეგის ა. მ.) პიესა ყოფილა „აღმზრდელები“, რომელშიაც მომქმედ პირებში ყოფილან გამოხატული მისი მშობლები. ერთხელ თურმე კიდეც ეს პიესა წაუკითხა თავის მშობლებს და ნათესავებს. დასაწყისში თურმე ძალის მხიარულად ისმენდნენ, მაგრამ როდესაც მშობლებმა იცნეს პიესაში თავიანთი თავი, ძალის გაჯავრდნენ და შეაწყვეტინეს კითხვა. ამ პიესაში თურმე ყაზბეგეს სამასხაროდ ჰქონდა აღებული ის აღზრდა, რომელიც თითონ მიიღო თავის დედამისაგან“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ყაზბეგის მშობლების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე ელისაბედ ყაზბეგი. ელისაბედი თავის მოგონებაში მოგვითხოვს ალ. ყაზბეგის მშობლების ხასიათებისა და პატარა ალექსანდრეს აღზრდის პირობებზე. იგი სწორს:

„ჩემი ბიძა-ძალუის მიწრაფება სანდროს სწავლა-განათლებაზე, სხვადასხვა ნაირი იყო. ბიძაჩმის გაფაუებით უყვარდა თავის შვლი, და ამას მხოლეოდ იმთე ამტკიცებდა, რომ ანგბირებდა და მეტის-მეტად რყენიდა. თავის ერთადერთ მემკვიდრეს თითქმის აღმერთებდა! რალი თქმა უნდა, რომ თავის სიყვარულით სანდროსთვის ყოველი კეთილი სურდა და ამეტებდა, მაგრამ თითონ უსწავლელ კაცს გამორკვეული წარმოდგენა არა ჰქონდა სწავლა-განათლებაზე, რომლის გამოც სანდროს სწავლის საქმეს ნორმალურად ვერ აყენებდა. ხშირად იტყვდა ხოლმე: „ჩემმა ალექსანდრე აღონდო იცოცხლოს და თუნდ სულაც ნურას ისწავლისო!.. რაც უნდა ისა ქნას, როგორც ესიმოვნება, ისე იცნოვროსო“.

ძალუა კეკეს შეხედულება ამ საგანზე სულ სხვა იყო: იმას ძალიან უნდოდა, რომ ალექსანდრე ფრიად განათლებული კაცი გამოსულიყო, ყველაფერი კარგათა და ზედ მიწევნითა სცოდნიყო, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე უკეთესი ისა ყოფილყო. ასე ვრცელი იყო იმისი მიწრაფება სანდროს სიკეთისათვის! იმასა შურდა ხოლმე, როდესაც გაიგობდა: ამა და ამ კაცის შვილი კარგადა სწავლობს, ამა და ამ კაცის შვილი სამსახურში დაწინაურდაო“<sup>2</sup>.

მოყვანილი ამნაწერები წათლად მიგვითითებენ პატარა ალექსანდრეს აღზრდის პირობებზე: ეს პირობები, რასაკერძოდ, სასურველი არ არის, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბავშვობიდანვე ზურგს აქცევს ამ წერეს და მთელი თავისი არსებით ხალხისაკენ მიისწრავის. მასზე მეტს გავლენას ახდენენ მწყვმები და აღმზრდელი, გლეხის ქალები, ვიღრე საკუთარი მშობლიური წრე თავისი უსაზღვრო ფურუნებით.

ალ. ყაზბეგის ბავშვობიდან საჭიროა ერთი მომენტიც აღინიშნოს. ცნობილია, რომ მისი ერთეული ყველაზე გავრცელებული ლიტერატურული ფსევდონიში იყო „მოხატული ა. რი ი. დ.“ (აკაკი მოხხუბარიძე). მწერალს განსაკუთრებით უყვარდა ეს ფსევდონიმი; ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ეს სახელი მას ბავშვობიდან შერქმევია. ალექსანდრეს დაუსარულებელი სიანცისა, შინაურებთან მუდმივი ჩხებისა და დავიდარაბის გამო მოთმინებიდან გამოსულმა დედამ ერთხელ მისი გალაზვა მოინდომა, მაგრამ ყოველთვის ფუფუნებაში მყოფი და უსაზღვროდ გამედიტურებული შვილი გასალახავად ვერც იმდელეს გაიმეტა და გულისჯავრი იმით იყარა, რომ მას მოხატული და დაწინაურდა. ალექსანდრემ დედის მიერ შერქმეული ეს სახელი სიამოწვებით.

<sup>1</sup> დ. კარიჭაშვილი — „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია“.

<sup>2</sup> ელისაბედ ყაზბეგი — „მასალები“, ურჩალი „მნათობი“, 1924 წ., № 7—8.

მიიღო და თავის ლიტერატურულ ფსევდონიმადაც აქცია. შემდგომ ცხოვრებაში ტბილი გულჩათხრობილი მწერალი ამ სიტყვის მოვონებით თავის მოუსვენარ და მუდამ მაძიებელ ყრმობას თუ ეალერსებოდა.

ა. ე. კაზბეგის ბავშვობის და ყრმობის ერთერთი მეგობარი ეს აბედ კაზბეგი — ალექსანდრესათვის „მოჩხუბარიძეს“ შერქმევის ისტორიას მსე მოგვთხრობს: „ერთს ამისთანა ღრუბლი ან ს დღეს (შინაურებთან ჩატუბის, ანკაბის — ა. მ.), როდესაც სანდრო ამგარად აეზნეობდა, იმს დედაშთან ზედიზედ რამდენიმე საჩივარი შეიტანეს, მაშინ ძალუა წამოუხტა სანდროს ვითომც დასატუქავად, ახლო მივიღა და გაჯავრებით უთხრა:

— რა ღმერთი გაგწყომია, რომ ქვეყანას ეჩუბები? რა დაგმართვა, სწორედ მოჩეუბარიძე ხარ..

სანდროს ეს სახელი ძალიან მოეწონა და საჩქაროდ წამოიძახა:

— ჰო, მოჩხუბარიძე ვარ და აკაკიაცა მეტიან! ასე მესიამოვნება!

ამ დღიდან სანდროს მეტ სახელად დაერქევა მოჩხუბარიძე და ბოლოს იმს ფსევდონიც აკაკია მოჩხუბარიძე ვახდა<sup>1</sup>.

ასე დაერქევა ალ. კაზბეგის მოჩეუბარიძე არი არ ი ე.

ა. ე. ჭავანი კაზბეგი კატარიცხველი პატივისცემით იგონებს ერთერთ მათგანს — ნინოს. ალ. კაზბეგის ხელნაწერებში დაცულია მწერლის მერძნობისა მიმართვა მოამაგე აღმზრდელისადმი.

ა. ლ. კაზბეგის ეს ხელნაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. წერილი მოგვიანო პერიოდისა, იგი მიეკუთვნება ოთხმციანი წლების დამდეგს. ავტორი იგონებს თავის ბავშვობას და ვერუბენა, რომ მასზე უდიდეს გავლენას ახდენდა ხალხის ცხოვრებიდან ამოღებული პატარა ამბები და ზღაპრები. თვითონ ალ. კაზბეგის დამოწმებით, ეს ზღაპრები უფრო ლრმად შედიოდნენ მომავალი დღიდ მწერლის გულში და გონებაში, ვიღრე მუდმივი დარიგება ოჯახის სხვა რომელიმე წევრისა.

ცნობილი პოეტი და მოღვაწე აკაკი წერეთ ეს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა იმას, რომ მან თავისი ბავშვობის რამდენიმე წელი იძინო თვალში, გლეხის ბავშვებთან ერთად გაატარა. აკაკი ამის შესახებ წერს: „არ შემიძლა არ გამოვტყდე, რომ, თუ კი ჩამ დარჩი ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმს წყალობით, რომ მე სოფელში ვიყვა გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.“<sup>2</sup>

თითქმის ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ალექსანდრე კაზბეგის ცხოვრებაშიც. ყველა იმას, რაც რიგითი იყო მასში ბავშვობიდან ჩანერგილი, ალ. კაზბეგი თავის გამზრდელ ნინოს უმაღლობა. ეს ხელნაწერი უდაოდ არის ერთერთი საუკეთესო დოკუმენტი, რომელიც გარკვეულ ნათელს ჰქონდა ალ. კაზბეგის ბავშვობას, მის სულიერ მოთხოვნილებას ამ პერიოდში. ალ. კაზბეგი, თითქმის რამდენიმე წლით აღრე, ვიღრე აკაკი წერთელი გამოაქვეყნებდა „თავგადასავალს“, წერდა:

„ჩემი საყვარელო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა ლარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან საბსოვრად ან მოგიძლვნას? ამზედ უძვირფასესი მე არა მქონდარა და ამის გამოისობით [მოგიძლვნი] ემ რამდენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღნირდშიაც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა მოიგონე ის დროები, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს;

<sup>1</sup> ეს აბედ კაზბეგი — „მასალები“, უურნალი „შნათობი“, 1925 წ. № 4.

<sup>2</sup> აკაკი წერეთ ეს — „ჩემი თავგადასავალი“.

მანებივრებლენენ უკანასკნელ გარევნილებამდინ; მასწავლილენენ შურს, ამპარტაციონბას და სიძულვილს! ხელის ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგაში“, „მეკობრები“, და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა: გახსოვს რა თანაგრძნობრთ მიამბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ ბატონების ხელში?... გახსოვს შენმა სიტყვებმა, რამდენჯერ დამალვრევინა მდულარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ტანჯული ხალხის, უსამრაოლობისაგან დევნილ პირებისათვის? შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთად და აქ დამარხა ჩემს გულში... და ეხლა ამთვენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლიან სიმაყით გითხრა. შენს გაზრდილში ოუ იპოვება რამე, რიგინი ბავშვობიდანვე ჩანრგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისც გმაღლობთ წარმოუქმელად.“<sup>1</sup>

ასე აფასებდა ალ. ყაზბეგი თავის აღმზრდელ გლეხის ქალს, რომელიც იყო ერთერთი ძეგლი შინამოსამსახურე მიხეილ ყაზბეგის ოჯახისათვის, როგორც სხვა მრავალი.

ალ. ყაზბეგის ერთერთი მანლობელი პიროვნების იაგორ ლუდუ შავურის გადმოცემით, ალ. ყაზბეგმა შემდეგში თავისი გამზრდელი ნინო დაასაჩუქრა იმით, რომ მას უბოძა თავისი მამულიდან ერთი კარგი სამოსახლო მიწა.

ალექსანდრეს აგრთვე მიუჩინეს შინაური მასწავლებლები, რომლებიც მას რუსულ და ფრანგულ ენებს ასწავლილენენ. 11—12 წლის ყაზბეგს უკვე სცოლნია ეს ენები სე, რომ იგი ლაპარაკს ახერხებდა.

პატარა ალექსანდრე ვერ ეგუებოდა იმ გადაჭარბებულ ფუფუნებას, რომელსაც მის მიმართ იჩენდა მიზენილ ყაზბეგის ოჯახში მისი შრავალ-რცხვოვანი შინამოსამსახურებით. ალექსანდრე ხშირად სასახლიდან გაიჭურდა და სოფლის ბიჭებთან ატარებდა დროს. განსაკუთრებით უყვარდა მას ცხვარში გასვლა მწყემსებთან. ალ. ყაზბეგის ამ თვესების შესახებ მოვეითხომს აკაკი წერეთელი, რომელიც ალექსანდრეს მშობლების კარგად მუხობი იყო. აკაკი წერს: „დაბალი ხალხი იმ თავითვე, ბავშვობაშივე, უყვარდა. სული ბიჭებში მიუდიოდა და, ვვონებ, მიზეზიც იგივე იყო, რომ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, დღით ხნით ცხვრის სამწყესურში გადავიდა. — ფულის ყადრი, პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდა: გამოართოენ ხოლმე მამას ვერცხლის ფულს, ჩაიყრიდა ჯიბეში და გაუდგებოდა გზას; აედევნებოდნენ სოფლის ბიჭები, ისიც იღებდა ხოლმე ჯიბოდან ფულებს და გადაუყრიდა ბიჭებს; ისინი დაერეოდნენ ერთმანეთს, იყო ერთი წიწვნა-გლეჯა და ყურთაზიაობა და ეს ამბავი ძალიან უხარიდა პატარა სანდროს.“<sup>2</sup>

1859 წლის დამდეგს ალექსანდრე ყაზბეგი შეკვავთ ტფილი-სის ცნობილ 3 კერძო პანსიონში, რომელშიც ათობდე წლის წინათ სწავლობდა დღით მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ილია გრიგოლის ძე კავკაცია.

იმავე 1859 წელს ალექსანდრეს ჯერ კიდევ პყოლია კერძო მასწავლებელი. მწერლის არქიეპი დაცულია ერთი ღოუმენტი, ხელნაწერი რომელიაც ანტონ ხომინ სკისა, რომ მან მიხეილ ყაზბეგისაგან მიიღო 55 მანეთი ვერცხლით ალექსანდრესთვის კერძო გაკვეთილების მიცემის გამომრჩევიდა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. გამცრცელებელი საზოგადოების ფონდი, № 3982.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი — „ჩემი თავგადასავალი“, ნაწილი მეორე.

<sup>3</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3980.

ა. ყაზბეგის დოკუმენტებში დაცულია ერთერთი ოფიციალური შორის 1859 წლის თარიღით, რომელიც მოგვითხრობს პატარა ალექსანდრეს სწავლისა და ინტერესისი შესახებ. პირველ კლასში ალ. ყაზბეგს ასეთი წარმატება ჰქონდა: <sup>1</sup>.

სამღვთო სჯული — 3, რუსული — 3, ქართული — 4, ფრანგული — 5, არითმერია — 4, ხატა — 3, გარჯოშია — 3, ცავა — 4, მუსკა — 5, ყოფაქცევა — 5.

ჰავეს პანიონიდან ალექსანდრე, დ. კარიქაშვილის ცნობით, გადაუყვანით კანონიჩის პანიონში, საღაც ალ. ყაზბეგს უსწავლია 1862 წლიდან 1863 წლამდე.

1863 წლიდან ალ. ყაზბეგი ტფილის გიმნაზიაში სწავლობს. იმ დროს იგი მესამე კლასში უნდა ყოფილიყო. 1864 წელს, ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ალექსანდრე უკვე გიმნაზიის მეოთხე კლასში არის. მწერლის იმავე არქივში დაცულია ერთერთი ქვითარი, რომლილაც ვტყობილობთ, რომ მას გადაუხდია. 1864 წლის მეორე ნახევრის სწავლის ქირა ხუთი მანეთის რაოდენობით.

1865 წლიდან ალ. ყაზბეგს მშობლები უკვე სასწავლებელში აღარ გზავნიან. ისინი ხევილან ტფილის ჩამოსკლას ვერ ახერხებენ და ალექსანდრეს კათვალიდან არ იშორებენ.

ამავე 1865 წლის 3 მარტის თარიღით მიწერილ ყაზბეგს ტფილი ისიდან ხევილი უგზავნიან ერთ მიმწერას (უწყებას), რომელიც საინტერესო მასალაა ალ. ყაზბეგის ბაოგრაფიაში. მიმწერლან ირკვევა, რომ მიხეილ ყაზბეგს ჯერ კიდევ სასებით გადახდილი არა ჰქონია ალექსანდრეს სწავლის ფული ჰავეს პანიონში. ჰავე იძულებული გამხდარა, რომ თავისი ხევილი უული საჩივრის გზით აელო. მას მიუმართავს პოლიკის (თუ სასამართლო) ორგანიზაციის და ახლა ტფილის რაონის ბოქსული თავის მეტად თავაზიან მიმართვაში, როგორც ეს შეეფერებოდა გენერალ-მაიორს, მიხეილ ყაზბეგს აფრთხილებდა, რომ თავისი დავალება (ოთხმოცულოთი მანეთი და 80 კა.) სამი დღის გადაში უკლებლივ დაეფარა. <sup>2</sup> ჩვენ არ ვიცით რითი დამთავრდა ეს მიმწერა, მაგრამ, როგორც უნდა დამთავრებულიყო. ეს ფაქტი მარც საყურადღებო მოვლენაა თავისთავად.

ამრიგად, მიუხედავად თავისი დიდი მისწრაფებისა სწავლისადმი ალ. ყაზბეგი იძულებული გამხდარა გიმნაზიისათვის თავი მიენებდინა. მართალა, ერთი წლის შემდეგ მშობლებმა კვლავ სკადეს ალექსანდრეს დაბრუნება გიმნაზიაში, მაგრამ ესეც მოუხერხებელი აღმოჩნდა.. ალ. ყაზბეგს ამის შემდეგ გიმნაზიაში აშში აღარ უსწავლია.

საჭიროა აღნიშნოს, რომ შემდგომში ალ. ყაზბეგი დიდად განიცდიდა საშუალო სკოლიდან უდროოდ გამოსკლის მწვავე შედეგებს. ალექსანდრე სასტიკად უსაყველურებდა თავის მშობლებს იმის გამო, რომ მათი საქციელის შედეგად იგი გიმნაზიიდან გამოვიდა. თავის ავტობიოგრაფიულ წერილში ყაზბეგი ამის შესახებ წერს:

„ჩემი შიში, რომ არ დაგეგნიანებინეთ გიმნაზიაში, და წადილი ისეთი ძლიერი იყო, რომ ბინიდან ჩემოდან აყიდებული, ქვევით გამოგექცით, იყვს ყინვაში. ოქენე გამოგზავნეთ კაცები, დამჭირეთ. მიმათრევეთ და მეაცხს მოქცევას შემდეგ, ანვ-რამდი დამაგდეთ. რა გამოვიდა ექიდგან?.. გამომრიცხეს გიმნაზიიდან და როდესაც.

<sup>1</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3980.

<sup>2</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3980.

ისევ მინდოდა შესკლა, მაშინ ეგზამენია მომთხოვეს იმაში, რაც გაევლოთ ჩემს ამ-  
ხანებს ჩემს იქ უყოფნელობაში. ეგ აშეარა იყო, რომ 8 თვე ნადირობაში და უსაქმო  
გატარების შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იყო ეგზამენის დაჭერა. ამ უბედურებას  
მიემატა მამიჩემის აფაღმყოფობა, რომელსაც წადილი იმ სურვილათ გადაეძია, რომ  
გვერდიდან აღარ მოვშორებოდი. ასე რომ არამც თუ თქვენის მიზეზით გიმნაზიის  
სწავლა დავკარგე, ისიც კი აღარ იფიქრებ, რომ სხვა რომელსაც გზაზე დაგეხმნე-  
ბინეთ".<sup>1</sup>

### III

1866 წლის ივლისში გარდაიცვალა ალექსანდრეს მამა მიხეილ ყაზ-  
ბეგი. საჭიროა ალინიშნოს, რომ ყაზბეგიანთ ოჯახს ჯერ კიდევ მიხეილის სი-  
ცოცხლის უკანასკნელ ხანებში უკვე აღარ ჰქონდა ის დიდი შესაძლებლობა და  
იერი, რომლითაც იყი ცნობილი იყო ორმოცდაათ-სამოციან წლებში. გა-  
ნუწყვეტლმა სტუმრიანობამ და უანგარიშოდ ფლანგვამ ყაზბეგის ოჯახი შე-  
სამჩნევად გააღარიბა. ყოველშემთხვევაში მან ჩაქარება თავის პირველი ძალა  
და ავტორიტეტი. თვითონ ალ. ყაზბეგის გადმოცემით, მამის გარდაცვალების  
მომენტში მათ ოჯახს ერთი გროშიც-კი არ გააჩნდა, გარდა იმისა, რომ გარ-  
დაცვალების წინადლით თვით ალექსანდრემ მამას ათი თუმანი მიუტანა.

მიხეილ ყაზბეგის დასაფლავებას დიდიალი ხალხი დაესწრო. ალ.  
ყაზბეგის თქმით, იმ დღეს მთელი ხევი იქ შეიყარა. მთის წესის თანახმად, კვე-  
ლა მოსულისათვის საჭირო იყო შესაფერი შეხვედრა — მასპინძლობა, რაც იმ  
დროს უდიდეს ხარჯებს მოითხოვდა. მიხეილის დასაფლავებაზე გაწეული დიდი  
ფულადი ხარჯები, რაც იმ მომენტში ვალად იქნა ალებული, დიდი ხნის განმა-  
ცლობაში მძიმე ტერიტორიად აწვა მის ოჯახს. ამ ტერიტოის სიმძიმე განსაკუთრე-  
ბით საგრძნობი იყო თვით ალ. ყაზბეგისათვის.

მამის სიკვდილით გამოწვეული მძიმე შედეგები ალ. ყაზბეგს მეტად მწვა-  
ცდ განუცდა. იგი თავის ერთადერთ ავტობიოგრაფიულ წერილში მოვკითხ-  
რობს იმ უბედურების შესახებ, რომელიც მიხეილის გარდაცვალების გამო თავს  
საატყდა მთელს ოჯახს და კერძოდ თვით ალექსანდრეს. რომელიც იმ დროს  
მხოლოდ თერამეტი წლისა იყო.

ალ. ყაზბეგი ამის შესახებ წერს:

"უბედურება მოჰყვა უბედურებას და შუა ზაფხულში გადაიცვალა მამაჩემი! გა-  
დაიცვალა იმ დროს, როდესაც შინ ერთი გროში არა გვქონია, გარდა იმ ათის თუმ-  
ნისა, რომელიც მე ჩაუტანე იმ უბედურს სიკვდილის წინადლით და რომელიც იყო  
ნაყოფი პირველის ჩემი ოფლისა.

"მე არ ვაყევდები მიცვალებულს ამ ფულებს იმიტომ, რომ ის ჩენ წინ დამაშავე  
არაფერში არ არის: სანამ კარგდ იყო არავიზე უარესათ არ გვაცხოვებდა. რო-  
დესაც მოკვდა ეგ ფულები გადასტანდ თავის სასაფლაოზედ ძლიერ გვეყო და და-  
მარხვა მოგვიხდა ვალზედ. ჩენში დამარხვა ხომ სხვა ქვეყნების დამარხვას არ ემს-  
გავსება?.. მთელი ხევი შეიყარა. ამ რა დაიხარჯა პირველ დამარხვაზედ:

250 ფუთი ფქვილი	1 ..	250 მან.
9 ხარი	25 ..	225 "
50 ცხვარი	3 ..	150 "
10 ფუთი ბრინჯი	2-50 ..	25 "
2 ბოჭკა არაყი	80 ვედრო	3 .. 240 "
120 ვედრო ლეინი	3 ..	360 "
1 კუბი თავისი მორთულობით	250 ..	250 "
მღვდელზელ	150 ..	150 "
სხვადასხვა ხარჯები	300 ..	
ს უ ლ . . . .		1950 მან.

<sup>1</sup> საჭართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-ჭ. ფონდი, № 3983.

„ამ ხარჯის გარეთ მთელი წლის ხარჯები მთის ჩვეულებით, რომელიც უნგარიშო არის და ჩერქეზების სიარული თავისი ნათესავისა და იმათში სახელოვანი კაცისა ხომ განუწყვეტილი იყო. ასე რომ ამ ხანებში კარგა ფული შემოგვეხარჯა“.<sup>1</sup>

ასეთია ის შედეგი, რომელიც მოპყვა აღ. ყაზბეგის მამის გარდაცვალებას. ამ ხარჯების უდიდესი ნაწილი, როგორც აღინიშნა, ვალად იყო აღებული.

კიდევ უფრო მწვავე იყო მამის გარდაცვალება აღ. ყაზბეგისათვის იმ მხრივ, რომ ამის შემდეგ მას კიდევ უფრო უპიობოდა საშუალება სწავლა-განათლების მისაღებად. მამის გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახის მოყლაპატრონობა ალექსანდრეს უნდა გაუწია. როგორც თვითონ ამბობს, თვრაშეტი წლის ახალგაზრდას, შეუჩეველს და ცხოვრებაში გამოუცდელს, ახლა მიხეილ ყაზბეგის სახლკარის წინამძღოლობა უნდა ეკისრნა.

ახალგაზრდა აღ. ყაზბეგი სწავლისაკენ მიიწევს, განათლება სწავლით. მიუხედვად იმისა, რომ მას საშუალო სკოლაც კი არ დაუმთავრება, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზდება და ამ მიზნით იგი მიწერ-მოწერას აწარმოებს მოსკოვში მყოფ თავის ერთერთ მეგობართან ბახუტაშვილთან. იგი სთხოვს თავის მეგობარს რომ რჩევა მისცეს, გზა ასწავლოს და დაუხმაროს სასწავლებელში შესვლაზე.

ეს ქრისტიან მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ალექსანდრე ყაზბეგს ოჯახიდან წასვლის საშუალებას არ აძლევდა დედა. დედას უნდა რომ თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი ყოველთვის თეალწინ ჰყავდეს. ტკბებოდეს მისი ბელნიერებით. იგი ცდილობს როგორმე ცოლი შერთოს ალექსანდრეს, ოჯახის ფერხულში ჩააბას და ამით გადააიწყოს სამშობლოან წასვლა.

საფოტებელია რომ ეს კომიუნი აქტი, რომელიც გათამაშებული იყო აღ ეჭსანდრე ყაზბეგი ის ათვის ცოლის შერთვევნების მიზნით, უნდა მოყობილი ყოფილიყო თვით აღ. ყაზბეგის დედის მიერ. მაშინ, როდესაც ალექსანდრე მოსკოვში თავის შეგობართან მიწერ-მოწერას აწარმოებდა, ამავ დროს ალექსანდრეს დედას თავის მხრივ შეთანხმება ჰქონია თავის ძმასთან, ალექსანდრეს ბიძასთან, რომ როგორმე მისი დაქორწინება მოეწყო. სხვანაირად შესაძლებელია ყველაფერი თავისთავად მოწყობილიყო ისე, როგორც ამას აღ. ყაზბეგი თავის ავტობიოგრაფიულ წერილში მოგვითხრობს. აჭ ერთი მეორეს-თან გადაჯაჭვულია ერთის მხრივ წერილის მიღება და აღ. ყაზბეგის მზადება მოსკოვს გასამგზავრებლად, ხოლო მეორეს მხრივ მისივე მიპატიუება სტუმრად ქართლში ბიძის მიერ.

ალექსანდრეს სტუმრად გაწვევის მიზანი ის იყო, რომ მისთვის ცოლი შეერთვევინებინათ. ამის შესახებ თვით აღ. ყაზბეგი იქვე მოგვითხრობს:

„ბიძაჩემის ცოლის და ჰყავდა ერთი ქალი, რომელიც უეპველად უწოდდათ ჩემ შეერთოთ და ამ აზრის ალსრულებისათვის ყოველ წესიერს და უწევს მოქმედებას არა შეურიცხვენ. მატარებლნენ იმ ქალის საზოგადოებაში, საში ღვინოს მაძალებლნენ და იმ ქალს კი ამლერებდნენ, აალერსებდნენ ჩემთან, მელაპარაკებოდნენ იმის მზითვეზედ. სილამაზეზედ, სითეორეზედ; მისატავდნენ სხვადასხვა ამალელვებელს უპატიოსნი სურათებს და ერთი სიტყვით ცდილობდნენ, რომ როგორმე წავეცდინეთ და ეთქმევინებინათ, რომ მომწონს ანუ მიყვის. ისინი კარგად იცნობდნენ ჩემს ხასიათს და იცოდნენ, რომ თუ ერთხელ რამე წამომცდენიყო ამგვარი, მაშინ უარის თქმას ველარ მოვახერხებდი და ჯვარს გადამწერდნენ. მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ გამამაგრა, როგორც სალი კლდე. და მოატყუა ჩემი მდევნელები თავიანთ ანგარიშში. მე დღე და ღმე საფარის უპილობელი სამსვენებას არ მაძლევდა სტუდენტების ცხოვრება, რომელსაც ისე ცოცხალის ფერებით მიხატავდა. ხოლმე ერთი ჩემი ნასტუდენტარი ნათესავი.

<sup>1</sup> საჭართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3983.

ამ დროებაში ჩემი მასპინძლები იქამდინ მივიღნენ, რომ დაიწყეს პირდაპირ ჩემთან ლაპარაკი იმ ქალის შერტვაზედ და მითხრეს გადაწყვეტილი, რომ აღარ დამანებდებენ. ჩემი მდგომარეობა სასაცილოზე უარესი იყო. მაგრამ მე ვიყავი კაცი ცხენსა და იარაღს შეჩვეული, ამასთან ბიჭი მყვანდა საკმაოდ გულადი და გამოცდილი, რომელსაც შევატყობინენ, ჩემი მდგომარეობა. საერთო რჩევით დავდევით, რომ ხვალ ფილით დაკუზმოთ ცხენები, გამოუტადოთ, რომ შინ მივდიგროთ და თუ ვინმებმ გაბედა ჩენი დაყვნება, ძალით გავიკეთოთ გზა. როგორცა ესთქვით ისე კიდეც ავასრულეთ. ბევრი ეცადნენ, ბევრი მიჩრის, მაგრამ რაკი ჩენი გადაწყვეტილება და შეურყევლობა ნახეს, მაშინათვე თავი დაგვანებეს და სწორე გითხრათ კარგიცა ჩეს, ამიტომ რომ მაშინ თუ მართლა ძალა ეხმარებინა ვიშე, მე და ჩემი კაცი თავბას არ შევიშურებდით. ან რა უნდა ყოფილიყო ჩემი დაქორწინება იმ დროს!.. ჯერ ერთი ეს რომ მე ვიყავი 18 წლისა, მაშასადამე ყმაწილი. ის ქალი კი 22-ს წლისა... მე სხვადასხვა პირების უყრისგდების გამო, ვფიქრობდი განათლებას და სწავლას და ჩემი საცოლე-კი ყოველყამს პფიქრობდა სიმდიდრეზედ, კრეტებზედ და ყველა იმგვარს ცხოვრებაზედ, რაც გამასხარებული პქნიდა ჩემს შეხელულებას საქმეზედ. ეს შეხელულება იყო ბავშვური გატაცება თუ დამყარებული აზრი ეგ ორივ ერთია თითონ საქმისათვის, მაგრამ აյ ის შესანიშავი, რომ მე და ჩემი საცოლე სრულებით სხვადასხვა აზრებისა ვიყავით და სხვადასხვა გზებს ვადევით იმ ღროში, როდესაც შეერთებას გვიპირებდნენ.“<sup>1</sup>

შიუხედავად იმისა, რომ ეს სცენა ძალიან მოხერხებულად იყო გათამაშებული, ალ. ყაზბეგს ცოლი მაინც ვერ შეართვევინეს.

როგორც ამინაწერილან სჩანს ამდროს ალ. ყაზბეგ ს საბოლოოდ გადაწყვეტილი პქნიდა სასწავლებელში წასვლა. თუ ერთხელ წამომცდენიყო შემდეგში უკვე მის შეცვლას ველარ ვახერხებდით. — ამბობს ალ. ყაზბეგი თავის-თავზე, მართლაც მისი ცხოვრების ერთერთ დაშახასიეთებელ თვისებად მოსჩანს პრინციპულობა და პირდაპირობა საქმეში. მან ერთხელ სიტყვა მისკა თავის-თავს, რომ ის წასულიყო რუსეთში, ესწავლა ბეჯითად და ამით დაერწმუნებინა ყველა, რომ მას შეუძლიან ისწავლოს რომ აღზრდის იქ პირობებს, რომელშია მან გაატარა თავის ბავშვობა და რომელიც მას გარკვევით არ მოსწონდა, ალ. ყაზბეგში მაინც ვერ ჩაუკლავს სწავლისა და შრომის მოყვარეობა.

იმავე (1867) წლის ზაფხულზე, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიღებულ დედის თანხმობის შემდეგ, ალექსანდრე ყაზბეგი მოუთმენლად ემზადება რუსეთს გასამგზავრებლად. იმის გამო, რომ ტრანსაბორტი ვალატვირთული იყო და მას მოუხდა რამდენიმე დღე კჯდევ დაეგვიანა, ალ. ყაზბეგი. მოგვითხრობს, რომ მას ყოველი ასეთი დღე საუკუნედ ეწვენებოდა.

როგორც თვითონ ალ ე ქ ს ა ნ დ რ ე ყ ა ზ ბ ე გ ი გაღმოვცემს, რუსეთს გამგზავრების მომენტისათვის მთელ თანხას შეადგენდა ერთი ათასი მანეთი. მაგრამ ეს თანხა მას აქედან ვერ გაჟყოლა. ამ მომენტში თავი იჩინს ვალებმა, რომელიც ალ. ყაზბეგის მამის დასაფლვების ღროს იყო აღებული. „რაკი მედუქნებმა შეიტყეს რუსეთს მივდიოდი, დღე და ღამე მოსვენებას აღარ მაძლევდნენ“ გადმოგვცემს ალ. ყაზბეგი დღე გ ი.

ეს ვალები ცატა როდი აღმოჩნდა: მან სამზარეოლ გამზადებულ ახალგაზრდა ალ. ყაზბეგ შუაზე გაუყო მთელი თავისი ფული. ამრიგად მას ოჯახიდან გაპყოლია მხოლოდ ხუთასი მანეთი.

სწავლა-განათლებას მოწყურებული, სტუდენტობის სახელის მოტკრეფიანე და ცხოვრების ქარტებილში ჯერ კიდევ გამოუწრობი ოციოდე წლის ალ ე ქ ს ა ნ დ რ ე ყ ა ზ ბ ე გ ი 1867 წლის ზაფხულზე საქართველოდან მოსკოვს შეემგზავრება.

<sup>1</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის წელნაწერი, წ.-კ. ფონდი, № 3983.

პროფ. ს. კაკაბაძე

## იმერეთის დაცურობა გევის ჩასათის მიერ

130 წლისთავის გამო

იმერეთის დაცურობა ცარიზმის მიერ 1810 წ. წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან რეოლს ტრაგიზმით. აღსავს იმ უბედულებათა სიგრძეზე, რომელნიც მე-19 საუკუნის დასაწყისში თავს დაატყდა საქართველოს ოუცემის იმპერიის დამცურობელობით პოლიტიკის შედეგად. მას შემდეგ, რაც საობერატორო რუსეთმა 1801 წელს შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო და დაამყარა იქ მეფის ბიუროკრატიული მართებლობა, გრძელდებოდა ამ მონაპოვარის ტერიტორიულად მომწყვალება აღმოსავლეთისაკენ კასპიას ზღვის მიმორთულებით, სახანოების დაცურობით და დამორჩილებით, დასავლეთი კუდევ დარჩენილი ქართული სამთავროების შემოქროებით. იმერეთის შეფერ ამ დროს იყო სოლომონ II, დედით ერეკლე II-ის შვილიშვილი. ის არ ეკუთვნოდა პირველხარისხოვან სახელმწიფო მოღვაწეთა რიცხვს, რომელნიც მოწოდებული არიან თავისი იდეებით და პრაქტიკული საქმიანობით მთელი თაობით გაუსწრონ თავის თანადროულობას და ხელი შეუწყონ თავისი ქვეყნის დაყენებას ახალ გზაზე. ასეთნი ხომ ისტორიაში იშვიათნი არიან. მაგრამ სოლომონს ჰქონდა მთელი რიგი ისეთი თვისებანი, რომელნიც მას პოპულარულად ხდიდნენ იმერეთის ფართო მასებში. უპირველეს ყოვლისა, ის იყო ბუნებით დემოკრატი, უმცროსთანაც კი თავმდაბალი. მასთან შესვლა ყველას შეეძლო და ყველას ის აუცილებლივ ფეხზე წამოუდგებოდა. მოსულიც თოფით ხელში (მასთან შედიოდნენ იარაღის მოუხსნელად) კვანტ-გაღადებით მას სალაში აძლევდა შეტად დაბლა თავის დაკვრით. საქმიან ურთიერთობა-შიაც სოლომონი იყო სამართლიანი და მეტად უბრალო. პოლოტიკაში ის იყო პრინციპული და საღად მოაზროვნე. მრჩეველებიც მას ჰყავდა საუკუთხსნი. საჩრდალი ქაიხოსრო წერეთელი, დიდი პატრიოტი და პირდაპირი ქავი; მის გარდა კახეთიდან იმერეთში ჩასიდებული მალხაზ ანდრიონიგაშვილმა (მას სოლომონ II და მარიამი ჰყავდა კოლად) და სხვ. ამათ შემდეგ ტფილი-სიდან იმერეთს გადასული სოლომონ ლიონიძე, საუკუთხსო დიპლომატი, სხვადასხვა ენების და მათ შორის რუსულისაც კარგად მცოდნე, წინათ ერეკლე II სამსახურში დაწინაურებული და ერთ დროს ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო საქმეების ხელმძღვანელიც. სოლომონ ლიონიძე ვერ შეუჩინდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსპობას და იმერეთში გადასახლდა. აქ მან მალე ფაქტორად დაიკავა პირველი ადგილი, რათაც გადა-

იმტერა სახლთუხუცეს თავად ზურაბ წერეთლის ეგოსტური ჯგუფი წულუკა-ძეებთან ერთად. მაგრამ სოლ. ლიონიძეს ეს არ აფიქტებდა. ის იყო საქმის და სიტყვის კაცი და დღე და ღამ მუშაობდა იმერეთის სახელმწიფოებრივ ტოვრების განსამტკიცებლად.

მაგრამ ამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცება მეტად ძნელი საქმე იყო. მაშინ როდესაც ფეოდალური ქართლ-კახეთის ცხოვრების ზედაპირზე მე-18 საუკუნის უკანასკნელ მესამედში უკვე სჩანდა მთელი რიგი მოვლენები, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყვნენ კაპიტალისტური წარმოების წესის წინამორბედად (ზოგ მოზრდილ წარმოებათა წამოწყება; მარნულობის დამუშავების გაძლიერება და სხვ), იმერეთი და საერთოდ დასავლეთი საქართველო წარმოადგენდნენ ჩამორჩენილი ფეოდალური ეკონომიკისა და ფეოდალურივე სოციალური წყობის ქვეყანას. მე-17-18 საუკუნეებში დას. საქართველო განიცდიდა მეტად დიდ დაცემას და დაჭვეითებას და ამით აიხსნება ის, რომ მაშინდელი იმერეთის ერთადერთი ქალაქი ქუთაისი მე-19 საუკუნის დასაწყისშიც ფაქტიურად წარმოადგენდა მოზრდილ სოფელს, რომელსაც განასხვავებდა სხვა სოფლებისაგან ორასიონდე ღუქნისაგან შემდგარი ბაზარი. (თუმცა გარდა ამისა პარასკევეობით იმართებოდა დიდი ბაზრობა. რომელზედაც იყიდებოდა შორეული ადგილებიდანაც მოტანილი ნაწარმი).

მართველობის წესიც იყო მეტად ჩამორჩენილი. თანამდებობები გადადიოდა ერთსა და იმავე გვარში ხშირად მამიდან შეიიღო, ამიტომაც შეფის ერთერთი მდივნის თანამდებობა მემკვიდრეობის წესით მე-18 საუკუნის მიურულში ეჭირა ერთ პირს, რომელიც წერა-კითხვა არ იცოდა, სამდივნო შემოსავალს კი ღებულობდა.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამ გამოაფხიზლა იმერეთის ხელმძღვანელი წერები, რომელიც იღებდნენ ზომებს მართველობის გასაუმჯობესებლად. წერა-კითხვის უცრდინარი მდივნის მაგივრად მეფის მდივნის თანამდებობაზე ახლა ვხედავთ ზემოთ დასახელებულ სოლომონ ლიონიძეს, რომელიც უბრალო წარმოშობისა იყო. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პალიატივები, ჩადიკალური გარდაქმნისათვის კი იმერეთის ხელმძღვანელობა არც გამოცდილება ჰქონდათ და არც ძალა შესწევდათ.

მაგრამ ამისდა მიუხედავად იმერეთში კვლავ ღვითდა ძეელი დიადა კულტურის სული და მისწრაფება თავისი თვითმყოფობის დაცვისა რუსეთის იმპერიის მოძალად სამოქალაქო და სამხედრო ჩინოვნიკებისაგან. ამ საკითხში იმერეთში ამ დროს სრული ერთსულოვნობა სუფვედა.

იმერეთისათვის რუსეთის იმპერიის დამეზობლების შემდეგ ერთერთი მთავარი საკითხი იყო დასავლეთ საქართველოს გარენულად მანც გაერთიანება. გურიის სამთავრო იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა. მაგრამ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი (სოლომონ II ცოლის ძმა) გურიელზე უფრო ძლიერი იყო (მას ეკუთვნოდა ლეჩხუმიც) და ამიტომ იმერეთის მეფეს თავს არ უყადრებდა. ძალთა განწყობილების თვალსაზრისით აღსანიშნავია ის, რომ რუსეთის აგენტების სიტყვით იმერეთის მეფეს შეეძლო ბრძოლის ველზე შაქსიმუმი 15 ათასი მეომრის, სამეგრელოს სამთავროს — 10 ათასი კაცისა და გურიას კ — 3. ათასი კაცის გამოყანა. 1802 წ. სოლომონ II 8 ათასი კაცთ კიდეც დაკავა ლეჩხუმი და სამეგრელოს მეტი ნაწილი, მაგრამ გრიგოლ დადიანის გაგდება ვერ შესძლო. გრიგოლმა მიმართა ტფილისში დანიშნულ მთავარმართებელს 3. ციციანოვს რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების თოვნით, ჯის შედეგად რუსეთმა შავი ზღვიდან გადასხა სამეგრელოში ჯარი და

სამეგრელო მიიღო თავის ქვეშევრდომობაში (1803 წ.) გრიგოლ დადიანი ამის შემდეგ მაღე მოწმოლეს, პეტერბურგს კი საჩქაროდ გაგზავნილ იქნა ელჩად სოლომონ ლიონიდე, რომელსაც უნდა ეთხოვა იმერეთის მეფის მიღება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ქვეშევრდომობაში გურია-სამეგრელო-აფხაზეთის სამთავროებითურთ. მაგრამ ამ დროს უკვე გადაწყვეტილი იყო სამეგრელოს ცალკე მიღება რუსეთის ქვეშევრდომობაში (ეს სასარგებლო იყო რუსეთისათვის) და ამიტომ სოლომონ ლიონიდე უარით გამოისტუმრეს იმ პირობით, რომ მას მოლაპარაკება უნდა განეგრძო ტფილისში მთავარმართებელ ციციანოვთან. იჩერლები ახლა უარს იყვნენ ამ მოლაპარაკების გაგრძელებაზე, მაგრამ ციციანოვმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების შეწყვეტა და ქვეშევრდომობაზე უარის თქმა იმპერატორის შეურაცხყოფა იქნებათ. მაღე ამას შემდეგ იმერეთისკენაც დაძრულ იქნა რუსეთის ჯარი. სოლომონ II არ იყო მომზადებული ომისათვის და 1804 წ. 24 აპრილს იძულებული გახდა ხელი მოვწერა ხელშეკრულებაზე რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შესახებ. ქუთაისში ჩადგა რუსეთის ჯარი.

ამ იძულებოთმა ხელშეკრულებამ და მით შექმნილმა მდგომარეობამ ოპივე მხრიდან დაბადა უნდობლობა. სოლომონს ეჯავრებოდა რუსეთის გენერლები და ჩინოვნიკები, არ ენდობოდა მათ და ამიტომ თავისი მრჩეველებათ და კარით გადასახლდა ვარჯუნის. თავის მხრივ მთავარმართებლებიც და რუსეთის ჯარის უფროსებიც მას ასევე უნდობლად უყურებდნენ. მთავარმართებლებმა მოასყიდეს ზურაბ წერეთელი და ორი წულუკიძე და უნდოდათ მათთვის დახმარებით სოლომონის შეპყრობა. მაგრამ მეფეს მუდამ ახლდა რამდენიმე ასეული კაცი და ამიტომ ქუთაისში გადაუსვლელად ეს არ მოხერხდებოდა. ქუთაისში გადასვლაზე კი, რადგან იქ რუსეთის ჯარი იდგა, სოლომონი გადაჭრით უარს ამბობდა. ბოლოს 1810 წ. 20 თებერვალს მთავარმართებელმა გენ. ტორმასოვმა სპეციალური პროკლამაციით სოლომონი გამოაცხადა გადაყენებულად და დასძრა მის წინააღმდეგ ჯარებიც. რუსეთის ჯარის გარდა სოლომონის წინააღმდეგ მოქმედებდა სამეგრელოს და გურიის ჯარიც (გორის მთავარი მთავარმართებელმა უკვე რუსეთისაკენ გადაიყვანა). ყოველის მხრიდან მიწოლილ რიცხვით ბევრად ჭარბ მოწინააღმდეგეს სოლომონმა ვერ გაუძლო და იძულებული იყო დათანხმებულიყო ჭართლს წასვლას მთავარმართებელ ტორმასოვთან პირისამ მოსალაპარაკებლად. გორითან მას და მის რაზმს შემოარტყეს ჯარი და სოლომონი პატიმრის მსგავსად წაიყვანეს ტფილის 1810 წ. მარტში.

საქმე თითქო გათავებული იყო, მაგრამ სოლომონი და მისი უახლოესი თანამოძმენი არ იყვნენ ისეთი, რომელიც ბეჭდს ადვილად ემორჩილებოდნენ. 9 მაისს დღით მზადების შემდეგ სოლომონი გააპარეს ტფილისიდან. საიდანაც ის 23 ჩერული იმერლის თანხლებით გადავიდა ახალგვის საფაშოში. აქ ის ოსმალეთის ხელისუფლებამ აღვილად გასაგები მიზეზის გამომიიღო ძლიერ კარგად. ოსმალეთს უნდოდა რაც შეიძლება მეტი სიძნელეები შეექმნა რუსეთისათვის ამიერ-კავკასიაში.

ახალგვისიდან სოლომონ მეფემ იმერეთს გაგზავნა პროკლამაციები, რომლებშიაც მოუწოდებლა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

„სიკვდილისა და განსაცდელისათვის თავი გარდავსდე თქვენთან სიცოცხლისათვის, — სწერდა ამ პროკლამაციაში სოლომონი. — ფიცით გარწმუნებთ, თუ იმერეთს ჩემი დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს... თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი. მაგრამ ვიცი და

თქვენც ხედავთ, რომ სხვა თქვენი მეზობელნი იმათ (ე. ი. რუსეთის ჩინოვნა-კების) ხელში უნუგეშოდ კვნესიან, სახლისა და ცოლშეილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ... შეხედეთ საქართველოს (ქართლ-კახეთს), რომელიც პირველში ფიცით და ოქროთი მოატყუეს და დღეს აღარც სიმდიდრე გააჩნიათ და აღარც თავისი სახლი და სიკვდილს ნატრულობენ..“

ამ პროექტამაციის გაგზავნის შემდეგ სოლომონი 20 იენისს თვითონაც ჩავიდა ბალდათის მხარეს. ჯერ კიდევ სოლომონის ჩასვლამდის იმერეთში დაწყებული იყო საყოველთაო მობილიზაცია. თავისი მხრივ მრავალმართებელმაც მიყყარა იმერეთს რუსის რეგულარული ჯარი და, ამას გარდა, გამოაწვია სამეგრელოსა და გურიის ჯარიც. დაწყო სამხედრო ოპერაციები.

1810 წლის ივლისში ძალთა განლაგება იმერეთში შემდეგი იყო: იმერლების მთავარი ჯარი იდგა ქუთაისის ახლოს. თვით ქალაჭი ქუთაისში ჩაკეტილი და ალყაშემორტყმული იყო 3 ათასი რუსის რეგულარული ჯარი, რომელსაც ახლო მიდამოებში გარს ერტყა 5 ათასამდე იმერელი სარდალ აგია-შეილის წინამდლოლობით. სოფ. მაღლაკთან (ქუთაისის დასავლეთით) დაბანა-კებული იყო რინ ათასამდე იმერელი გურია-სამეგრელოს ჯარის ქუთაისშე (ხორავაულის) ციხის მიდამოში ქართლიდან რუსეთის ჯარის შესვლის დასა-ბრკოლებულად. აქ დამზადებული იყო რამდენიმე პოზიცია.

ამათ გარდა, ქართლის მიმართულებითვე კორტოხის გზაზე დაყენებული იყო 1 — 1½ ათასი კაცი მალხაზ ანდრონიგაშეილის და როსტომ წერეთლის მეთაურობით აგრეთვე რუსეთის ჯარის იმერეთში არგადასაშვებად და ვარდ-ციხე-ბალდათის მხარეშიც იდგა ათასამდე იმერელი. სულ ამგვარად სოლომონ II-ის ხელქეთი ამ ომში 12 — 12½ ათასი კაცი იყო. მართალია, იმერეთს შაშინდელი ანგარიშით შეეძლო 15 ათასი მეომრის გამოყვანა, მაგრამ რაჭის ბევრ ნაწილში იქაური ერისთავების და ზოგი წულუკიდის ღალატით ჯარის გამოყვანა ან არ მოხერხდა. ან ეს ჯარი წაყვანილ იქნა რუსეთის სასაჩვებლოდ. ასევე საწერეთლოდანაც (საღაც ათასამდე კომლი ირიცხებოდა) ჯარი არ გამოსულა, რადგანაც ზურაბ წერეთელი და მისი შეილები გრიგოლ და დავით მიტრობოლიტი რუსეთის მიერ იყვნენ მოსყიდული. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რაჭა-საწერეთლოს გარდა ჯარის მიბილიზაცია იმერეთში. საუკეთესოდ ჩატარდა და სოლომონმა რუსეთს დაუპირდაპირა მაქსიმუმი იმისა, რაც მას მაშინდელ პირობებში შეეძლო.

რუსეთის ძალას იმერეთში ამ ღრის შეადგენდნენ: რეა სრული ბატალიონი რეგულარული ჯარი ყაზახების რაზმებს გარდა, სულ 8-9 ათასი კაცი და რ ათასი კაცი მეგრელ-გურულების ჯარი იმერლების. მცირეოდენი რაზმითურთ. რიცხვითი უპირატყესობა ამ ომის ღრის ამგვარად რუსეთის მხარეზე იყო და, გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ის, რომ რუსეთის რეგულარული ქვერი ჯარი საუკეთესოდ გაწერთილი იყო და მის მწყობრის და ხიშტს აღილობრივი არა-რეგულარული ჯარი ვერ უძლებდა სათანადო დისციპლინის უქონლობის გამო.

ინციატივა სამხედრო ოპერაციების დაწყების პირველ ხანში იმერლების ხელში იყო. ქართლიდან გადმომავალი რუსეთის ჯარი დიდის ზარალით უკუკეცეულ იქნა. იმერლებმა ალყა შემოარტყეს ქუთაისში მყოფ რუსთა ჯარსაც, მოუსახეს მას სურსათის მიღების შესაძლებლობა და ლამობდნენ მის ტყვედ შეცყრბას. მაგრამ სამი კვირის შემდეგ რუსეთის ამ ჯარის მაშველად სოფ. მაღლაკს თავისი ჯარით მოადგა სამეგრელოს მთავარი ლევენ დადიანი, რომელმაც რუსეთის სახელით წინასწარ მოლაპარაკება გამართა მაღლაკში და-

ბანაკებულ სარდალ გიორგი წულუქიძესთან. ამ მოლაპარაკების შედეგად წულუქიძემ დაიხინა მაღლაკიდან (ჩუსეთის მთავრობამ ამისთვის შემდეგ ეს პირი კარგად დაჯილდოვა) და დადიანის ჯარს გზა გაუხსნა ქუთაისისაკენ. ამის შემდევ ინიციატივა გადავიდა უკვე რუსი სარდლების ხელში. იმერლები გველგან იბრძოდნენ თავგანწირულობით. თვით სოლომონი ჩნდებოდა ხან ერთს ადგილს და ხან მეორეს და ამნევებდა თავის რაზმებს მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ომი გაურჩელდა, ივლისის გარდა, აგვისტოსა და სექტემბერშიც. რუსეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა თვით სოლომონ II-ის ბრძოლებასა და ცილიობდა მისი მოკვლის მოწყობას. ასე, მთავარმართებელი გენ. ტორმასოვი სწერდა იმერეთში მომქმედი ჯარების უფროსს გენ. სომონვიჩს, რომ თქვენ მთავარი უურადლება უნდა მიაპყროთ თვით სოლომონ II-ის მოკვლისო. „სოლომონი უნდა შეპყრობილ ან მოკლულ იქნას. ის რომ მხოლოდ განვდევნოთ საზღვრებიდან, საქმე არა თუ დამთავრდება, არა-მედ შეიძლება შემდევში ჩვენთვის კიდევ უფრო საზარალო შეიქნეს, რადგანაც მაინც დარჩება საბაბი აჯანყებათა და არეულობათათვის. თქვენ გაქვთ 4 ათასი ჩერვონეცი. ამ უფლიდან ერთი ან ორი ათასი შეიძლება მოხმარებულ იქნას ისეთი ენერგიული პირის მოსაპოებლად, რომელიც მოსპობს სოლომონს. შევლელებს ჯილდოდ შეიძლება კიდევ მივცეთ მამული და ჩინი. შეიძლება მოლაპარაკებაც დაიწყო სოლომონთან და სიმედო ადგილას შეიტყუილოთ ის... ყოველგვარი ხრიკი მისდა მიმართ ნებადართულია. ერთი სიტყვით, რეინა, ოქრო, ძალა და ყოველგვარი ხრიკი მოიხმარეთ ამ საქმის დასამთავრებლად ისე, როგორც ეს საჭირო არის“. — ასე ამთავრებდა თავის წინადადებას გენ. ტორმასოვი.

მაგრამ ყოველგვარი ასეთი ცდის შიუხედავად სოლომონ II-ის მოკვლა შეუძლებელი შეიქნა. იმერეთში ერთი კაციც. არ აღმოჩნდა, რომ ამაზე დათანხმებულიყო, იმდენად პოპულარული იყო ის ხალხში. ზოგიერთმა თავადმა დიდი ხანია უკვე გაყიდა ის და მისი საქმე მთავარმართებლებისაგან მიღებულ ოქროზე, მაგრამ სოლომონს, როგორც ცარიზმის აუტანელი ჩერეიმის წინააღმდევ მებრძოლ მართველს იცავდა ხალხი და უშუალოდ კიდევ ეგრედშოდებული ქეშიკები (მცველები).

თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, იმერლები დამარცხნენ. უკანასკნელად სოლომონი გამავრდა ხანს-წყლის ხეობაში ახალციხისაკენ მიმავალ გადასასვლელში. აქ მას ჰყავდა მხოლოდ ხუთასი იმერელი და ათას ხუთასი მაკმადიანი მესხი, ახალციხის ფაშას მიერ დასახმარებლად გამოგზავნილი. დიდაღმა რუსის ჯარმა გენ. სიმონოვიჩის მეთაურობით 24 სექტემბერს 1810 წ. იერიში მიიტანა სოლომონის უკანასკნელ პოზიციებზე და იმავე დროს ორივე ფრთიდან დაუარა მათ. მოიერიშეთ გაიმარჯვეს. 25 სექტემბერს (ძვ. სტ.) დილა-ადრიან სოლომონი 200 იმერლის თანხლებით გადავიდა ახალციხის საფაშოში. ოქტომბრის თვეში სოლომონი კიდევ იმერეთის საზღვრაოთან ახლოს იდგა და უცდიდა მღვმარეობის გაუმჯობესებას. 1 ნოემბერს (ძვ. სტილით) ის იძულებული გახდა საბოლოოდ აყრილიყო და 150 იმერლის თანხლებით გადავიდა ახალციხეს, ხოლო იქიდან კი ართვინს. რუსის ჯარმა ნოემბერში ალყა შემოარტყა ახალციხესაც, თუმცა ვერ აიღო ის, ხოლო იმერეთში კი დამყარდა რუსული მართებლობა. იმერეთის დაპყრობა რუსეთის იმპერიის მიერ დამთავრდა. მართალია, სოლომონი კვლავ ცდილობდა ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც იმერეთის მღვმარეობა ამასობაში უაღრესად გაუარესდა: 1810 წლის მანძილზე თმშა და ჯარე-

ბის ხშირმა გადასცლა-გადმოსცლამ საშინლად ააოხტა იმერეთი. სურათის მთელი მარაგი და ახალი მოსავალიც დაიღუპა. დაიწყო უსასტიკესი შიმშილი-რასაც მოჰყვა შავი ჭირი („ეამობა“). ყველა ამისაგან 1811 და 1812 წლებში იმერეთში (და გურია-სამეგრელოშიც) გაწყდა მოსახლეობის ნახევარზე მეტი. იმერეთში დაბრუნებაზე სოლომონს უკვე ფიქრი არ შეეძლო. იქ დამყარდა რუსული ბიუროკრატიული მართებლობა. თვით სოლომონი კი გარდაიცვალა 1815 წლის თებერვალში ქალ ტრაპიზონს.

ასე დამთავრდა საქართველოს ისტორიის ეს ერთერთი უაღრესად დიდი მსხვერპლით აღნიშნული ეპოქეა. ათი-ათასობით სიმშილისაგან თუ შავი ჭირისაგან დაღუბულთა საფლავზე ცარიზმი დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას...

1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის  
უოველთვიურად

ხელის მოწვევის პირობები

წლიურად . . . . .	18 მან.
ნახევარი წლით . . . . .	9 "
ცალკე ნომერი . . . . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა შიიღება: სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპექს-  
ტის რაიონუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

სირთულის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

3560 1 8. 50 3.

л 553  
1940



Ежемесячный журнал  
„ЧВЕНИ ТАОБА“  
Сахелгами 1940 г. Тбилиси